საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

ლალი ოქროცვარიძე

მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე)

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: 08.00.13 _ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ომარ ქეშელაშვილი**
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ბიძინა სარჯველაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

2007

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

თავი I. მევენახეობის ადგილი და როლი საქართველოს ეკონომიკაში და მისი ინტეგრაციული განვითარების თეორიული საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

1.1. მევენახეობის განვითარების მოკლე ისტორია, მისი როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში;

1.2. მევენახეობის ადგილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მისი გაადგილების თავისებურებანი;

1.3. კახეთის მხარის სოფლის მეურნეობაში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების მიმართულებები;

1.4. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები;

თავი II. მევენახეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კანონზომიერებები და ეკონომიკური ეფექტიანობა კახეთის მხარეში;

2.1. ვენახის ფართობების სტრუქტურა და ყურძნის წარმოების დონე დინამიკაში;

2.2. მევენახეობის ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში;

2.3. მევენახეობის მიმართულების ფორმირებების საწარმოო (რესურსული) პოტენციალი და მისი გამოყენების ეკონომიკური შეფასება;

2.4. ყურძნის მოსავლიანობის ანალიზი საწარმოო ფუნქციის გამოყენებით კახეთის მხარის მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

თავი III. მევენახეობის, აგროსამრეწველო ინტეგრაციის სისტემაში განვითარების პირობები და ეკონომიკური შეფასება;

3.1. მევენახეობა-მეღვინეობის ინტეგრაციული განვითარების პირობები, თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები;

3.2. მევენახეობა-მეღვინეობის მცირე ბიზნესური ფორმირებების, ფუნქციონირებისა და მართვის საკითხები და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებები;

3.3. მევენახეობისა და მეღვინეობის ინტეგრაციის პერსპექტივები და ძირითადი პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები;

დასკვნები და წინადადებები;

გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალი

<u>**თემის აქტუალობა**</u>**.** საქართველოსათვის აგრარული სექტორი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგს წარმოადგენს. ქვეყანაში XX საუკუნის ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე მევენახეობა-მეღვინეობა.

ახალი წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში, დღის წესრიგში დადგა არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების აუცილებლობა, მისი საწარმოო პოტენციალის გამოყენების, საწარმოო ორგანიზაციული სტრუქტურების რეორგანიზაციის და მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრების საკითხი.

საბაზრო ურთიერთობებში გარდმავალ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა მეცნიერთა ყურადღება მევენახეობა-მეღვინეობის სტრუქტურის ფორმირების სფეროში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებისადმი, რაც წარმოადგენს საქართველოს აგრარული ეკონომიკის საკვანძო საკითხს, რომელზედაც ბევრად არის დამოკიდებული რეგიონის და მთლიანად ქვეყნის შემდგომი განვითარება. სამწუხაროდ, ამ დარგში რეფორმის პირობებში საწარმოო პოტენციალის გამოყენება დაეცა, არ გამოიყენება სრულად მიწა, კაპიტალი, შრომა სამეწარმეო უნარი. საქართველოში დღემდე არც ერთ რეგიონში იგი სრულად არ გამოიყენება და აგრარული სექტორის დარგებიც სრულყოფილად არ ვითარდება. ვერ ვითარდება მცირე და საშუალო აგრობიზნესი, დიდ ბიზნესზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონის ეკონომიკის შესწავლა, რეგიონში არსებული პოტენციალის სრულად

ამოქმედება და გამოყენება, აგრეთვე საწარმოთა ორგანიზაციული ფორმების სრულყოფილად გამოყენება, მათი შემდგომი განვითარების სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რამაც განაპირობა სადისერტაციო თემის არჩევანი და კვლევის მიმართულება.

<u>**პრობლემების შესწავლის მდგომარეობა.**</u> მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების პრობლემებზე უკანასკნელ წლებში უცხოელ და ქართველ მეცნიერთა მრავალი საინტერესო შრომა გამოქვეყნდა. მომზადდა საკანდიდატო ნაშრომები, შესრულდა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკისადმი დარგობრივ-რეგიონული ადაპტაციისა და საწარმოო პოტენციალის გამოყენების საკითხები მეურნეობრიობის ახალი ვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის პირობებისათვის სხვადასხვა აქტუალური ასპექტები, ჩვენი აზრით კვლავაც მოითხოვს სათანადო კომპლექსურ მეცნიერულ შესწავლას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

<u>**კვლევის მიზანი და ამოცანები.**</u> კვლევის მიზანს წარმოადგენს კახეთის რეგიონში მევენახეობისა და მისი მეღვინეობასთან ინტეგრირებული განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა, მევენახეობის მიმართულებების ფორმირებებში საწარმოო (რესურსული) პოტენციალის განსაზღვრა, საწარმოო ფუნქციის გამოყენებით; სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და რეგულირების ოპტიმალური გზების დასახვა და მევენახეობა-მეღვინეობის ინტეგრაციის ოპტიმალური პერსპექტიული პარამეტრების და მათი რეალიზაციის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება. დასახული

მიზნებიდან გამომდინარე, ამოცანად დავისახეთ გამოგვეკვლია:

_ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების დადგენა და გაანალიზება;

_ მევენახეობა-მეღვინეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;

_ მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა ტიპების გამოყოფა და წარმოების პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა;

_ მევენახეობის მიმართულების ფორმირებების საწარმოო პოტენციალის გამოყენების მდგომარეობის შესწავლა და მისი სამეურნეო მექანიზმის გამოკვლევა;

_ ყურძნის და ღვინის პროდუქციის საბაზრო სეგმენტების გაჯერების დონის დადგენა;

_ ღვინის სანედლეულო ბაზის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა;

_ მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის საექსპორტო-საიმპორტო პოტენციალის განსაზღვრა;

_ კახეთის რეგიონში აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება, დაშვებული ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავება.

<u>კვლევის ობიექტი და საგანი</u>. კვლევის ძირითადი ობიექტია კახეთის რეგიონი და მასში შემავალი 8 ადმინისტრაციული რაიონის აგროსამრეწველო სექტორი. ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების

მეურნე სუბიექტები, გლეხურ-ფერმერული მეურნეობები, კოოპე-რატივები, აგროფირმები და სხვა.

<u>კვლევის საგანია</u> საკვლევი რეგიონისა და აგრეთვე საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის. მიზნის მიღწევაში ყურძნისა და ღვინის წარმოების როლის დადგენა, სამამულო სასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდის გზების ძიება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების იდენტიფიკაცია, მეურნეობის ახალ პირობებში არსებული პოტენციალის სრულად გამოყენება და სასურსათო ბაზრის სრულყოფილად ფორმირება-განვითარება.

<u>კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.</u> გამო-კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ეკონომიკური თეორია კვლავწარმოების, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ. ნაშრომში ფართოდ არის გაშუქებული საქართველოსა და საზღვარგარეთის მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, თეორიული და სამეცნიერო-პრტაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, მთავრობის პროგრამული დოკუმენტები, საკანონმდებლო აქტები. ნაშრომში გამოყენებულია მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსების შესახებ არსებული გამოკვლევები და პუბლიკაციები, კონფერენციების რეკომენდაციები და სხვა.

ნაშრომში გამოყენებულია დიალექტიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური, შედარების, ანალიზის, სინთეზის, ალბათობის, პროგნოზირების, მათემატიკური და სხვა მეთოდები, ასევე სემინის-ტროების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები.

ნაშრომის ინფორმაციული წყაროა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკური კრებულები, სამინისტროებისა და შესაბამისი უწყებების მონაცემები, ანკეტური გამოკითხვის მასალები, კახეთის მხარის საწარმოების, გაერთიანებების პირველადი აღრიცხვის მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული საცნობარო მასალები.

<u>ნაშრომის მეცნიერული სიახლე.</u> დისერტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ კომპლექსურ გამოკვლევას, რომელშიც შეფასებულია კახეთის რეგიონის მევენახეობის მიმართულების ფორმირებებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე. ყურძნისა და ღვინის ინტეგრაციული წარმოებისა და განვითარების საკითხები;

_ დადგენილია მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ცვლილბათა კანონზომიერებები;

_ განსაზღვრულია მევენახეობა-მეღვინეობის როლი სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრაში და მასში კერძო საკუთრებითი ურთიერთობების როლი;

_ მეურნეობრიობის ალტერნატიული მიმართულებების შერჩევით დასაბუთებულია კერძო საკუთრებისა და იჯარულ ურთიერთობათა უპირატესობები, მოცემულია მათი დანერგვისა და შეთანაწყობის გზები;

_ არსებული მეთოდიკისა და ბაზრის ტევადობის შესწავლის საფუძველზე გაანგარიშებულია მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციით ადგილობრივი ბაზრის გაჯერების დონე;

_ საწარმოო პოტენციალის გამოვლენის საფუძველზე დადგენილია წარმოების მასშტაბები და შეფასებულია ეფექტიანობის მაჩვენებელთა

სისტემა;

_ მარკეტინგული გამოკვლელებისა და ეკონომიკურ-ორგანიზაციული კავშირების საფუძველზე დასაბუთებულია საექსპორტო-იმპორტშემცვლელი პოტენციალი და გამოყენების შესაძლებლობები;

_ შეფასებულია რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსებული დონე და განსაზღვრულია მისი გამოყენების ძირითადი პერსპექტიული მიმართულებები;

_ დასაბუთებულია, რეგიონში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, ძირითადი თავისებურებანი, ტენდენციები, კანონ-ზომიერებები და შემუშავებულია საბაზრო პირობებში ადაპტაციისათ-ვის ძირითადი მიმართულებები;

_ გამოვლენილია ყურძნისა და ღვინის ინტეგრირებული წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკური მექანიზმი, რომლის რეალიზაციაც ხელს შეუწყობს მხარეში არსებული საწარმოო პოტენციალის (მიწის, კაპიტალის, შრომის) და სამეწარმეო უნარის ხელსაყრელ გამოყენებას.

<u>ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება</u>. დისერტაციაში შემოთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები გამოყენებითი ხასიათისაა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. რეკომენდაციები შეიძლება პერსპექტივაში გამოყენებულ იქნას რეგიონის ინდიკატური გეგმის პროექტის დაგეგმვისა და მართვისათვის.

<u>პუბლიკაცია და აპრობაცია.</u>

საკვლევი პრობლემების ირგვლივ სხვადასხვა პუბლიკაციებში გამოქვეყნებული მაქვს 5 ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული ნაწილები და შედეგები პერიოდულად ხსენდებოდა ასპირანტთა და მაძიებელთა რესპუბლიკურ

სამეცნიერო კონფერენციებზე, ასევე საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მართვის დეპარტამენტში.

თავი I. მევენახეობის ადგილი და როლი საქართველოს ეკონომიკაში და მისი ინტეგრირებული განვითარების თეორიული საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

1.1. მევენახეობის განვითარების მოკლე ისტორია, მისი როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკა ინტეგრირებული იქნას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. აუცილებელია შეიქმნას გარკვეული პირობები რათა საშუალება მიეცეს აგრალურ სექტორში წარმოებულ სასურსათო პროდუქტებს მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის, აუცილებელია ქვეყანაში ვაწარმოოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც იქნება იაფი, ხარისხიანი და მაღალკონკურენტუნარიანი და რომელიც გაუძლებს მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტების კონკურენციას. სელექციურ და ჯიშობრივ შემადგენლობას, და იმ თავისებურებებს რომლითაც ხასიათდებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგები.

საქართველო სოფლის მეურნეობის სერთიფიკაციის თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია, საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული რომ საქართველო წარმოადგენს ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა

და აკვანს; აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიძებნება.

ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III-II ათწლეული) კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა ტომთაშორისი კავშირები ძველ აღმოსავლურ სამყაროსა და ევროპის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს შორის, ხდებოდა ტექნიკურ და კულტურულ მიღწევათა გაზიარება, თუმცა ეს ურთიერთობები არალეგალური ხასიათის იყო.

ძვ. წ. II საუკუნიდან ინდოეთიდან მომავალმა დიდმა სავაჭრო გზამ ახალი საწყისი მიიღო. ამ გზით რომის იმპერიაში მაღალხარისხიანი ჩინური აბრეშუმის შეტანა დაიწყეს. ეს მაგისტრალი „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზად იწოდებოდა“. იგი ჩინეთში-სიანში იწყებოდა და ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ორივე გზა ქ. ყაშგარში იყრიდა თავს, აქედან გზის სამხრეთი შტო ქალაქ ანტიოქიაში, ხოლო ჩრდილოეთის განშტოება კასპიის ზღვის, ალბანეთის, ქართლისა და ეგრისის გავლით ქ. ფაზისში ჩადიოდა.

ანტიკური ხანიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო სატრანსპორტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მიემართებოდა და სომხეთის დედაქალაქის გავლით მცხეთამდე აღწევდა აქედან კი არაგვის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში გადიოდა.

ზემოთხსენებულს ადასტურებს ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი, რომელსაც თავის ნაშრომში „გეოგრაფია“ მოცემული აქვს ცნობები საქართველოს შესახებ, სადაც მიუთითებს 4 დიდ მაგისტრალს კოლხეთიდან, არაგვის ხეობიდან, ალბანეთიდან და არმენიიდან.

XI-XII საუკუნეებში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც ამ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ცენტრები იყო.

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს „საქართველო თავის ისტორიულ წარსულში არასოდეს ისეთ პოლიტიკურ გარემოში არ მოქცეულა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა XI-XII საუკუნეებში, არასოდეს ის ასეთ ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობაში არ ყოფილა ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან, როგორც ეს იყო X-XII საუკუნეებში“. [20, გვ. 91].

დღევანდელის გადასახედიდან საქართველოს ინტენსიური ხასიათის სტრატეგიული, ეკონომიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა აქვს ამიერკავკასიის, შუა აზიის, ახლო აღმოსავ-ლეთის სახელმწიფოებთან, რუსეთთან, უკრაინასთან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

კავკასი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაფართოების მიზნით. საქართველო დედამიწის ორი ნაწილის-ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად გველვინება.

მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობა, რომელიც საშუალებას იძლევა საქართველო გადაიქცეს საერთშაორისო ვაჭრობის ცენტრად, რეექსპორტისა და ტრანზიტის პლაცდარმად.

საქართველოს დიპლომატური ურთიერთობა აქვს დამყარებული

მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ასამდე სახელმწიფოსთან. საქართველო, როგორც დემოკრატიული და სუვენერული სახელმწიფო თავის მომავალს ევროპისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, მათთან მჭიდრო ურთიერთობაში ხედავს. როგორც ცნობილია ეს სიძლიერე მისი მსოფლიოში ეკონომიკური დამკვიდრებით იზომება. სწორედ ამიტომ საქართველო აქტიურად თანამ-შრომლობს სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკებთან (ეუთო, ნატო, ევროსაბჭო, ევროკავშირი და სხვა.), მეზობელ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს მსოფლიო ასპარეზზე. ინტენსიური ხასიათის სოფლის მეურნეობის გაძღოლის მდიდარი ტრადიციებით იხვეწებოდა, ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილი იქნა სასოფლო სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები. ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა დიდი ხნის ისტორიის მანძილზე არაერთხელ მოახდინეს კორექტირებები სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში.

მიწათმოქმედდების დარგებიდან საკმაოდ კარგად იყო განვითარებული მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან: მთის და ბარის მესაქონლეობა, მ.შ. მეცხვარეობა, მეღორეობა, მეკამეჩეობა, მეფრინ-ველეობა. დროთა განამვლობაში სხვა ქვეყნების გავლენით რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. მაგ: დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და განვითარდა: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი, სიმინდი, კარტოფილი, პამიდორი და სხვა. [85, გვ. 70]

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანა თავის გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის ეკონომიკაზე. თანდათან გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ეს დარგებია: მევენახეობა და მის ბაზაზე მომუშავე ღვინის მრეწველობა, მეხილეობა, საკონსერვო მრეწვლეობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. [86, გვ. 144]

საქართველოში გვხვდება ყველა ტიპის ნიადაგი, კლიმატი და ფლორა, რაც გავრცელებულია იმ უზარმაზარ ტერიტორიაზე რაც უკავია რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას, შუა აზიას და ბალტიისპირეთის ქვეყნებს, კავკასიის რეგიონებს. ქვეყნის ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% მთის წინებს, მხოლოდ 13% დაბლობებს. ეს კი გავლენას ახდენს სავარგულთა სტრუქტურაზე. სწორედ მიცირემიწიანობის გამო სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის 44%, სახნავს სას. სამ. სავარგულების 25% უკავია, სათბობ-საძოვრებს კი –65%-ზე მეტი. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,60 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,15 ჰა სახნავი.

მრავალწლიან ნარგავებთან შეთანაწყობილია: მემარცვლეობა, მებოსტნეულობა, მეცხოველეობა, ტექნიკური კულტურები.

მთიან რეგიონებში სადაც ტექნიკურად შეზღუდულია სახნავი ფართობი, ნაკლებინტენსიურად ვითარდება სოფლის მეურნეობა. აქ გვხვდება მეხორცულ-მერძეული მესაქონლეობა, მეცხვარეობა, საკვებწარმოება, საგვიანო მეკარტოფილეობა, კონტინენტური მეხილეობა და ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთი დარგი.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოში ოდითგანვე დიდი ყურადღება

ექცეობა მევენახეობას:

საქართველოში როგორც ცხრილი 1-დან ჩანს 2006 წ. მოხმარებული იქნა 157 ათ. ტ. აქედან, ყურძნის სახით 16 ათ. ტონა, ხოლო ღვინის სახით 141 ათ. ტონა, საექსპორტოდ გავიდა 24 ათ. ტონა ღვინო, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ძალიან მიზერული რაოდენობაა.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, განსაკუთრებით საკვლევ რეგიონში, რადგან იყო პერიოდი (1985 წ.), როდესაც საქართველოში იწარმოებოდა, 996 ათ. ტონა. 2006 წელს იგი შედაგენდა 162 ათ. ტონას. ე.ი. თითქმის 6-ჯერ არის შემცირებული ყურძნის წარმოების მოცულობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომკიურ მდგომარეობაზე.

ცხრილი 1

ყურძნის წარმოება და გამოყენება[1]

№	მაჩვენებლები	1995 წ.	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
1	მოსახლეობა (ათ. კაცი)	4674	4558	4505	4470	4435	4401	4371	4343	4343	4315,2	4289	4401,3
2	მარაგი წლის დასა-წყისში (ათ. ტ.)	260	380	393	399	369	334	273	275	77	64	57	58
3	წარმოება (ათ. ტ.)	422	311	309	239	220	210	150	90	200	180	250	162
4	იმპორტი (ათ.ტ.	9	6	5	3	3	3	5	5	15	3	2	6
5	სულ რესურსები (ათ. ტ.)	691	697	707	641	592	547	428	300	292	247	309	226

განსაკუთრებული თავისებურებები დაფიქსირდა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (1990 წლიდან დღემდე). ამ პერიოდში საქართველოში ვენახების ფართობები შემცირდა 44 %-ით, ხოლო საკვლევ მხარეში 41 %-ით. რაც შეეხება მოსავალს, იგი 691 ათ. ტონიდან 200 ათ. ტონამდე, ხოლო მოსავლიანობა 6,1 ცენტნერიდან 3,5 ცენტნერამდე შემცირდა. აღნიშნულის მიზეზი ძირითადად იყო ყურძნის შესყიდვის დაბალი ფასები, გასაღების ბაზრის დაკარგვა, ცუდი საკონტროლო პირობები, დარგის ინფრასტრუქტურის დაშლა, ღრმა კრიზისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები და სხვა.

ცხრილი 2

ვენახების ფართობი საქართველოში 1980-2006 წლებში[1]
(ათ. ჰექტარი)

მხარეები	1980 წ.	1990 წ.	1995 წ.	2000 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
კახეთი	66,764	66,387	57,300	39,437	37,8	37,8	37,8
ქართლი	10,822	13,014	9,700	6,909	6,8	6,8	6,8
იმერეთი	20,495	18,564	16,517	12,658	12,0	12.0	12.0
რაჭა-ლეჩხუმი	2,731	2,705	2,305	1,474	1,4	1,4	1,4
მცხეთა-მთიანეთი	2,950	2,275	2,103	1,194	1,1	1,1	1,1
დანარჩენი	7,651	9,859	6,285	2,028	1,1	1,1	1,1
სულ საქართველო	127,524	112,800	94,210	63,700	60,2	60,2	60,2

მაგრამ ბოლო პერიოდში, კერძოდ 1990 წლიდან ვენახის ფართობებმა იწყო შემცირება, (იხილე ცხრილი 2) რაც პროდუქციის წარმოებაზე

[1] ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

გამოიხატა. 80-იან წლებში ვენახის ფართობი შედაგენდა 127 ათ. ჰა-ს, ხოლო ამჟამად, მისი ფართობი არ აღემატება 60 ათ. ჰა-ს. ე.ი. ვენახის ფართობი დაახლოებით 5,0-ჯერ შემცირდება, ამან თავისთავად ცხადია იმოქმედა ყურძნის წარმოების მოცლუობაზე. კერძოდ 2006 წლისათვის ყურძნის წარმოების მოცულობა იყო 162 ათ. ტონა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ შეიქმნა კერძო სტრუქტურა, რომელმაც კონკურენცია გაუწია სახელმწიფო სექტორს. საკმარისია აღინიშნოს, რომ თუ 1990 წელს სახელმწიფო სექტორის წილად მოდიოდა ვენახის ფართობების 64,2 %, ხოლო კერძო სექტორის წილად – 35,8 %, ამ მაჩვენებლებმა 2006 წელს კი _ 5,92% და 94,8%-ს შეადგინა (იხ. ცხრილი 3). სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებულია მოსავლის და მოსავლიანობის მაჩვენებელიც. 2006 წელს 1990 წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში მოსავალი 369,2 ათ. ტონით შემცირდა და მან 9,7 ათ. ტონა, ხოლო კერძო სექტორში 152,8 ათ. ტონა შეადგინა. ამ სექტორში ვენახის ფართობების ზრდა 1995 წლიდან დაფიქსირდა და 1990 წელთან შედარებით იგი 39,4 ათ. ჰექტარით გაიზარდა, ხოლო 2004 წლისათვის 54,9 ჰა-ს მიაღწია, ხოლო მთლიანად ვენახის ფართობი 1990 წელთან შედარებით 2006 წელს 52,6 ათ ჰა-ით შემცირდა, ე.ი. ვენახის ფართობები გადავიდა სხვა დაბალინტენსიურ ფართობებში, რაც გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

_ დაბალი იყო ყრძნის შესყიდვის ფასები, რამაც იძულებული გახადა კახელი გლეხი ამოეძირკვა ვაზის ნერგი;

_ თითქმის მთლიანად განადგურდა ვაზის სანერგე მეურნეობები, რომლებიც აწარმოებდნენ სხვადასხვა ჯიშის ნერგს;

_ გაიზარდა ვენახის ფართობებში ვაზის მეჩხერიანობა;

_ ვენახები მასიურად დაავადდა სოკოვანი და ვირუსული დაავადებებით;

_ დაირღვა ვაზის ნარგაობის ჯიშური სიწმინდე;

_ დაეცა ღვინის ხარისხი.

ზემო აღნიშნულმა გარემოებებმა გამოხატულება ჰპოვა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

ცხრილი 3

მევენახეობის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი 1990-2006 წწ. საქართველოში[1]

დასახელება	ზომის ერთეული	1990 წ.			1995 წ.			2000 წ.			2004 წ.			2005 წ.			2006 წ.		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო	კერძო		სახელმწიფო	კერძო		სახელმწიფო	კერძო		სახელმწიფო	კერძო		სახელმწიფო	კერძო		სახელმწიფო	კერძო
ფართობი	ათ. ჰა	112,8	72,4	40,4	94,2	14,4	79,8	63,7	8,8	54,9	60,2	8,8	54,9	60,2	8,8	54,9	60,2	8,8	54.9
მოსავალი	ათ. ტ.	691,0	379,0	312,0	422,4	23,6	398,8	200,0	12,7	197,3	180,0	10,8	169,2	250,3	15	23,5	162,5	9,75	152,7
მოსავლიანობა	ც/ჰა	6,1	5,2	7,7	4,5	1,6	4,9	3,5	1,7	3,8	9,0	1,2	3,1	4,1	1,7	4,3	2,6	1,1	2,8

[1] ცხრილი შედგენილია მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტი „სამტრესტის“ მონაცემების საფუძველზე.

1.2. მევენახეობის ადგილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მისი გაადგილების თავისებურებანი

საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობა ყოველთვის თვალსაჩინო როლს ასრულებდა და მთელ რიგ მხარეებში დღესაც მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლების ძირითადი წყაროა.

ქვეყნის ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები და ვაზის ჯიშთა სიუხვე სრულ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობის ფართოდ განვითარებისათვის. კვების მხრივ, როგორც ნაკლებმომთხოვნი მცენარე, დაუბრკოლებრივ ვითარდება ისეთ ნიადაგებზეც კი, სადაც სოფლის მეურნეობის მთელ რიგ კულტურათა წარმოება შეუძლებელი ან მცირე ეფექტიანობის მომცემია; სამუშაო ოპერაციების მრავალსახეობის მიხედვით ვენახში წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა ასაკის მუშახელი. ვაზის ფესვთა სისტემა ნიადაგის ღრმა ფენებში განვითარების შედეგად საკვებ ნივთიერებებთან ერთად იღებს ტენის საჭირო რაოდენობას, რის შედეგადაც ურწყავ პირობებშიც თუ ნიადაგი სათანადოდ მოვლილ-დამუშავებულია, სავსებით ნორმალურ განვითარებას აღწევს.

სოფლის მეურნეობის მთელ რიგ მრავალწლიან მცენარეებთან შედარებით, ვაზი ადრე იწყებს მოსავლის მოცემას. მესამე წელს უკვე საკმაო მოსავლიანობით ხასიათდება, ხოლო სრულმოსავლიანობას მეოთხე, მეხუთე წელს აღწევს.

ვაზიდან მიღებული პროდუქცია მრავალი დანიშნულებით გამოიყენება: ყურძენი, როგორც ხილი, ძველთაგანვე ითვლება საუკეთესო

დიეტურ და გემრიელ საკვებად. იგი ამავე დროს, სამკურნალო საშუალებასაც წარმოადგენს. მწიფე ყურძენი შაქრების გარდა შეიცავს სიმჟავეებს (ღვინის, ვაშლის, ლიმონის და სხვა) და მინერალურ ნივთიერებებს (კალიუმს, ფოსფორს, კალციუმს, რკინას და სხვა). ფოსფორი და კალციუმი ზრდის სტიმულატორებია, რკინა – სისხლის გაახლებას და დაჟანგვის პროცესს უწყობს ხელს, ხოლო კალიუმი მავნე მჟავეების გამნეიტრალებელია; ყურძენში მოიპოვება აგრეთვე ვიტამინები: B^1 (თიამინი), B^2 (რიბოფლავინი), C (ასკორბინის მჟავა), B^{12} (ციანოკობალამონი), B^6 (პირდოქსინი), P და სხვა, რომლებიც აწესრიგებენ ორგანიზმში ფიზიოლოგიურ პროცესებს.

ყურძენი და მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები უპირველესად შეიცავენ დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ორგანულ მჟავებს, რის გამოც მაღალი კალორიულობით ხასიათდებიან და დიდ როლს ასრულებენ ადამიანის რაციონალური კვების საქმეში.

ყურძენი მოიხმარება როგორც ნატურალური, ისე გადამუშავებული სახით. მისი ძირითადი პროდუქტია ღვინო, ყურძნის გამოწურვის შედეგად დარჩენილი ჭაჭიდან ღებულობენ სპირტს. უალკოჰოლო პროდუქციის სახეობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ყურძნის შესქელებული წვენი ანუ ბადაგი, რომელიც თავისი ღირსებით და კვების უნარიანობით არ ჩამოუვარდება კარაქსა და თაფლს. ბადაგისაგან შეიძლება დამზადდეს ძვირფასი პროდუქტები: თათარა, ჩურჩხელა, ტყლაპი, მურაბა, ჟელე, მარმელადი და სხვა, რომელთაც სინოყივრისა და შაქრის შემცველობის მხრივ კვების მრეწველობაში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ყურძნის პროდუქციის ერთ-ერით ძირითად და ძვირფას სახეობას წარმოადგენს ღვინო, ხშირად ისმება კითხვა ღვინის მავნე, მათრობელა თვისებაზე და მოუწოდებენ შეამცირონ ან სრულიად აიღონ ხელი ამ ძვირფასი პროდუქციის დამზადებაზე.

ადამიანის ორგანიზმის მიერ ნორმალური რაოდენობით მიღებული ღვინო, არამც თუ მავნებელია, სასარგებლოცაა. იგი ორგანიზმს ანიჭებს სიხალისეს, მხნეობას, გამძლეობას და სტიმულს აძლევს შემდგომი მუშაობისათვის.

ყურძნის გამოწურვის შედეგად დარჩენილი ჭაჭა გამოხდის შედეგად იძლევა სპირტს და არაყს, რომელთაც იყენებენ მედიცინის და კვების მრეწველობაში. გამონახადი ჭაჭა შეიძლება გამოვიყენოთ ღვინის მჟავა კალციუმის დასამზადებლად. ანარჩენისაგან მზადდება აგრეთვე შავი საღებავი და მისი ნაშთი სათანადოდ დაკომპოსტებული და გადამუშავებული გამოიყენება ნიადაგის გასანოყიერებლად. ყურძნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს წიპწა. მისი შემადგენელი ელემენტებიდან მნიშვნელოვანია ტანინი და ცხიმები. წიპწის გადამუშავების შედეგად მიღებული ზეთი მეტად ძვირფას მასალას წარმოადგენს საპარფიუმერიო წარმოებისათვის და საპნის დასამზადებლად. დაფქული წიპწა ყავის დასამზადებლად გამოიყენება.

ვაზის ვეგეტატიური ნაწილებიც შეიძლება იქნეს გამოყენბული მრეწვლობაში. ასე, მაგალითად: ვაზის გასხვლის შედეგად მიღებული ანასხლავი რქები სათანადო გადამუშავების შემდეგ საწერი ქაღალდის დასამზადებლად და პირუტყვის გამოსაკვებად გამოიყენება.

ზაფხულის პერიოდში, ფურჩქვნის ოპერაციების შედეგად მიღებული ვაზის მწვანე მასა ყლორტების და ფოთლების სახით, გამოიყენება ღვინის

მჟავას მისაღებად. ამის გარდა მწვანე მასა, სათანადო დასილოსების შემდეგ გამოიყენება პირუტყვის გამოსაკვებად.

ყურძენი, როგორც სამკურნალო საშუალება, ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ მიმოქცევას, საჭმლის მონელებას და დადებითად მოქმედებს კუჭით, თირკმელებით და ფილტვებით დაავადებულებზე, აგრეთვე ნერვიულ და ბრონქიტიან ავადმყოფებზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქიშმიშის წარმოებას. ხარისხიანად დამზადებული ქიშმშის პროდუქცია შენახვის დიდი უნარიანობით ხასიათდება, ტრანსპორტის ამტანია და როგორც ტკბილეულის ნედლეულს წარმატებით იყენებენ საშაქარლამო წარმოებაში.

მსგავსად ყურძნისა, პასტერიზებული ყურძნის წვენი, როგორც უალკოჰოლო პროდუქციის ერთერთი სახეობა ძვირფას დიეტურ საკვებად ითვლება. იგი განსაკუთრებით ხელს უწყობს მცირეწლოვან ბავშვთა ორგანიზმის გაძლიერებას და მის ნორმალურ განვითარებას, ორგანიზმს სიხალისეს მატებს და ხელს უწყობს საკვების მონელებას. როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, მევენახეობის ძირითადი რაიონები, ძირითადად ყურძნის წვენის წარმოებაზე არიან გადასული. მისგან მიღებული ლექი გამოიყენება ქვის, ღვინის მჟავას და ღვინის სპირტის დასამზადებლად.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მევენახეობა ძველ საქართველოში უაღრესად განვითარებული უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთი მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა როგორიცაა საფერავი, რქაწითელი და სხვა ჯიშები, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი და შეგნებული მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო“. [98,312]

საქართველოს მეღვინეობის ერთერთი ყველაზე დამახასიათებელი

და განუყოფელი ნიშან-თვისებაა ხარისხი. მსოფლიოს საუკეთესო მეღვინეობის მხარის თანავარსკვლავედში, რომლებიც გამოირჩევიან განვითარებული ხარისხიანი მეღვინეობით საქართველოს დამსახურებულად უჭირავს ერთერთი წამყვანი ადგილი.

ვაზის ბევრი შესანიშნავი ქართული ჯიში, უპირველეს ყოვლისა, რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკაური და სხვა, რომლებიც ხასიათდებიან ძვირფასი სამეურნეო თვისებების სრული კომპლექსით, საყოველთაო აღიარებით სარგებლობენ და ამჟამად მასიურად კულტივირებულია სამშობლოს ფარგლებს გარეთაც (შუა აზიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდავეთის რაიონებში, ყირიმში და შორეულ საზღვარგარეთშიც). ყოველივე ზემოაღნიშნული განსაზღვრავს ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის თვითმყოფადობას.

ყურძნის ადგილობრივი ჯიშების შესანიშნავი ფონდით, საუკუნეების გამოცდილებაზე დაფუძნებული საუკეთესო ღვინოების გამოყვანით, მრავალფეროვანი ღვინის პროდუქციის წარმოების ორიგინალური წესებით, საქართველოს რეფორმამდელ პერიოდში ღირსეული წვლილი შეჰქონდა მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში.

საქართველოსათვის ისტორიულად განმსაზღვრელ დარგებს წარმოადგენდა მევენახეობა და მის საფუძველზე აღმოცენებული მეღვინეობა. სხვადასხვა მხარის ბუნებრივი პირობების შესაბამისად, საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა ზვრების ჯიშობრივი შემადგენლობა, რომელიც მდიდრდებოდა ახალი სელექციური უხვმოსავლიანი და მაღალი ხარისხის ღვინოების მომცემი ჯიშებით, რამაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო დონის მევენახეობას და მეღვინეობას.

მხარეების მიხედვით ყურძნის წარმოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში წამყვან როლს კვლავ კახეთისა და იმერეთის მხარე ასრულებს (იხ. ცხრილი 4).

კახეთის მხარეში 2006 წელს 1990 წელთან შედარებით ყურძნის წარმოება 5,1-ჯერ შემცირდა, ხოლო იმერეთის მხარეში - 3,6-ჯერ. შესაბამისად შემცირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, შიდა და ქვემო ქართლის რაიონებში, ყველაზე უმნიშვნელო როლს ყურძნის წარმოებაში სამცხე-ჯავახეთის მხარე ასრულებს. აქ ყურძნის წარმოება მხოლოდ 0,1%-ს შეადგენს. საკვლევ მხარეში და მთლიანად მხარეში

ცხრილი 4

ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით[1]
(1990-2006 წწ.)

მხარეები	1990 ათასი ტონა	%	2001 ათასი ტონა	%	2002 ათასი ტონა	%	2003 ათასი ტონა	%	2004 ათასი ტონა	%	2005 ათასი ტონა	%	2006 ათასი ტონა	%
აჭარა	6,2	0,9	1,5	1.0	1.8	2.0	19	9.5	1.9	1.1	2.0	0.8	1.3	0.8
სამეგრელო-ზემოსვანეთი	18,1	2,6	4.9	3.2	5.1	5.6	7.8	8.6	6.7	3.7	6.3	2.5	4.1	2.5
გურია	11,8	1,7	3.1	2.0	3.8	4.2	6.4	3.2	42	0.2	5.5	2.2	3.9	2.4
იმერეთი	132,5	19,2	37.5	25	36.5	40.5	45.8	22.9	4.7	2.6	57.9	24.7	36.3	24.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	14,4	2,1	3.7	2.4	5.3	5.8	7.6	8.4	6.9	3.8	8.0	3.2	7.3	4.5
შიდა ქართლი	26,7	3,8	7.5	5.0	6.4	7.1	16.4	8.2	14.1	7.8	18.2	3.8	10.9	3.8
მცხეთა-თიანეთი	21,5	3,1	6.0	4.0	3.4	3.7	10.5	5.2	8.5	4.7	7.8	3.1	4.7	2.9
კახეთი	433,8	62,8	75	50	25.6	28.4	90.6	45.3	85.4	47.4	128.4	52.8	86.1	53
ქვემო ქართლი	25,6	3,7	10.5	7.0	2.0	2.2	12.8	6.4	9.6	5.3	13.7	5.5	6.3	3.9
სამცხე-ჯავახეთი	0,4	0,1	0.2	0.1	0.2	0.2	0.2	0.1	0.2	0.1	2.5	0.1	1.6	0.1
სულ საქართველო	691,0	100,0	150.0	100,0	90.0	100,0	200.0	100,0	180.0	100.0	250.3	100.0	162.5	100.0

[1] სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს სტატისტიკურიკრებული, თბილისი, 2005-2006 წ.

ყურძნის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ. წლების განმავლობაში მოსახლეობის მიერ ჩაბარებული ყურძნის თვითღირებულების აუნაზღაურებლობამ და შიდა დარგობრივი ინტეგრაციული პროცესების შეჩერებამ, მრავალწლიანი კულტურების ერთწლიანი კულტურებით შეცვლისაკენ სწრაფვამ, ვაზის ნერგის წარმოების შეწყვეტამ. მევენახეობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკმარისობამ; სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების ნაკლებობამ; მევენახეთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, მევენახეთა ცოდნის არასაკმარისმა დონემ და სხვა.

უნდა აღინიშნოს რომ საკვლევ მხარეში 2004 წლისათვის ჯერ კვლავ არ არის მიღწეული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დონე 1990 წელთან შედარებით. კახეთის მხარეში და მთლიანად საქართველოში ყურძნის წარმოება თითქმის ყოველწლიურად მცირდება. შემცირების მაღალი ტემპები დაფიქსირდა 1997-1999 წლებში. ამასთან თუ 1990 წელს კახეთში იწარმოებოდა საქართველოში წარმოებული ყურძნის 62,8%, ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით თანდათან მცირდება და 2006 წლისათვის 52,9% შეადგინა.

კახეთის მხარეში ვენახის ფართობებისა და მოსავლიანობის დინამიკა 1995-2006 წლებში გვიჩვენებს, რომ ყველა რაიონი ერთნაირ როლს არ ასრულებს საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სტრატეგიის განსაზღვრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლისათვის 1995 წელთან შედარებით შემცირდა როგორც ფართობები, ასევე მოსავალი და შესაბამისად მოსავლიანობაც თითქმის ყველა რაიონში. საკვლევ მხარეში ვენახის

ფართობების შემცირების მაღალი ტემპები დაფიქსირდა განსაკუთრებით გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს და ყვარელის რაიონებში. ფართობების შემცირებასთან ერთად განახევრდა მოსავალიც თითქმის ყველა რაიონში.

2006 წლისათვის კახეთის მხარეში ვენახების ფართობების ხვედრითი წილი რაიონების მიხედვით შეადგენდა: გურჯაანში – 18,5%, ყვარლის რაიონში – 17,2%, თელავის რაიონში – 13,9%, ახმეტის რაიონში – 11,6%. თანაბარი რაოდენობა არის საგარეჯოს და სიღნაღის რაიონებში – 11,4%თითოეულს. ფართობის სიმცირით გამოირჩევა დედოფლის-წყაროს – 8,9% და ლაგოდეხის რაიონები, შესაბამისად და 7,1%.

2006 წლისათვის ყურძნის მოსავლიანობამ საქართველოში 26,9 ც/ჰა შეადგინა. კახეთის მხარეში კი – 22,7 ც/ჰა. ჩვენი კვლევის მხარეში მიუხედავად ფართობის სიმცირისა, მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა თელავის – 36,2 ც/ჰა და გურჯაანის – 33,6 ც/ჰა რაიონები. მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ყვარელის, საგარეჯოს და ახმეტის რაიონები. ამ რაიონებში მოსავლიანობის მაჩვენებელი კახეთის მხარეში არსებულ მაჩვენებელს 6,0 ცენტნერით ჩამორჩება. (იხ. ცხრილი5).

კახეთის მხარეში კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 6-7. როგორც ცხრილების ანალიზით ირკვევა, ამ მხარეში 168 343 მიწათმოსარ-გებლეზე მოდის 136,7 ათ. ჰექტარი მიწა, რაც ერთ მოსარგებლეზე გაანგარიშებით შეადგენს 0,81 ჰექტარს. აღნიშნული მაჩვენებელი რაიონების მიხედვით განსხვავებულია. კერძოდ, ერთ მიწათმოსარგებლეზე დედოფლისწყაროსა და ყვარლის რაიონში 1 ჰექტარი, ხოლო ლაგოდეხის, გურჯაანის, თელავის, ახმეტისა და სიღნაღის რაიონებში 0,70-0,85 ჰექტარი მიწის ფართობია გაცემული. მიწის ყველაზე მცირე რაოდენობა ერთ მოსარგებლეზე გაცემულია სა-

გარეჯოს რაიონში – 0,59 ჰექტარი. კერძო საკუთრებაში გაცემული მიწის ფართობში მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა სახნავი მიწები. საკუთრებაში გადაცემული სახნავი მიწებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს დედოფლისწყაროს – 84,5%, ლაგოდეხში ეს მაჩვენებელი 83%-ია, სიღნაღში – 75,8%. კახეთის მხარეში საკუთრებაში გადაცემული მრავალწლიანი ნარგავები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 42,4%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია თელავისა და გურჯაანის რაიონებში, მცირეა დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის რაიონებში. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობებზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 6 2006 წლისათვის კახეთის მხარეში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია 826,8 ათასი ჰექტარი მიწა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წილი შეადგენს 53,6%-ს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 2,6%. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ვენახის ფართობები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მინიმუმამდეა შემცირებული და იგი 1,9%-ს შეადგენს.

კახეთის მხარის მევენახეობა-მეღვინეობის პრიორიტეტული ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში უდავოა, მაგრამ 1990 წლიდან, მცირე გამონაკლისის გარდა, ახალ ფართობებზე ვენახი არ გაშენებულა, აღარ იწარმოება ვაზის ნამყენი ნერგი, ფუნქციონირება შეწყვიტა კახეთის მხარეში განლაგებულმა უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილმა სასათბურე და სანერგე მეურნეობებმა, განადგურდა საძირეთა სადედეები.

მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მეღვინეობაშიც. განადგურდა უძვირფასესი ღვინოები და სპირტები. თითქმის აღარ იწარმოება უნიკალური ღვინოები, დაიკარგა საშინაო და საგარეო ბაზარი. საშინაო

ბაზარი ადვილად დაეთმო ეროვნულ ღვინოებზე და სხვა ღვინო პროდუქტებზე გაცილებით ნაკლები ღირსების უცხოური წარმოების სასმელებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის

ცხრილი 5

ვენახის ფართობების, ყურძნის წარმოებისა და მოსავლიანობის მაჩვენებლები კახეთის მხარეში[1]
1995-2006 წწ.

	1995 წ.			1999 წ.			2000 წ.			2004 წ.			2005 წ.			2006 წ.		
	ფართობი, ათ.ჰა	მოსავალი, ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ათ.ჰა	მოსავალი, ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ათ.ჰა	მოსავალი, ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ათ.ჰა	მოსავალი, ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ათ.ჰა	მოსავალი, ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა	ფართობი, ათ.ჰა	მოსავალი, ტონა	მოსავლიანობა, ც/ჰა
ახმეტის	4,9	17974	36.6	4,3	9350	21.7	4,6	8925	19,4	3.5	10277	29.37	3.5	10328	29.5	3.5	7800	22.2
გურჯაანის	13,9	50017	35.9	7,5	25960	42.2	7,3	24780	33,9	7.1	16018	22.5	7.1	39005	54.9	7.1	20400	28.7
დედოფლის წყაროს	3,4	28652	54.8	3,7	14850	40.1	3,5	14175	40,5	4.5	6900	15.33	4.5	12410	27.5	4.5	9500	21.1
თელავის	10,1	39170	38.7	5,0	20350	40.7	5,5	19425	35,3	5.2	16065	30.89	5.2	17192	33.0	5.2	14600	28.0

[1] წყარო სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს სტატისტიკური ნაკრები, თბ., 2005-2006 წ.წ.

ლაგოდეხის	2,5	15357	29.4	2,5	7920	31.6	2,8	7560	27,0	2.7	7025	26.0	2.7	7659	28.3	2.7	6000	22.2
საგარეჯოს	6,2	23320	37.6	4,1	12100	29.5	4,5	11550	25,7	4.1	8124	19.8	4.1	13689	33.3	4.1	5200	12.6
სიღნაღის	6,2	23320	37.6	4,1	12100	29.5	4,5	11550	25,7	4.3	12170	28.3	4.3	13400	31.1	4.3	8700	20.2
ყვარელის	9,4	21535	22.9	5,0	11110	22.2	6,8	10605	15,6	5.8	8798	15.1	5.8	14672	25.2	5.8	8000	13.7
კახეთი	57,3	201345	35.2	36,2	113740	31.4	39,5	108570	27.4	37.2	85400	22.5	37.2	128355	34.5	37.8	80200	21.5
საქართველო	94,2	422440	44.8	60,1	239000	39.7	63,7	210000	33,0	60.2	180000	29.9	60.2	250300	41.5	60.2	162500	26.9

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი კახეთის მხარეში 2006 წელს[1]

ცხრილი 6

რაიონი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, სულ ათ. ჰა	სასოფლო-სამეურნეო სავარგული ათ.ჰა	მათ შორის			მრავალწლიანი ნარგავები					
						სულ	მათ შორის				
			სახნავი	სამოვარი	სათიბი		ვენახი	ხეხილი	კაკალი	თუთა	სხვა
ახმეტა	250,6	105,7	4,4	99,8	0,3	1,0	0,5	0,2	0,3	0,0	-
გურჯაანი	60,2	19,2	5,8	11,7	0,2	1,5	1,1	0,1	0,2	0,2	-
დედოფლის -წყარო	149,3	99,5	33,9	64,1	-	1,5	1,3	-	0,1	-	-
თელავი	20,9	20,9	4,8	13,9	-	2,1	1,6	0,3	-	0,1	0,1
ლაგოდეხი	73,3	23,2	10,5	11,5	0,0	1,1	0,4	0,1	0,3	0,0	0,3
საგარეჯო	140,8	82,3	20,5	59,1	1,2	1,2	0,7	0,3	0,1	0,2	-
სიღნაღი	105,8	71,8	22,9	47,3	-	1,6	1,5	0,0	0,1	-	-
ყვარელი	25,8	19,0	4,5	13,3	-	1,2	0,9	0,1	0,0	0,2	-
სულ კახეთის მხარეში	826,8	441,6	107,3	320,5	1,7	11,3	8,1	1,1	1,1	0,7	0,4

[1] ცხრილი შედგენილია კახეთის მხარის სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე.

ჯანმრთელობას. სახელმწიფოსაგან საშინაო ბაზრის დაუცველობის გამო მინიმუმამდე დაეცა ღვინის ფასი და რეალიზაცია.

კერძო საკუთრებებთან ერთად წარმოების მასტიმულირებელ როლს ასრულებს იჯარა. დღეისათვის მიწების იჯარით აღება კერძო საკუთრებასთან შეთანაწყობის ოპტიმალური გზა აღმოჩნდა, 2006 წლისათვის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 18,5% იჯარითაა გაცემული. 553 ათ. ჰა-დან 140 ათ. ჰექტარია 49 ათას ფიზიკურ პირზე, ე.ი. ფიზიკურ პირზე იჯარით არსებული მიწის რაოდენობა შეადგენს 3,5 ჰექტარს.

პრივატიზებული და იჯარით გაცემული მიწები დამუშავებულია ან გამოყენებულია საძოვრებად. რაც შეეხება საკვლევ მხარეს სახელმწიფო სექტორში არსებული მიწის ფართობების 74% გაცემულია 21 129 ფიზიკურ პირზე (იხ. ცხრილი 8) ხოლო 26% 349 იურიდიულ პირზე.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია არახელსაყრელი საგადასახადო გარემოს არსებობა, რომელიც ხელს უწყობს ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციას. მხედვლეობაში გვაქვს პირველ რიგში საგადასახადო პოლიტიკის სრულიად არასაკმარისი მასტიმულირებელი როლი, აღნიშნული დარგის აღორძინებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში. ეს ნათლად ჩანს თუნდაც კონიაკის წარმოების მაგალითზე. ამ დარგის სპეციალისტთა გამოკითხვით და მასალების ანალიზით გამოირკვა, რომ არსებული დაბეგვრის სისტემიდან გამომდინარე, პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ყოველი 100 ლარიდან სახელმწიფოს მიაქვს 70 ლარი, წარმოებას კი საბოლოო ჯამში წმინდა მოგების სახით რჩება სულ 5 ლარი. უმეტესმა

საწარმომ ასეთი საგადასახადო სისტემის გამო ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა.

ცხრილი 7

კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობები კახეთის მხარეში 2006 წელს[1]

რაიონი	მიწათმოსარგებლეთა რაოდენობა, კაცი	1 მიწათმოსარგებლეზე გაცემულია, ha	სულ გადაცემა, ha	სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ha	მათ შორის					
					სახნავი, ha	%-ად მთელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულში	მრავლაწლიანი ნარგავები, ha	%-ად მთელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულში	აქედან	
									ვენახი, ha	%-ად მთელ მრავლწლიან ნარგავებში
ახმეტა	15722	0,85	13505	13505	9054	67,0	4361	32,3	3496	80,1
გურჯაანი	31147	0,79	24737	24465	15889	64,9	8227	33,6	8015	97,4
დედოფლის წყარო	14967	1,1	16356	14603	12334	84,5	2269	15,5	20	0,9
თელავი	20490	0,84	11173	16208	8566	52,9	6849	42,3	6773	98,9
ლაგოდეხი	12236	0,78	15688	15608	1296	83,0	2648	17,0	2164	81,7
საგარეჯო	24820	0,59	14736	14210	9004	63,4	4763	33,5	3610	75,8
სიღნაღი	20456	0,85	17478	17477	3200	75,8	4245	24,3	4225	99,6
ყვარელი	17123	1,0	17084	16922	12028	71,1	4894	28,9	830	98,7
კახეთის მხარე სულ	168343	0,81	130757	132998	71371	70,0	38256	42,4	3133	86,6

[1] ცხრილი შედგენილია კახეთის მხარის სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 8

იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწა კახეთის მხარეში
2006 წლისათვის[1] (ჰექტრებში)

რაიონი	სახელმწიფო სექტორში არსებული მიწის ფართობი, ჰა	ფიზიკური პირი		იურიდიული პირი		გადაეცა, ჰა				
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	სულ, ჰა	სახნავი	სამოვარი	სათიბი	მრავალწლიანი ნარგავები
ახმეტა	60489.4	456	28	16	72	17004	3385	56451	230	422
გურჯაანი	13972	327	25	64	75	3372	3751	8722	152	1334
დედოფლის-წყარო	67491	17611	89	31	11	60636	100	14100	600	200
თელავი	11881	401	44	78	56	5164	4199	6012		1597
ლაგოდეხი	11708	362	46	44	54	5477	7557	3664	33	454
საგარეჯო	70854	-	100	-	-	70854	15430	53666	776	982
სიღნაღი	57854	705	100	-	-	57854	19263	38271	-	-
ყვარელი	10354	491	61	33	39	6355	3501	5878	-	977
სულ კახეთის მხარეში	304283	21129	74	349	26	226396	57187	186764	1791	5966

[1] ცხრილი შედგენილია კახეთის მხარის სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე.

ამგვარი დაბეგვრის პირობებში შეუძლებელია წარმოებისრაციონალურ რესტრუქტურიზაციასა და ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე, პროდუ-ქციის ხარისხისა და სასაქონლო სახის გაუმჯობესებაზე, საერთოდ ნორმალური კვლავწარმოებითი პროცესის უზრუნველყოფასა და საბოლოო ჯამში, რეალური საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე.

მევენახეობა-მეღვინეობაში შექმნილი სიძნელეების დაძლევისა და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის გადაუდებლად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

_ ყურძნისა და მისი პროდუქციის რეალიზაციის ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მწარმოებელთა მაღალ დაინტერესებას და მარკეტინგული სამსახურის განვითარებას;

_ საერთშაორისო ბაზარზე ქართული მაღალხარისხოვანი ღვინოების შეღწევისათვის წარმოშობის ადგილისა და გეოგრაფიული დასახელების კატეგორიის ღვინოების წარმოებაზე გადასვლა;

_ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა;

_ სერვისის ისეთი მოდელის ჩამოყალიბება მხარისა და რაიონის დონეზე, რომელიც სოფლად მომუშავე ყველა კატეგორიის საქონელმწარმოებელს, მათი მოთხოვნილების საფუძველზე, გაუწევს გარანტირებულ საწარმოო ტექნიკურ მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით, საწვავ-საცხები და სხვა მასალებით მომარაგებას, ტექნიკის სარეალიზაციოდ მომზადებას, ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, გარანტიისა და მის შემდგომ პერიოდში ექსპლუატაციაზე პასუხსიმგებლობას, მანქანების გაქირავებას, კადრების მომზადებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების რეკლამის,

პროპაგანდასა და დანერვგას, მეცხოველეობისა და სხვა მშენებარე ობიექტების კომპლექტაციას, სამონტაჟო დანადგარ-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების, რემონტის და გამართვა-გაშვების სამუშაოთა გარანტიით შესრულებას;

_ მევენახეობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება;

_ საექსპორტო-იმპორტშემცვლელი პოტენციალის მარკეტინგული გამოკვლევა;

_ საგადასახადო სისტემის სრულყოფა და სხვ.

1.3. კახეთის მხარის სოფლის მეურნეობაში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების მიმართულებები

საკვლევი მხარის სოფლის მეურნეობის კერძო სექტორში თავმოყრილია დასამუშავებელი მიწების (სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების) უმეტესი ფართობები იგი თანდათანობით წამყვანი ძალა ხდება რეგიონის სურსათის წარმოებაში და მომარაგებაში.

ამ მხარის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა, რომ აგრარულ სექტორში დამკვიდრდა კერძო საკუთრება და იგი კახეთის რეგიონის ეკონომიკის საფუძველია. ეს არის ამ მხარის აგრარული რეფორმის პოზიტიური, სოციალური, ეკონომიკური შედეგი (იგივე ითქმის ქვეყნის მასშტაბითაც), რაც რევოლუციური გადატრიალების ტოლფასია.

ამასთან, ამ მხარის აგრარული რეფორმის გატარებისას თავი იჩინა ნეგატიურმა შედეგებმა. მხედველობაში გვაქვს უწინარეს ყოვლისა ის

გარემოება, რომ გლეხი მიწასთან შიშველი ხელებით დავტოვეთ და მას უჭირს მიწის დამუშავება, ამიტომ შედეგი არადამაკმაყოფილებელია.

აგრარული რეფორმის კურსი არასწორი მიმართულებით განვითარდა, იგი წავიდა თვითდინებით, უსისტემოდ, არსებული პროგრამის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად და აგრარულმა რეფორმამ სრულად ვერ უზრუნველყო კერძო საკუთრების პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაცია. ჩვენი გაანგარიშებით იგი ერთი მესამედითაც არ არის გამოყენებული. ამასთან, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწა თითქმის მთლიანად გამოყენებულია, არადა მისი ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია. ამჟამად არაპრივატიზებული მიწების ხვედრითი წილი დამუშავებაში მყოფ ფართობებში 30%-მდეა, ხოლო სათიბებში კიდევ უფრო მაღალია, 85%-მდეა, საძოვრებში 97%-მდეა. საჭიროა ამ მიწებს გავუჩინოთ ნამდვილი მეპატრონეები და ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში, იგი შემოსავალის უდიდესი წყარო გახდება.

მართალია, აგრარული რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მონაპოვარია ის, რომ მან შეაჩერა შრომითი რესურსების უარყოფითი მიგრაციული პროცესები, მაგრამ სოფლად საწარმოო ინფრასტრუქტურის გაუარესებამ უკუპროცესი გამოიწვია.

რეგიონში აგრარული რეფორმის ასევე თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური მონაპოვარია ახალი ტიპის საწარმოთა ჩამოყალიბება და განვითარება. კერძოდ, შეიქმნა და ვითარდება მეწარმეობის ინდივიდუალური (გლეხური, ფერმერული) პარტნიორული (კოოპერაციული გაერთიანებები, ერთობლივი საწარმოები), აქციონერული ფორმირებანი. მეურნეობრიობის მრავალფეროვნება ამ რეგიონის ცხოვრების რეალობაა და მის სრულყოფილად განვითარებას ფართო გზა

უნდა მიეცეთ. რეგიონში ადრე არსებული 248 სოფლის მეურნეობრივი საწარმოდან ლიკვიდირებულია თითქმის უმრავლესობა და როგორც აღვნიშნეთ, შექმნილია 300 ფერმერული მეურნეობა, შპს – 16, კოოპერაციული გაერთიანებები _ 14, სააქციო საზოგადოებები – 12. რეგიონში გავრცელებულია ფერმერული მეურ-ნეობები. ისინი ნატურალურ და ნახევრად ნატურალურ მეურნეობებს წარმოადგენენ და ძალზე დაბალი აქვთ საქონლიანობის დონე. მათ არ შეუძლიათ, სრულად გამოკვებონ არა მარტო ქვეყანა, არამედ რეგიონი. მომავალში კურსი უნდა ავიღოთ მსხვილი, მაღალსაქონლური ფერმერული მეურნეობებისაკენ.

განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გლეხური და ფერმერული მეურნეობები რიგი შეღავათებით სარგებლობენ. ამიტომაა, რომ ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავიანთი კაპიტალის ნაწილს სოფლის მეურნეობაში სწორედ გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ. ჩვენთან ეს პირობები არ არსებობს და იგი არ გამოიყენება. ამდენად ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და ამის საფუძველზე საგადასახადო სისტემის დახვეწას ესაჭიროება სერიოზული მიხედვა და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებადი ბევრი სოფლის მეურნეობის საწარმო მომავალში არსებობას შეწყვეტს, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სოფლად მეწარმეობის განვითარებას. არადა მეწარმეობამ უნდა ააღორძინოს, ეკონომიკურად განამტკიცოს რეგიონი. მევენახეობაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონში მეღვინეობის განვითარებაზე. წლების განმავლობაში

სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით დარგში დაგროვილმა გადაუჭრელმა პრობლემებმა შეასუსტა კახური ღვინის კონკურენტუნარიანობა საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრებზე.

ყურძნის წარმოების მკვეთრი შემცირებისა და ღვინის მრეწველობაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიზეზით, დიდად გაუარესდა რეგიონში პირველადი ღვინის ქარხნებში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, კატასტროფულად შემცირდა ღვინის წარმოების მოცულობა. მთლიანად ქვეყანაში, 1990 წ. 433 ათასი ტ. ყურძენი გადამუშავდა, 2006 წ. 25-ჯერ ნაკლები; ძირითადად, კახეთის რეგიონზე აღინიშნება, ღვინის წარმოების დაცემის ტემპი. ამჟამად კახეთის რეგიონში ფუნქციონირებს 10-მდე ღვინის საწარმო. ესენია: „თელავის ღვინის მარანი", ქართული ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია „ჯივიესი", „ჩალაზვაინსი", „ჩინებული", „ხაშმი", „კოტეხი", „ახაშენი", „ქინძმარაული" და სხვა, მათ გააჩნია უახლესი მოწყობილობა, რაც იძლევა მაღალი ხარისხის ღვინოების დამზადების საშუალებას, მათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მეღვინეობის აღორძინებასა და საექსპორტო პროდუქციის პოტენციალის გადიდებაში. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მათ სჭირდებათ სათანადო დახმარება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, რათა სრულად გამოიყენონ წარმოების არსებული ზრდის კარგი შესაძლებლობანი.

კახური ღვინოების გატანას უცხო ქვეყნების ბაზრებზე დიდად უშლის ხელს ის, რომ რეგიონში ღვინის საწარმოების დიდ უმრავლესობას არ გააჩნიათ ბაზრების შესწავლის მარკეტინგული კვლევის სამსახურები. ამ საქმის მოგვარებას გარკვეულად ართულებს ის, რომ მსოფლიო ბაზარი საკმარისად არის გაჯერებული ფართო ასორტიმენტის მაღალი ხარისხის

საკმარისი რაოდენობის ღვინოებით.

ქართული ღვინოების უცხოეთის ბაზარზე გატანას აფერხებს, დამზადების დაბალი ტექნოლოგიის გამოყენებასთან ერთად, ნედლეულის ხარისხობრივი და ჯიშობრივი სიწმინდის დაუცველობა. ქართული მაღალხარისხოვანი ჯიშებისაგან მიღებულ ნედლეულს ხშირად ურევენ ველური ფორმების მდარე ხარისხის ყურძენს, ე.წ. „უწამლოს", „ვაქირაულს", აზერბაიჯანულ „მატრასას" და სხვა. ეს არის ფალსიფიცირებული ღვინოები, რის გამოც მწარმოებლები კანონით მკაცრად უნდა ისჯებოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანაში არც თუ იშვიათად ირღვევა კანონის მოთხოვნები, ამიტომაც ადგილი აქვს ამ უმსგავსობას. საჭიროა დროზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი ბაზრებზე ფალსიფიცირებული და იაფფასიანი პროდუქციის გატანის წინააღმდეგ და გატარდეს მკაცრი სანქციები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ფალსიფიკაციის აღმოფხვრა და ბაზრების გაჯერება კახური მაღალი ხარისხის ღვინოებით.

აგრარული რეფორმის ერთ-ერთი მონაპოვარია, აგრეთვე, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის შეცვლა სურსათის მწარმოებელი დარგების უპირატესი განვითარებით. შეიძლება ითქვას, რომ დღეს კახელი გლეხი ეწევა ექსტენსიურ მიწათმოქმედებას, რომ მიაღწიოს საკუთარი თავის თვითუზრუნველყოფას. ამისათვის ზოგიერთმა მათგანმა ფართო მასშტაბით დათესა მარცვლეულის კულტურები და მზესუმზირა, თანაც სარწყავი მიწათმოქმედების გამოყენების გარეშე, რაც კახეთის პირობებისათვის ყოვლად დაუშვებელია. სარწყავი სისტემის მოშლამ აიძულა ისინი ამაზე წასულიყო და ბუნების კაპრიზების ზემოქმედების ქვეშ მოეხდინათ მათი წარმოება, რისკის ზრდის ფაქტორების ზემოქმედებით ეწევიან ამ მეურნეობრივ საქმიანობას. მძიმე პირობების

მიუხედავად, შეიცვალა კახეთის ბაზრის რეგიონის სპეციალიზაცია. თუ ადრე საბჭოთა პერიოდში მკვეთრად გამოკვეთილი სამრეწველო მევენახეობა და მეღვინეობა ახასიათებდა კახეთის რეგიონების ყველა 8 ადმინისტრაციულ რაიონს, ახლა, ეს მიმართულება ახასიათებს მხოლოდ გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, თელავის და საგარეჯოს რაიონებს, ხოლო დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის რაიონები მარცვლეულ-მეცხოველეობის და ტექნიკური კულტურებისა და ბაღჩეულის მწარმოებლები არიან. აქედან, დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონები წმინდა მარცვლეულ-მეცხოველეობისა და მზესუმზირას მწარმოებლები გახდნენ, ხოლო ლაგოდეხის რაიონი ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების პროდუქციის ღრმა სპეციალიზიებული მწარმოებლები. რეგიონში წარმოების ასეთი სპეციალიზაცია დროებით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული, კახეთის რეგიონმა მომავალში უნდა მიიღოს სამრეწველო მევენახეობისა და მეღვინეობის საწარმოო სპეციალიზაცია, ამას კარნახობს ამ მხარის მდიდარი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, ვენახის გაშენების კარგი ტრადიცია და სპეციალიზებული დარგების მაღალი ეფექტიანობა.

ქართველი მეცნიერ-სპეციალისტების გაანგარიშებით დადგენილია, რომ ქვეყანაში ხარისხიანი მევენახეობის ინტერესების გათვალისწინებით მთლიანად საქართველოში ვენახების ოპტიმალურ ფართობად მიჩნეულია 80-90 ათასი ჰა ფართობის ოდენობა დაახლოებით 65% და წარმოებული ყურძნის 70%-მდე მოვა მევენახეობის წამყვან რეგიონზე კახეთზე. არსებული ნარგავობის 90-92% უნდა იყოს სრულმოსავლიანი. მათზე შეიძლება (სულ მცირე) წარმოებულ იქნეს 250-300 ათასი ტონა მაღალხარისხიანი ხარისხობრივი ნედლეული. ასეთი მიდგომით, ამათ საკვლევ ზონაში უნდა გაიზარდოს წითელი ჯიშის ვაზის ფართობები:

თავკვერის, შავკაპიტოს, საფერავის, კაბერნეს და სხვათა ჯიშები.

ბოლო დროს მსოფლიო ბაზარზე წითელ, ვარდისფერ და ცქრიალა ღვინოებზე გაზრდილმა მოთხოვნამ გარკვეულად შეუწყო ხელი კახეთის რეგიონში საფერავის, თავკვერის, კაბერნეს და სხვა უპირატეს გაშენებას, ძირითადად, გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში. საჭიროა ამ პროცესებისადმი ხელის შეწყობა და გაფართოება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აგრარული რეფორმის საწყის ეტაპზე გაუარესდა კახეთის რეგიონში ყურძნისა და ღვინის პროდუქტთა ქვეკომპლექსის ფორმირების ადრინდელი საბჭოთა პერიოდის კანონზომიერების ამსახველი პროცესები. მოხდა დარგში დეინდუსტრალიზაცია, დაეცა მექანიზაციის დონე, დაქვეითდა სოფლის მეურნეობის საწარმოო სოციალური სფერო. ამის შედეგად შემცირდა საქონლიანობის დონე და წარმოება დაეცა, ხოლო მოსახლეობის გადახდის უნარიანობა დაქვეითდა. ეს პროცესები რომ სრულვყოთ, საჭიროა მსხვილი და მძლავრი მეურნეობების ფორმირება, რაც ვაზის წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების, კონცენტრაციის დონის გაზრდის და ინტენსიფიკაციის გადიდების გზით უნდა წარიმართოს. მართალია, აგრარული რეფორმა კახეთის რეგიონში ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მისი დასაწყისიდან საკმაოდ დიდი დრო (იგი დაიწყო 1992 წლიდან და გრძელდება დღემდე) გავიდა, რომლის განმავლობაში მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი რიგი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები და ცვლილებები, რომლებმაც ამ რეფორმების დისკრედიტაციამდე მიგვიყვანა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ძალზე აქტუალურად და დროულად მიგვაჩნია ქვეყნის აგრარულ სექტორში საბაზრო მექანიზმის ფორმირებაში გამოყენებული რიგი დებულებების თეორიული დასაბუთებულობის და

პრაქტიკული მნიშვნელობების კრიტიკული ანალიზი. რეგიონში აგრარული რეფორმის ერთ-ერთი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი უნდა ყოფილიყო, ამ სექტორის რაციონალური სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა, სინამდვილეში აქ მივიღეთ საწინააღმდეგო შედეგი; გაძლიერების ნაცვლად სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტება. უნდა გვახსოვდეს, რომ აგრარულ სექტორში სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა ეყრდნობოდეს სამ ძირითად მიმართულებას: პირველი - ეფექტიანობას, მეორე – სამართლიანობას, მესამე – სტაბილურობას. კახეთის რეგიონში ეს მიმართულება არც ერთი სახით არ გამოიყენება, რაც არასწორია და იგი დაძლეული უნდა იქნეს სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების გზით. აგრარულ სექტორში სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანები უნდა გახდეს:

_ სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა.

_ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის მიღწევების დანერგვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

_ ქვეყნის შიგნით ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირება.

_ ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრებზე გასვლა და ა.შ.

სახელმწიფო დღეს თითქმის ვერც ერთ ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. ამ მხრივ ქვეყანაში მართვის ვაკუუმია, არადა, აუცილებელია უზრუნველვყოთ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერება რეგიონში. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ინდიკატორული დაგეგმვის კარგი ორგანიზაციით. ინდიკატურმა დაგეგმვამ სოფლის მეურნეობაში, ძირითადად, სამი ფუნქცია უნდა შეასრულოს:

_ პირველი – განვითარების, პროგნოზირება და პროპორციების დაცვა.

_ მეორე – ფინანსური დაგეგმვა, როგორც შემოსავლიანობისა და ხარჯების დაბალანსების აუცილებელი ელემენტი.

_ მესამე – საქონლის მწარმოებლების ინფორმირება საქონლის გასაღების ბაზრების რაოდენობაზე და მომხმარებელთა ინფორმირება საქონლის მიწოდების თაობაზე, ე.ი. მოახდინოს მარკეტინგული მართვის ორგანიზაცია. აქ, უპირატესად, დაგეგმვის სარეკომენდაციო ხასიათი იგულისხმება და იგი უნდა იგეგმებოდეს მაკრო და მიკრო, აგრეთვე რეგიონების დონეებზეც.

დასკვნა ასეთია, აგრარული გარდაქმნებით საკვლევი რეგიონის დონეებზე არ გვაქვს დამაკმაყოფილებელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, რადგან სრულად ვერ ამუშავდა კერძო სექტორი, ხოლო სახელმწიფო სექტორი უმოქმედოა, ჩაკვდა. ამის ძირითადი მიზეზია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტება, საჭიროა ამ როლის ამაღლება, რაც უნდა განხორციელდეს ზემო აღნიშნული მიმართულებით, იგი გაზრდის რეგიონების ეკონომიკას და ქვეყანაში შეიქმნება ძლიერი რეგიონები და ჩამოყალიბდება ძლიერი ცენტრი ქვეყნის მყარი ეკონომიკის სახით, ამით ხალხის ცხოვრების დონე ამაღლდება.

1.4. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები

ყურძნის მოსავლის გაზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებზე, ვაზის ჯიშური თვისებებისა და მისი მოვლის

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსზე, ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

ვაზისთვის ხელშემწყობი ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, ვაზის მრავალი გარეული ფორმა და აბორიგენული ჯიშები, უძველესი დროიდან მომდინარე აგროტექნიკური და ტექნოლოგიური წესები, მდიდარი ტექნოლოგია მევენახეობასა და მეღვინეობაში, ბოლო ხანს დაგროვილი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა ამჟღავნებს იმას, რომ საქართველო ვაზის კულტურულ ფორმათა წარმოშობის ერთ-ერთ ძირითადი კერაა.

საქართველოში მევენახეობის რაიონებისათვის შემუშავებულია ვაზის ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი, მაგრამ იგი მაინც მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას ეკოლოგიური პირობებისა და ჯიშის ბიოლოგიური თვისებების შესაბამისად. ვაზის ზრდაგანვითარება, მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი მჭიდროდ არის დაკავ-შირებული იმ ეკოლოგიურ პირობებთან, სადაც იგი იზრდება და ვითარდება.

საქართველოს ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. კავკასიის მაღალი მთებისა და შავი და კასპიის ზღვების ერთდროული პროცესები, რადიაციული ბალანსის სიდიდე და მით გამოწვეული ტრანსფორმაცია ქვეყნის რთულ ორთოგრაფიულ პირობებში განაპირობებენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ კლიმატის არსებობას.

კახეთის კლიმატი საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია ატმოსფეროს იმ ზოგადი ცირკულაციური პროცე-ებით, რომელთაც ადგილი აქვს საქართველოს და კერძოდ კახეთის ტერიტორიაზე. კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ალაზნის ვაკის და საერთოდ შიდა

კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფის პირობები.

კახეთის მხარეში განსხვავებული კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებია. უფრო მეტიც, ცალკეულ რაიონებში აშკარად შეიმჩნევა ურთიერთისაგან განსხვავებული ზონები და მიკროზონები.

კახეთის მხარის ნიადაგები შემდეგ ძირითად ტიპებად არის დაჯგუფებული: I შავმიწა, მუქი წაბლა და წაბლა ნიადაგები; II ტყის ნიადაგები; III ნეშომპალა და კარბონატული ნიადაგები; IV – ალუვიური ნიადაგები; V ქვიან-ღორღიანი კაჟნარევი ნიადაგები; VI ნაცრისფერი კარბონატული ნიადაგები; VII ეწერი ნიადაგები; VIII დაჭაობებული და დამლაშებული ნიადაგები.

ბუნებრივია, რომ კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების მრავალ-ფეროვნება საფუძვლად დაედო მევენახეობის თვალსაზრისით კახეთის მხარის ორ ძირითად ქვემხარედ - შიდა და გარე კახეთად დაყოფას. თავის მხრივ მასში გამოყოფილია ზონები და მიკროზონები, რომელთა დახასიათებისას ვეთანხმებით დოც. რ. ქოჩორაშვილს [88, 21] მოსაზრებას ზონალური დაყოფის შესახებ.

<u>შიდა კახეთის ქვეზონა.</u> კახეთის ამ ნაწილში გაერთიანებულია ახმეტის, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს რაიონები. გეოგრაფიულად კახეთი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მას ცივგომბორის მთა ორად ჰყოფს: შიდა და გარე კახეთად. შიდა კახეთი წარმოადგენს კავკასიონისა და ცივ-გომბორის მთების კალთების დაქანებას. იგი ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის მხრი-დან შემოფარგლულია კავკასიონისა და ცივ-გომბორის მთებით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან გაშლილია. შიდა კახეთის ტერიტორიას

დაქანება აქვს სამი მიმართულებით: ტერიტორიის საერთო დაქანება მდინარე ალაზნის გამდინარების მიმართულებით; შიდა კახეთის ტერიტორიის ნაწილი წარმოადგენს ცივ-გომბორის მთების დაქანებას, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთისაკენ და გრძელდება მდინარე ალაზნამდე; შიდა კახეთის ტერიტორის მეორე ნაწილი კავკასიონის მთების კალთების დაქანებას წარმოადგენს და მიმართულია დასავლეთისაკენ მდინარე ალაზნამდე.

ამგვარად, შიდა კახეთის ტერიტორია შეიცავს მთიან ნაწილს ალპური მდელოებით, ტყის ზონისა და მის მომდევნო მცირე ფერდობებს, რომლებზედაც განლაგებულია ხარისხიანი ღვინო მასალის მომცემი ვენახები. ფერდობების შემდეგ ვაკე ადგილები გამოყენებულია, როგორც ვაზის გასაშენებლად, ისე სხვა კულტურებისათვის აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

შიდა კახეთის კლიმატი მეტად ხელსაყრელია მევენახეობის განვითარებისათვის. აქ წლიური ნალექების ჯამი 700-800 მმ შეადგენს. მართალია, ზაფხულის თვეები (ივლისი-აგვისტო) გვალვიანია, მაგრამ ნიადაგის კარგად დამუშავებისას და ვენახში ყველა ღონისძიების დროულად და ხარისხიანად შესრულების შემთხვევაში მევენახეობის განვითარება მოურწყავად შესაძლებელია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალაზნის მარცხენა ნაპირის ზოგიერთი ტიპის ნიადაგებს, რომლებიც მეტად წყალგამტარია და ამის გამო აუცილებლად საჭიროა ვენახების მორწყვა. ყველაზე დაბალი ტემპერატურა იანვრის თვეზე მოდის, ამ თვეში ჰაერის საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა უდრის 1,3-2,6^{0}C-ს, აბსოლუტური მინიმუმი კი ჩრდილოეთ ნაწილში იშვიათად აღწევს მინუს 18,1^{0}C-ს. სხვა ადგილებში ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი კი

ჩრდილოეთ ნაწილში იშვიათად აღწევს მინუს 18,1^{0}C-ს. სხვა ადგილებში ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი აღწევს 14,8^{0}C-მდე, ამგვარ დონეზე ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დაცემა აღინიშნებოდა 1971-1972 წლებში, რის გამოც ვაზის მნიშვნელოვანი რაოდენობა შტამბზე იქნა გადაჭრილი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვალებადობამ 12,3^{0}C-დან 14^{0}C ფარგლებს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ შიდა კახეთისათვის ძლიერი ქარები არ არის დამახასიათებელი, მაგრამ ხშირია სეტყვა, რაც დიდ ზიანს აყენებს ვენახებს.

მეტად ჭრელია აგრეთვე კახეთის ნიადაგებიც. ცივგომბორის მთის ფერდობებზე ალაზნის მარჯვენა მხარე მაღალხარისხოვანი ღვინო-მასალის მომცემი ვენახების უმეტესობა გაშენებულია ნეშომპალა-კარბონატულ-თიხიან ნიადაგებზე. ამ ტიპის ნიადაგების დაბალ ჰორიზონტებში კალციუმის კარბონატები 60-70%-ს აღწევს, უფრო დაბლა ზონაში მოდის ტყის რუხი ნიადაგები, რომლებიც მოთავ-სებულია ლისისებრ და კარბონატულ თიხაზე. ეს ნიადაგები თავისი მექანიკური შემადგენლობით მძიმე თიხნარებია. კარბონატები იმყოფება 40-50 სმ სიღრმეზე და ზოგან დიდი რაოდენობით გვხვდება. ამ ზონის ნიადაგებზე მოსული ღვინო-მასალა საკმაოდ ჰარმონულია.

ვაკე ზონა შეიცავს ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებს. აქ ნაწილობრივ გვხვდება ვენახები, ძირითადად კი გამოყენებულია სხვა კულტურებისათვის. ამ ზონის ვენახები, რომლებიც გაშენებულია ჩონჩხიან და კარბონატულ ნიადაგებზე სადაც კალციუმის კარბონატები 25-30% აღწევს, ნაზ ჰარმონიულ ღვინოებს იძლევა.

ალაზნის მარცხენა ნაპირი ხასიათდება ალუვიური ნიადაგებით,

რომლებიც კალციუმის კარბონატებს მცირე ოდენობით შეიცავს, მაგრამ მდიდარია კალიუმითა და ფოსფორით, ასეთ ნიადაგებზე მაღალხარისხოვანი ღვინოები მიიღება.

შიდა კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ვენახები გაშენებულია შავ. წაბლა, მუქ-წაბლა, ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე, რომლებიც შედარებით მდარე ღვინო-მასალას იძლევიან. ამავე ზონაში გვხვდება აგრეთვე დამლაშებული ნიადაგები, რომელთა გამოყენება ვენახებისათვის შესაძლოა წინასწარი მელიორაციული ღონისძიებების გატარებისას.

<u>გარე კახეთის ქვეზონა.</u> ეს მოიცავს საგარეჯოს ადმინისტრაციულ რაიონს და გარდაბნის რაიონის ზოგიერთ ტერიტორიას. ამ ზონას აღმოსავლეთით ესაზღვრება ცივ-გომბორის მთა, რომელიც ყოფს მას შიდა კახეთისაგან. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით აკრავს ქართლის მთები, ხოლო დანარჩენი მხრიდან-სამხრეთ აღმოსავლეთით და სამხრეთ დასავლეთით გაშლილია.

გარე კახეთის ტერიტორია გამოირჩევა, როგორც დაბლობით, ისე ბორცვებით დ მისი უმეტესი ნაწილი ივრის ხეობას წარმოადგენს. აქ კლიმატი საგრძნობლად განსხვავდება შიდა კახეთის კლიმატისაგან და მეტი კონტინენტალობით, ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობით ხასიათდება.

ნალექების წლიური რაოდენობა 600-640 მმ შეადგენს, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა კი 66%-ს; წლიური საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა 11,4^{0}C.

საქართველოში წარმოებული ყურძნისა და ღვინის დაახლოებით 70% კახეთზე მოდის. კახეთის მხარეში სამრეწველო ვენახების ქვეშ გავრცელებულია ყავისფერ, მდელოს ყავისფერ, რუხი-ყავისფერ წაბლა,

ნეშომპალა-კარბონატულ, შავმიწები, და ალუვიური ნიადაგებზე, თავისი ქვეტიპებითა და სახესხვაობებით.

ყავისფერი ნიადაგები სამრეწველო მევენახეობის განვითარებისათვის წარმოადგენს კლასიკურ ნიადაგურ ტიპს. ამ ნიადაგებზე გაშენებული ვენახებიდან მიიღება ისეთი აღიარებული ღვინოები, როგორიცაა: წინანდალი, ვაზისუბანი, მუკუზანი, ახაშენი, გურჯაანი, მანავი და სხვ.

ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება: მარცვლოვან-კოშტოვანი სტრუქტურით, ჩონჩხიანობით, კარგი ფიზიკური, თბური, წყლიერი და ბიოლოგიური თვისებებით; კარბონატების მაღალი შემცველობით 93%-მდე, ნეიტრალური და ტუტუ PH-7,0-8,0) რეაქციით; თიხნარი და მსუბუქი თიხა მექანიკური შედგენილობით, დიდი შთანთქმის ტევადობით; ჰუმუსის – 3-7%; საერთო აზოტის – 0,05-0,4% საერთო ფოსოფრის – 0,04-0,3%; საერთო კალიუმის 0,8%, შესათვისებელი რკინისა და მანგანუმის მცირე შემცველობით. ეს უკანასკნელი ვაზის ქლოროზით დაავადების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

მდელოს ყავისფერი ნიადაგები – გავრცელებულია მდინარე ალაზანის მარჯვენა მხარეს, სოფ. მატანის მიდამოებიდან წნორ-ლაგოდეხის გზატკეცილებამდე. ამ ნიადაგებს ახასიათებს: გენეზისურ ჰორიზონტებად სუსტი დიფერენცირება; რუხი და ღია რუხი შეფერვა; აკუმულაციური ჰორიზონტების სისქე 20-40 სმ ფარგლებში მერყეობს; მძიმე თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობა, მსხვილ მარცვლოვანი სტრუქტურა, ალაგ-ალაგ ხირხატიანობა, ზედაპირიდანვე კარბონატების შემცველობა, დამაკმაყოფილებელი ქიმიური, ფიზიკური, წყლიერი და ბიოლოგიური თვისებები, ნეიტრალური და ტუტე არეს რეაქცია, ჰუმუსის შემცველობა 3-4%.

რუხი ყავისფერი (წაბლა) ნიადაგები-გავრცელებულია დედოფ-ლისწყაროს, გურჯაანის, სიღნაღის უკანა მხარის და ნაწილობრივ საგარეჯოს რაიონების ტერიტორიაზე ჰუმუსით და საკვები ელემენ-ტებით მდიდარი შავმიწა ნიადაგები უზრუნველყოფს ვაზის ძლიერ ზრდა განვითარებას და მაღალ მოსავლიანობას, მაგრამ ამ ნიადაგე-ბიდან მიღებული ღვინოები შედარებით დაბალი ღირსებით ხასიათ-დებიან. ამ ტიპის ნიადაგებიდან ვენახებისათვის უფრო პერსპექტიულია მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები, რომელთაც ახასიათებთ ჰუმუსიანი ფენის დიდი სისქე (ნახევარ მეტრზე მეტი). შავმიწა ნიადაგების მახასიათებლებია: ჰუმუსის შემცველობა 4-5%; საერთო ფოსფორი 0,12-0,18%, საკმაოდ უზრუნველყოფილია კალიუმის შესათვისებელი ფორმით.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები – გავრცელებულია ახმეტის რაიონის სოფ. მატანის, ყვარლის რაიონის კუდიგორის მიდამოებში. მისი მოზრდილი მასივები გვხვდება აგრეთვე დედოფლისწყაროს ტერიტო-რიაზე შირაქის და ზილიჩის მიდამოებში. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ჰუმუსიანი ფენა ეროზიული პროცესების შედეგად დახრილ ფერდობებზე 10-15 სმ-ს არ აღემატება. დაბლობში კი მისი სისქე ფართო ფარგლებში 1,0 მეტრამდე მერყეობს. ჰუმუსიანი ფენის ქვემოთაა კალციუმის კარბონატებით მდიდარი მოთეთრო ფერის, ფხვიერი ფენა, რომელიც ნიადაგის ღრმად დამუშავების დროს ზედაპირიდან ამობრუნდება და აუარესებს ნიადაგის თვისებებს. ასევე ნიადაგებზე ხშირია ქლოროზით ვაზის დაავადებების შემთხვევები.

ალუვიური ნიადაგები – განვითარებულია მდინარეების ალაზნის, ივრის და მათი შენაკადების გასწვრივ. კახეთის ალუვიური ნიადაგების დიდი ნაწილი კარბონატულია. ალუვიური უკარბონატო ნიადაგები

გვხვდება მხოლოდ ალაზნის მარცხენა სანაპიროზე. ალუვიური ნიადაგები ხასიათდებიან: საშულაო თიხნარი, უმეტესად უხირხატო შედგენილობით; ზედა ფენაში ჰუმუსის 1,8-2,8%-იანი შემცველობით; აზოტისა – 0,11-0,28%-იანი, კარბონატულ სახეობებში კალციუმის კარბონატების რაოდენობა 9-30% ფარგლებშია. ფიზიკურ-ქიმიურ და ბიოლოგიური თვისებები დამაკმაყოფილებელია.

აგროკლიმატური მაჩვენებლები: შიდა კახეთი – საშუალო წლიუ-რი ტემპერატურა +11,5 +13,5^0-ის ფარგლებშია; აბსოლუტური მინიმუმი – 11^0, აბსოლუტური მაქსიმუმი +35^0; აქტიურ ტემპერატურათა ჯამი +10^0-ის ზემოთ) 3500 – 4250^0-ის ფარგლებში მერყეობს; მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2050-2300 საათია, მათ შორის სავეგეტაციო პერიოდში 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე) 1500-1670 სთ-ს შეადგენს; უმზეო დღეთა რიცხვი მცირეა და 17-21-ს არ აღემატება; ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 550-800 მმ ფარგლებში მერყეობს; ზონის აღმოსავლეთ ნაწილში ყვარელი, ლაგოდეხი) კი 1000 მმ-ს აღემატება.

გარე კახეთის დაბლობ ნაწილში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +10,3 - +11,6^0-ს უდრის; აბსოლუტური მინიმუმი +38^0, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3700^0-ს შეადგენს; გარე კახეთის დაბლობ ნაწილში ნალექის წლიური ჯამი 450-550 მმ-ის ფარგლებში იცვლება.

ცნობილია, რომ რელიეფის მრავალფეროვნებამ, ჰავის და ნიადაგური პირობების სხვადასხვაგვარობამ განაპირობეს ვაზის ჯიშების განლაგება ცალკეული რაიონების მიხედვით. საქართველოში საუკუნეების მანძილზე ხალხური სელექციის მეშვეობით გამოყვანილია 500-ზე მეტი ვაზის ჯიში, რომელთა უდიდესი ნაწილი, 400-ზე მეტი, დაცულია საკოლექციო ნარგაობებში. ამჟამად სტანდარტულ ასორტიმენტში 47 ვაზის სამრეწველო

ჯიშია შეტანილი. აქედან 35 საღვინე ჯიშებს უკავიათ. [61, 20].

სტანდარტული ასორტიმენტი ძირითადად წარმოდგენილია ქართული აბორიგენული ჯიშებით: რქაწითელი, კახური მწვანე, გორული მწვანე, ხიხვი, ქისი, საფერავი, ჩინური, ალექსანდროული, ალადასტური, უსახელური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, კაჭიჭი, თავკვერი, შავკაპიტო და სხვა. ჯიშების შერჩევა და განლაგება უნდა დაზუსტდეს ეკოლოგიური პირობების მნიშვნელოვან ცვლილებებთან და ცალკეულ ვერტიკალურ ზონაში ჯიშურ შემადგენლობასთან დაკავშირებით.

კახეთის მხარეში ძირითადად დარიონებულია ვაზის შემდეგი ჯიშები და კლონები: „რქაწითელი 48“; „მწვანე კახური 12“; საფერავი ბუდეშურისებრი. ვაზის ამ ჯიშებიდან მზადდება ისეთი აღიარებული ღვინოები, როგორიცაა წინანდელი, ნაფარეული, გურჯაანი, მანავი, მუკუზანი, ქინძმარაული და სხვ.

რქაწითელის საშუალო საჰექტარო მოსალვიანობა 8-12 ტონის ფარგლებში მერყეობს. ცალკეულ შემთხვევებში იგი შეიძლება ავიდეს 15 ტონამდე. რქაწითელს შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვების უნარი აქვს – 30%-მდე. ამასთან ინარჩუნებს მჟავიანობას, რომელიც 5-6% გრ/დმ^3. ქვემოთ არ ეცემა. ტექნიკურ სიმწიფეში რქაწითელის შაქრიანობა 19-23%-ია. თავისი წარმოშობის ადგილებში ჩრდილო-დასავლეთ კახეთი) რქაწითელისაგან დგება ღია ჩალისფერი, ნაზი ჰარმონიული, მსუბუქი, ევროპული ტიპის ღვინოები. ამავე ზონაში კახური წესით დამზადებულ ღვინოებს განსაკუთრებით როცა რქაწითელში ურევია „კახური მწვანე“ და „ხიხვი“ აქვს ლამაზი ჩალისფერი შეფერილობა და ახასიათებს სისრულე, ჰარმონიულობა და მეტი სინაზე. ამასთან იგი წარმატებით გამოიყენება

აგრეთვე როგორც სასუფრე ყურძენი. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშებს შორის რქაწითელს წამყვანი ადგილი უკავია.

საფერავი ქართული, წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. იგი ვაზის წთიელი ჯიშების მსოფლიო ასორტიმენტის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. თავის სამშობლოში – კახეთში საფერავი იძლევა უმაღლესი ღირსების წითელ ღვინოებს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ცალკეული მხარეებისა და ზონების მიხედვით 138-დან 172 დღემდე მერყეობს. საქართველოში იგი ტექნიკურ სიმწიფეს სექტემბრის მეორე ნახევრიდან აღწევს.

მოსავლიანობა საშუალოდ 7,0-8,0 ტონამდე მერყეობს. Dაავადე-ბებს – ჭრაქსა და განსაკუთრებით ნაცარს, საფერავი შედარებით კარ-გად უძლებს, იგი ფილოქსერასადმი მგრძნობიარეა და ყინვას ეგუება.

საფერავი საუკეთესო მასალას იძლევა თითქმის ყველა ტიპის ღვინისათვის. თავის მაღალ თვისებებს საფერავი სრულად მხოლოდ განსაზღვრულ მიკროზონებსა და მიკროუბნების ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში იძლევა (ქინძმარაული, მუკუზანი, ახაშანი) საფერავისაგან დამზადებული ღვინოები გამოირჩევა ინტენსიური მუქი ბროწეულის ფერით, ზომიერი სიმაგრით, ენერგიით, სისრულით და სიხალისით, ჯიშური არომატითა და ძლიერი ბუკეტით.

კახური მწვანე უძველესი ქართული აბორიგენული, სხვადასხვა გარემო პირობებისადმი მგრძნობიარე ჯიშია, ამითაც აიხსნება მისი შედარებით ნაკლები გავრცელება. ჯიში ძალზედ მგრძნობიარეა ნაცრისადმი. მისთვის აუცილებელია ნიადაგისა და კლიმატის შესაფერისი პირობები.

კაბერნე ფრანგული ჯიშია, საქართველოში ძირითადად

გავრცელებულია წინანდალში, ნაფარეულში, კურდღელაურში და სხვა. კაბერნე კრაგად შეეგუა წინანდლის, თელიანის პირობებს და განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ღვინოც დგება ამ ადგილის ვენახე-ბიდან. მისი დადებითი მხარეა გამძლეობა ჭრაქის, სიდამპლის, სოკოვან დაავადებათა მიმართ. ნაკლებად უძლებს, როგორც ყინვებს, ისე გვალვას. ყურძნის სუფრის ჯიშებია ქართული საადრეო, თბილისური რქაწითელი, განჯური, სუფრის გორულა, ყვითელი კუმსი, კახური თითა და სხვ.

სხვადახსვა მხარის ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით წლების მანძილზე დაიხვეწა ვაზის ადგილობრივი ასორტიმენტი, რომელიც მდიდრდებოდა ახალი სელექციური უხვმოსავლიანი და მაღლაი ხარისხის პროდუქციის მომცემი ჯიშებით, რითაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო დონის არა მარტო მევენახეობის, არამედ ქართული ღვინის მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ვენახის ფართობების შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ყურძნის ჯიშების შემადგენლობაში. ყურძნის ჯიშობრივი შემადგენლობის განვითარების დინამიკაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 9.

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2006 წელს 1962 წელთან შედარებით რქაწითელის და საფერავის ჯიშის ვაზის ნარგავების ფართობები შესაბამისად 40,8%-დან 68,2%-მდე და 4,4%-დან 8,7%-მდე გაიზარდა. სამაგიეროდ შემცირდა თითქმის ყველა ჯიშის ყურძნის ფართობი. ამ ეტაპზე ძირითადად რქაწითელის ჯიშების უპირატესი განვითარება გამომდინარეობდა შრომის საკავშირო დანაწილებიდან.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში კი მნიშვნე-ლოვნად შემცირდა რქაწითელის ჯიშის ნარგავები. სამაგიეროდ გაიზარდა ისეთი ჯიშის ყურძნის ნარგავები რომლებიც წითელ, ვარდისფერ და შამპანურის

ღვინომასალებს იძლევიან. მაგალითად საფერავი, ციცქა, კაბერნე, შესაბამისად 6,6%-ით, 1,1%-ით და 0,6%-ით გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველო ჩაერთო შრომის საერთშაორისო დანაწილებაში და ამ ბაზარზე დასახელებული სახის პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია.

კახეთი, სადაც აწარმოებენ საქართველოში გამოშვებული ღვინოების საერთო მოცულობის 75%-ს, განსაკუთრებით ხელსაყრელი მხარეა წითელი და ვარდისფერი ღვინოების წარმოებისათვის.

მსოფლიოში ძირითადად მოთხოვნილება წითელ და ვარდისფერ ღვინოებზეა, საქართველოში კი ამ ღვინოების ხარისხი მეტად მაღალია. ამიტომ აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ფერმერებისათვის ყურძნის წითელი და ვარდისფერი ჯიშების საწარმოებლად, ძირითადად კაბერნეს, საფერავის და ოჯალეშის გასაშენებლად. ამასთან არ არის საჭიროება რაიმე უპირატესი ზომების მოძებნისა, პრაქტიკულად კახეთის მხარე განკუთვნილია მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოების წარმოებისათვის. სავსებით შესაძლებელია ყვარელის, კაჭრეთისა და ახმეტის ზონებში ბორდოს მსგავსი ღვინოების წარმოება.

თელავის რაიონში მიღებულ ღვინოებს ხარისხის მიხედვით საშუალო ადგილი უკავია ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოებს შორის, მაგრამ ახლოა ბორდოსთან, ხოლო გურჯაანისა და სიღნაღის რაიონის ღვინოები შემადგენლობის მიხედვით უფრო ბურგუნდიულ ღვინოებს ჰგავს. რაც შეეხება დედოფლისწყაროს ზონას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზონას აქვს მაღალხარისხოვანი ნატურალური ნახევრადტკბილი და სადესერტო მიმართულების ღვინოების მიღების მკვეთრად გამოხატული პირობები.

მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსი ყველაზე მეტად არის ორიენტირებული ბაზარზე და მისი პროდუქცია კონკურენტუნარიანო-

ბითაც გამოირჩევა. საქართველოს შეუძლია მაღალხარისხოვანი სუფრის სამარკო და უნიკალური ნახევრადტკბილი ღვინოები მსოფლიო ბაზარს მიაწოდოს. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურზე და კონიაკზეც. არსებობს ღვინო პროდუქტების საექსპორტო გატანის შესაძლებლობებიც. მაშასადამე, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

ცნობილია, რომ საქართველოს ხელსაყრელი პირობები გააჩნია მევენახეობის განვითარებისათვის. მხარეების ნიადაგური და კლიმატური პირობების სხვადასხვაობა ქმნის მიკროზონების

ცხრილი 9

ყურძნის ჯიშების განაწილება საქართველოს ვენახებში 1962-2006 წლებში (%-ით)[1]

ჯიშების დასახელება	1962 წ.	1984 წ.	1999 წ.	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.	2005 წ.	2006 წ.
რქაწითელი	40,8	72,8	73,5	73,5	73,7	72,1	69,5	68,2
ცოლიკაური	12,6	8,1	8,1	8,1	8,2	8,1	6,3	4,1
ციცქა	6,3	4,8	5,4	5,4	5,3	5,4	5,3	5,9
ჩინური	7,3	2,1	4,6	4,6	4,6	4,3	4,5	4,6
საფერავი	4,4	1,1	2,1	2	2	3,4	5,1	8,7
გორული მწვანე	2,6	0,8	1	1	1	1,4	1,9	2,1
კახური მწვანე	3,9	0,8	0,7	066	0,6	0,7	167	1,7
პინო შავი	1,4	0,8	0,7	0,4	0,4	0,5	0,8	1,0
ჩხავერი	0,26	0,1	0,2	0,2	0,2	0,2	0,3	0,3
კაბერნე	1,1	0,2	0,1	0,1	0,1	0,2	0,9	1,2
ალექსანდროული	0,75	0,2	0,1	0,1	0,1	0,2	0,8	0,8
სხვა ჯიშები	-	1,1	3,5	4	3,8	3,5	2,9	164
ს უ ლ	100	100	100	100	100	100	100	100

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტი „სამტრესტის“ მონაცემების საფუძველზე.

სხვადასხვა გამას, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ყურძნის ჯიშების მრავალფეროვანი პალიტრა და შესაბამისად გავაფართოვოთ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი.

ამასთან, თუ რამდენად არაგონივრულად იყენებენ ბუნებრივ სიმდიდრეს, მოწმობს ასეთი ფაქტი: კახეთის ვენახების თითქმის 68,2% უჭირავს მხოლოდ ერთი ჯიშის ყურძენს - „რქაწითელს“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი მრავალფეროვანი თეთრი სამარკო და ორდინალური მშრალი ღვინოები იწარმოება ერთი ჯიშის ყურძნისაგან. დანარჩენი ჯიშების სტრუქტურა ასეთია: „საფერავი“ – 8,7%, „ციცქა“ – 5,9%, „ჩინური“ – 4,6%, „ცოლიკაური“ – 4,1%, „გორული მწვანე“ – 2,1%, „კახური მწვანე“ _ 1,7%, „კაბერნე“ – 1,2%, „პინოშავი“ – 1,0%, „ალექსანდროული“ _ 0,8%, „ჩხავერი“ _ 0,3%, სხვა ჯიშები 1,4%.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ვენახები საკმაოდ ძველია. ვაზის სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ხელახლა დარგვის მაჩვენებელი. ვენახების ასაკი 25-დან 30 წლამდე მერყეობს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ვენახის მოვლის დონე დაბალი იყო, ასევე არ ხდებოდა მისი ხელახალი დარგვა. რის გამოც აღნიშნული მაჩვენებელი ვაზის სიკდვილიანობის მაჩვენებელზე დაბალი იყო, უახლოეს მომავალში ასეთი ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება, რადგან ვენახების ხელახლა დარგვა კვლავ შეზღუდულია.

ღვინის კომპანიები ფლობენ ან იჯარით აქვთ აღებული ვენახების ფართობის მხოლოდ 2%. ამის გამო ღვინის ქარხნებს სიძნელეები გააჩნიათ ყურძნის ხარისხისა და რაოდენობის მხრივ. მევენახეები ცდილობენ მიიღონ მოსავალი და მიაღწიონ მაღალ სარეალიზაციო ფასებს, ღვინის ქარხნებს კი სურთ დაბალ ფასებში შეისყიდონ მოსავალი. თუმცა

თანამედროვე მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებაა ინტერესთა კონფლიქტი ნედლეულის მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის.

მევენახეობის განვითარებას საქართველოში სერიოზულად უშლის ხელს ნამყენი ნერგის წარმოების ჩამორჩენა, რასაც მევენახეობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. 1990 წელს საქართველოში 18 სანერგე მეურნეობა არსებობდა. სადაც წლიურად იწარმოებდა 15-დან 20 მილიონამდე ნამყენი ვაზი. არსებობდა ჯიშების სადედეები და საძირეები. დღეისათვის ეს ყველაფერი თითქმის მთლიანად დანგრეულია. აღნიშნული მდგომარეობა აიძულებს მევენახეებს დარგონ არსებული ვენახებიდან აღებული ყლორტები, რომლებზეც არ არსებობს ფილოქსერას კონტროლი. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რაიმე ზომების მიღების გარეშე, საქართველოს არ შეუძლია მოახდინოს ვენახების რეაბილიტაცია არა – სერთიფიცირებული, ვირუსიანი სავეგეტაციო მასალებით.

2006 წლისათვის საქართველოში წარმოებული ნერგის ბაზრის მოცულობა კვლავ უმნიშვნელოა. სანერგე მეურნეობის განვითარებაზე ჩვენს მიერ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება იმით არის ნაკარნახევი, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრებზე გასვლის სტრატეგიას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყურძნის ჯიშობრივი შემადგენლობა. მაგალითად, მაღალი ხარისხის წითელ ჯიშებს (საფერავი, ალექსანდროული, მუჯურეთული) ინვესტიციების დაბრუნების მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე თეთრ ჯიშებს (რქაწითელი, ცოლიკაური, ციცქა). 1 ჰექტარი ვენახის გაშენებისათვის ინვეტსიციების ამოღების ვადა 2-5-ჯერ უფრო მოკლეა წითელი ყურძნის შემთხვევაში, ვიდრე თეთრი ყურძნის შემთხვევაში. ჩვენი გაანგარიშებით ვენახის გაშენებისა და მოვლისათვის 15-20%-იანი სესხის აღების შემთხვევაშიც კი წითელი ყურძნის წარმოება

მომგებიანია. მოგების მიღება მე-7 ან მე-8 წლიდან შეიძლება დაიწყოს, რქაწითელის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 17 წელია.

ბოლო წლებში შეინიშნება ახალშენი ვენახების ყოველწლიური ნარგავების მკვეთრი შემცირება, ენერგო-მატარებლებისა და შხამქიმიკატების ფასების ზრდა, ორგანიზაციული ხარვეზები, სანერგე მეურნეობის რღვევა. დღეს გამოკვეთილია ვენახის მფლობელთა ორი ჯგფი: პირველი, რომელსაც არ გააჩნია აუცილებელი წარმოების საშუალებები, საწვავი, შხამ-ქიმიკატები და ა.შ.; შეცვალა წარმოების პროფილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებით შემოიფარგლა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ვენახის ფართობები და შესაბამისად ყურძნის მოსავალიც.

მეორე ჯგუფი, რომელმაც შეძლო ნედლეულის წარმოება, გახდა ღვინის მრეწველობისათვის ნედლეულის ძირითადი მიმწოდებელი, მაგრამ ფასების ლიბერალიზაციამ, მიწოდების საბაზრო პირობებმა მიმწოდებელსა და გადამამუშავებელს შორის სერიოზული უთანხმოება გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში ღვინის მრეწვლეობის ძირითად სანედლეულო ბაზას წარმოადგენდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამ დროს კავშირი მწარმოებელსა და გადამამუშავებელს შორის თავისებურად ხორციელდებოდა სახელმწიფო საკუთრების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა პროდუქციის მიწოდების ვადებს, ასორტიმენტს, ნომენკლატურას, მხარეთა პასუხისმგებლობას, პირობების დარღვევის შემთხვევაში ეკონომიკურ სანქციებს და ასე შემდეგ. ამ დროს შეუძლებელი იყო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ნამდვილი პარტნიორობა და ურთიერთობების აგება ნებაყოფლობით პრინციპებზე.

საზოგადოებრივი საკუთრების შეცვლა, კერძო და კოლექტიური საკუთრების ფორმების დამკვიდრება, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, პირველ რიგში, თანასწორუფლებიანი პარტნიორების წარმოქმნაში გამოიხტა, მეღვინეობაში სააქციო საზოგადოების (გადამამუშავებელი), ხოლო მევენახეობაში – კერძო მესაკუთრეების ნედლეულის მწარმოებლების სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო საკუთრების ღვინის ქარხნებიდან წარმოქმნილი სააქციო საზოგადოების უმეტესობა გაურკვეველ მდგომარეობაშია. ისინი კვლავ სახელმწიფოსაგან მოელიან ფინანსურ, ტექნიკურ უზრუნველყოფას. საწარმოო პირობების შექმნას და ა.შ. ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მხარე საკმაოდ რთული პრობლემა აღმოჩნდა მევენახეობა-მეღვინეობის დარგისათვის საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში გარდა ამისა, დარგის წინაშე მრავალი პრობლემა დგას. მათი გადაჭრისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

_ ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ მსოფლიოში არ არის ღვინის მწარმოებელი, მეტ-ნაკლებად ცნობილი ქვეყანა, სადაც ღვინის წარმოების რეგულირების, კონტროლისა და განვითარების საქმეში სახელმწიფო ძირითად როლს არ ასრულებდეს. ამ საქმეში სახელმწიფოს როლის გააქტიურება უნდა გამოიხატოს მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განრხორციელებაში, რადგან სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, ღვინის მსოფლიო ბაზარზე გატანა და

უდიდესი ავტორიტეტის მქონე კონკრეტულ ბრძოლაში ადგილის მოპოვება პრაქტიკულად გამორიცხულია.

_ მსოფლიო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მევენახეობა-მეღვინეობის დარგების მართვის სისტემა.

_ უნდა დაჩქარდეს ღვინის ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა, რათა ექსპორტზე დაიშვას მხოლოდ ის ღვინოები, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს. დარგის განვითარების სტრატეგია მაღალხარისხოვანი და უნიკალური ღვინოების წარმოებას უნდა დაეფუძნოს, რათა ქართულ ღვინოებს ხარისხის ხარჯზე შეეძლოს ყველა ზღუდის გადალახვა.

_ ლიბერალური საგადასახადო სისტემის შექმნა. ვინაიდან არსებული გადასახადები მძიმეა ახლადშექმნილი სააქციო საზოგადოებებისათვის, რაც იწვევს ერთის მხრივ, მათი შემოსავ-ლების მნიშვნელოვან შემცირებას და მიყვანას გაკოტრებამდე; მეორეს მხრივ, საკუთარი წარმოების მიმართ ინტერესების შემცირებას;

_ ხელსაყრელი საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა, შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რაც დაეხმარება ახალ სტრუქტურებს საწარმოო პირობების შექმნაში და მოცულობის გაზრდაში.

_ პროდუქციის რეალიზაციის ორგანიზებული სისტემების შექმნა, საბაჟო გადასახადები, სალიცენზიო პოლიტიკის სრულყოფა, ამის საფუძველზე სასაქონლო ბაზრის ფორმირება, სადაც ეროვნული ინიციატივა იმპორტული საქონლის კონკურენციით კი არ დაიჩაგრება, არამედ სტიმული მიცემა კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში და მსოფლიო ბაზარზე გატანაში.

_ უნდა ვისწავლოთ კანონის პატივისცემა და მისდამი მორჩილება, როგორი ცუდიც არ უნდა იყოს ის. ცხადია, რომ ვაზისა და ღვინის პრობლემა ასეთი სიმწვავით არ დადგებოდა შესაბამისი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან საკანონმდებლო, ნორმატიული აქტების მოთხოვნების სრულად დაცვის პირობებში. ტყუილად არ ამბობენ: "ყოველი ერი ისე უნდა იცავდეს კანონს, როგორც მის მფარველ ციხე-გალავანსო".

თავი II. მევენახეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კანონზომიერებები და ეკონომიკური ეფექტიანობა კახეთის მხარეში

2.1. ვენახის ფართობების სტრუქტურა და ყურძნის წარმოების დონე დინამიკაში

საქართველოში, აგრარული რეფორმის კურსის არასწორი მიმართულებით გატარების შედეგად დაეცა ყურძნის წარმოების ეკონომიკა დინამიკაში და ვერ ასრულებს იმ როლს, რომლითაც იგი ხასიათდებოდა ადრეულ წლებში, რაზეც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 10.

ცხრილი 10

მევენახეობისა და მეღვინეობის პროდუქტთა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები[1]

	1990	1995	1999	2000	2004	2005	2006
1. მსხმოიარე ვენახის ფართობები მეურ-ნეობის ყველა კატეგორიაში (ათ. ჰა.)	112.8	78	68.5	63.7	60.2	60.2	60.2
მათ შორის საზოგადოებრივ მეურნეობებში	86.5	36	2.5	2.4	2.6	2.6	2.6
2. ყურძნის საერთო წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათ. ტ.)	316.5	105.5	238.5	210	180	250.3	162.5
აქედან საზოგადოებრივ მეურნეობებში	162.0	36.1	1.9	1.2	1.8	2.5	2.2
3. მოსავლიანობა 1 ჰექტარზე ყურძნისა, ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ცენტნერებში)	60.5	40.5	52.2	50.5	42.9	41.5	26.9
აქედან საზოგადოებრივ მეურნეობაში (ცენტნერებში)	58.5	20.1	11.5	12.8	9.9	9.5	5.8
4. ყურძნის სახელმწიფო შესყიდვა ყვე-ლა კატეგორიის მეურნეობიდან (ათ. ტ.)	316.5	20.5	-	-	-	-	-
მათ შორის საზოგადოებრივი მეურნეობიდან (ათ. ტ.)	162.0	8.5	-	-	-	-	-
5. საქონლიანობის დონე % მ. შ. წარმოებულ იქნა ღვინო	73.8	20.5	-	-	-	-	-
მასალები (მლნ ლარი)	30.7	2.0	2.9	3.2	3.4	3.3	2.9
6. ყურძნის ღვინო (მლნ ლარი)	10.2	4.0	1.8	2.0	2.2	2.2	2.2

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში მკვეთრად ეცემა ვენახის ფართობების მოცულობა, შესაბამისად ყურძნის საერთო წარმოება, მოსავლიანობა, მოსავალი.

რაჭა-ლეჩხუმის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში ვენახები მთლიანად კერძო სექტორში დარჩა. საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული ფართობები ან მთლიანად ამოიძირკვა, ან ნაწილობრივ გადაეცა კერძო სექტორს. ვენახების ფართობები მნიშვნელოვნადაა, აგრეთვე, შემცირებული იმერეთის რეგიონშიც.

განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ფართობები გურჯაანში (6321 ჰა), ახმეტაში (2718 ჰა), დედოფლისწყაროში (3729 ჰა). აქ დიდი ხანია არ ჩატარებულა მოვლითი სამუშაოები. ამასთან, საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების ჩატარება, რომ ისინი შენარჩუნებულ იქნას.

აგრარულმა გარდაქმნებმა რეგიონის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური შედეგები მოიტანა. მისი მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ მან საფუძველი დაუდო კერძო საკუთრების ჩამო-ყალიბებასა და ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნებს. ამჟამად აქ კერძო საკუთრება დომინირებს. 2006 წლის მონაცემებით კერძო სექტორში იწარმოება კახეთის რეგიონში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 98,9 %-ზე მეტი, მაშინ, როცა შესაბამისი მაჩვენებელი 80-იან წლებში, ე.ი. საბჭოთა პერიოდში 45%-ს არ აღემატებოდა. დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ძირითადად, საოჯახო მეურნეობებშია თავმოყრილი.

თუ 1999 წელს ამ ტიპის მეურნეობებში იწარმოებოდა 136,4 მილიონი ლარის პროდუქცია, ეს მაჩვენებელი 2006 წელს 32,0 მილიონი ლარით შემცირდა. ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა მხოლოდ 2000-2004

წლებში. რაც შეეხება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, იგივე პერიოდში ყურძნის წარმოების მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა – 40,7 მილიონი ლარიდან 1,4 მილიონ ლარამდე.

ამჟამად საქართველოში უპირატესად იწარმოება მშრალი ორდინალური და შემაგრებული ორდინალური ღვინოები, რომელთა ხვედრითი წონა მთლიანად წარმოებაში შესაბამისად შეადგენდა 1985 წელს 62,3%-ს და 27,6%-ს; 1990 წელს 67,7%-სა და 19,6%-ს; 1995 წელს – 51,3%-ს და 16,6%-ს; 2000 წელს 54,4%-ს და 16,6%-ს; 2006 წელს 52,2%-ს და 15,5%-ს. ღვინის პროდუქციის განსაკუთრებით მკვერთი შემცირება აღინიშნება 1990 წლის შემდგომი პერიოდიდან, რაც უპირველეს ყოვლისა, ყურძნის დამზადების, ფასწარმოქმნაში შექმნილი მდგომარეობით და მზა პროდუქციის რეალიზაციის შეფერხებით იყო გამოწვეული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყურძნის სამრეწველო გადამუშავების დონე. კახეთის მხარეში ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული ყურძნის დინამიკაზე 1990-2006 წლებში წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 11. ცხრილის ანალიზით ირკვევა რომ 2004 წელს 1990 წელთან შედარებით ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული ყურძენი 18-ჯერ შემცირდა. (იხ. ცხრილი 11).

შემცირების მაღალი ტემპები დაფიქსირდა ყვარელის, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებში. შესაბამისად 12-ჯერ, 7-ჯერ. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რაიონებში გვაქვს. ღვინის ქარხნების მიერ დამზადებული ყურძნის რაოდენობის შემცირებას ადგილი აქვს საანალიზო პერიოდში (1990-2006 წლები). მაგალითად: 2006 წელს 1995 წელთან შედარებით ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა შემცირდა თითქმის ყველა რაიონში. ხოლო მთლიანად კახეთის მხარეში 2006 წელს

1990 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 8-ჯერ შემცირდა. ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული

ცხრილი 11

კახეთის მხარეში ვენახის ფართობებისა და ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული ყურძნის რაოდენობის დინამიკა 1990-2006 წლებში[1]

რაიონები	1990 წ.		1995 წ.		2000 წ.		2006 წ.	
	ვენახის ფართობი სულ ჰა	ღვინის ქარხნის მიერ გადამუშავებული ყურძენი ტ.	ვენახის ფართობი სულ ჰა	ღვინის ქარხნის მიერ გადამუშავებული ყურძენი ტ.	ვენახის ფართობი სულ ჰა	ღვინის ქარხნის მიერ გადამუშავებული ყურძენი ტ.	ვენახის ფართობი სულ ჰა	ღვინის ქარხნის მიერ გადამუშავებული ყურძენი ტ.
ახმეტა	5300	36000	4900	6330	4600	4167	3500	2900
გურჯაანი	11386	71900	13900	6774	7300	7500	7400	3795
დედოფლისწყარო	8217	53178	3400	4300	3500	4807	4500	3200
თელავი	10028	59719	10100	6200	5500	6003	5200	5200
ლაგოდეხი	3404	19765	2500	3900	2800	2180	2700	2100
საგარეჯო	9792	33900	6200	5990	4500	4300	4120	2300
სიღნაღი	8000	21600	6200	4182	4500	3982	4300	4210
ყვარელი	10260	32900	9400	5903	6800	4546	5800	3800
სულ კახეთის მხარე	66387	329027	57300	43579	39500	37485	37800	27505

რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მხარეში ღვინის მრეწველობის მოძველებული ტექნიკური ბაზა, რომელიც 1990 წლამდე ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. 1990-2004 წლების ეკონომიკური კრიზისის პირობებში დარგში თითქმის მთლიანად შეწყდა ტექნიკური გადაიარაღება და ახლის მშენებლობა, შედეგად ღვინის მრეწველობაში გაიზარდა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანები და

[1] ცხრილი შედგენილია კახეთის მხარის სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე.

აპარატები, ძალზე დაბალია საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, არასაკმარისია სამაცივრო სათავსოები ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინო მასალების შესანახად. აღნიშნულმა მდგომარეობამ ცხადია გავლენა მოახდინა ქარხნების მიერ დამზადებული ყურძნის რაოდენობის შემცირებაზე. ასევე გაუარესებულია კონიაკისა და შამპანურის წარმოების ტექნიკური ბაზაც. რამდენადაც პრიორი-ტეტული სფეროა მევენახეობა საქართველოსათვის, ამდენად ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების ზრდისათვის მნიშვნელვოანია როგორც ვენახების ფართობების ზრდა, ასევე ღვინის მრეწველობის ტექნიკური ბაზის არსებითი გაუმჯობესება. მიგვანჩია, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური და საკმაოდ რთულია, ვინაიდან წარსულში პირველადი მეღვინეობის ტექნიკური ბაზის განვითარება მიმდინარეობდა სტიქიურად, ტექნიკურ-ეკნომიკური დასაბუთების გარეშე, რამაც გავლენა მოახდინა დარგის ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს მევენახეობის წინაშე დგას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

_ აგროღონისძიებათა სისტემის შემუშავება და ფართოდ დანერგვა პირველხარისხოვანი სარგავი მასალის გამოსავლიანობის გასადიდებლად;

_ სტანდარტული ჯიშების ბიოლოგიური თვისებების, ბუნებრივი პირობებისა და საწარმოო სპეციალიზაციის შესაბამისად ვენახების გაშენება-მოვლის პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავება, მექანიზა-ციის და ქიმიზაციის ფართოდ გამოყენება.

საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ შეძლო ძველი ასორტიმენტის შენარჩუნება და იგი დღეისათვის აწარმოებს ცნობილი ქართული ღვინოების „წინანდალი”, „მუკუზანი”, „ჰერეთი”,

„ტვიში”, „ნაფარეული”, „საფერავი”, „ყვარელი”, „ხვანჭკარა”: „ქინძმარაული ”, „ახაშენი”, „ოჯალეში”, „გურჯაანი” ჩამოსხმას.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სანედლეულო ბაზის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბაზარზე წარმოებული პროდუქციის რელაიზაციას. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ღვინის მაღალი ასორტიმენ-ტით, რომლის სანედლეულო ბაზასაც აღნიშნული ყურძნის ჯიშე-ბისაგან დამზადებული ღვინომასალები წარმოადგენდა. საჭიროა თვითონ მევენახეთა დაინტერესება იშვიათი ყურძნის ჯიშების ვენახების გასაშენებლად.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება დამოკიდებულია ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაზე. ამასთან ეს დარგი სულ უფრო მეტად კაპიტალტევადი ხდება, რადგან იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონე და მიწის ფასი. სწორედ ამიტომ მევენახეობის სანედლეულო რესურსებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, კერძოდ შინამრეწველობის განვითარებას და მის შეთანაწყობას მევენახეობასთან. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში ასეთი რესურსების გამოყენების და მევენახეობასთნა მისი შეთანაწყობის დონე ძალზე დაბალია, რის გამოც ზარალდებიან როგორც ფერმერები, ასევე მომხმარებლები. პირველნი კარგავენ დამატებით შემოსავლებს, მეორენი-სახალხო მოხ-მარების საქონელს.

2.2. მევენახეობის ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში

საქართველოში ყურძნის წარმოებას და მეღვინეობას დიდი ტრადიციები აქვს. ეს დარგი ყოველთვის დიდი მნიშვნელობით ხასიათდება, როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ისე კახეთის მხარისათვის.

როგორც ცხრილი 12-დან ჩანს ყურძნის ფართობები წლების მიხედვითაც და მემცენარეობის სხვა დარგებთან მიმართებაში პროცენტულადაც მცირდება.

მევენახეობა-მეღვინეობაში შექმნილ მდგომარეობას, ძირითადად, განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიზეზი, პირველ რიგში, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე დამღუპველი გავლენა მოახდინა 1985 წელს მიღებულმა ცნობილმა დადგენილებმა „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" და ამის ბაზაზე უკანასკნელ წლებში მაღალი ტემპებით განვითარებულმა ინფლაციურმა პროცესებმა და მეორე-შრომის ორგანიზაციის მოშლამ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მრეწველობისათვის ყურძნის ჩაბარებაზე.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საექსპორტო ღვინის პროდუქციის წარმოებას, რადგან იგი უნდა გახდეს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რაც შეიძლება მეტი კაპიტალის შემომტანი მართალია, ჩვენი საწარმოები არ არიან სათანადოდ უზრუნველყოფილნი საესქპორტო პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო ხარისხის ბოთლებით, მისი საცობებით, ეტიკეტებით, შესაფუთი მასალითა და ტარით, საწარმოებში საექსპორტო პროდუქციის ჩამოსხმა მიმდინარეობს მოძველებულ მანქანებსა და ტექნოლოგიურ ხაზებზე, რაც გავლენას ახდენს ღვინის პროდუქციის ხარისხზე და დაბალია მისი მდგრადობა: არ

არის ორგანიზებული საექსპორტო პროდუქციისათვის ცალკე ხარისხოვანი ყურძნის ჩაბარება და მისი ტექნოლოგიური დამუშავება, საწარმოთა მუშაკები არ არიან მატერიალურად დაინტერესებულნი სექსპორტო პროდუქციის გამოშვებისა და მისი გადიდებისათვის. მაგრამ ეს პრობლემები სწრაფად რომ გადაწყდეს, აუცილებელია ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მევენახეობა-მეღვინეობაში მიმდინარე პროცესებს. რამაც გარკვეულწილად დღის წესრიგში დააყენა ახალი სამსახურის შექმნა, განვითარებული ქვეყნების

ცხრილი 12

სასოფლო-სამეურნეო ფართობების ხვედრითი წილი დამუშავებაში მყოფ მიწებში (%-ით)[1]

		1995 წ.		2000 წ.		2004 წ.		2006 წ.	
		ფართით ათ. ჰა	%	ფართით ათ. ჰა	%	ფართით ათ. ჰა	%	ფართით ათ. ჰა	%
1	მარცვლოვან-პარკოსნები	260,0	44,60	386,0	51,28	356,0	51,29	35,5	52,9
2	ტექნიკური კულტურები	39,7	6,80	69,8	9,27	69,2	9,96	39,6	5,9
3	კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	52,0	8,98	93,1	12,36	87,0	12,53	94,4	14,0
4	საკვები კულტურები	57,7	9,89	61,5	8,17	51,7	7,44	50,7	7,5
5	ხილი	56,7	9,72	48,0	6,37	50,0	7,20	51	7,6
6	ციტრუსები	14,7	2,52	10,8	1,43	8,5	1,22	8	1,2
7	ყურძენი	78,0	13,37	68,2	9,06	57,9	8,34	60,2	8,9
8	ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი	24,2	4,12	15,3	2,03	14,0	2,01	12	1,8
		583,0	100,0	752,7	100,0	694,3	100,0	670,9	100

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკური კრებული 2005-06 წ.წ.

გამოცდილებიდან გამომდინარე, მევენახეობა-მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების მარკეტინგის სამსახურის ჩამოყალიბების აუცილებ-ლობა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წ. 18 აპრილის №113 ბრძანებულების საფუძველზე მეღვინეობის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის" ბაზაზე შეიქმნა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკური გაერითანება „სამტრესტი", რომელიც 1997 წლის ბოლოს გარდაიქმნა დეპარტამენტად. 1995 წლის 6 ივნისს დამტკიცდა „სამტრესტის" დებულება. სადაც განსაზღვრულია შემდეგი:

_ ალკოჰოლიანი სასმელების ლიცენზირება;

_ ალკოჰოლიანი სასმელების ტექნოლოგიურ პროცესებზე ზედამხედვლეობა ყურძნის გადამუშავბეიდან მზა პროდუქციის ჩათვლით, რაც აუცილებელი გახდა სახელმწიფო ზედამხედვლეობის ქვეშ საგადასახადო სისტემის და ფალსიფი ცირებული უხარისხო პროდუქციის გამოშვების, 19 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის 627 დადგენილება გამოვიდა და დამტკიცდა ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოების, შენახვის, ჩამოსხმისა და ბითუმად ვაჭრობის დეკლარირების შესახებ.

გარდა ამისა, ძირითადი ფუნქციებით განსიაზღვრება მეწარმეთა ინტერესის დაცვა, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და სხვა, სსრკ-ს რღვევის შემდეგ ღვინის წარმოება საგრძნობლად შემცირდა და კატასტროფამდე მივიდა. 1996 წლამდე პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბაზარი დაიკარგა, მაგრამ 1996 წ-დან სახელმწიფომ გამოყო ყურძნის შესასყიდად 9 მლნ ლარი, რამაც შეღავათი მისცა და გადამუშავებულ იქნა 6,0 ათასი ტონა ყურძენი, ამან განაპირობა, რომ

„სამტრესტის” საქმიანობის ძირითად ფუნქციად ჩაიდო მარკეტინგული საქმიანობა. ამასთან, ქვეყნის გარე თშეიქმნა ხელსაყრელი პირობები, რომ მსოფლიოში ცნობილი ქართული ღვინოები: „მუკუზანი”, „საფერავი”, ასევე ნახევრად ტკბილი წითელი ღვინოების „ხვანჭკარა”, „ქინძმარაული”, „ოჯალეში” სასაქონლო ნიშნების და ეტიკეტების გამოყენების კონტროლზე და ადგილობრივი ნედლეულისაგან მიღებულ პროდუქტებზე, ისეით ქვეყნების მიერ, როგორიცაა: უკრაინა, რუსეთი, უნგრეთი.

1994 წელს საერთაშორისო მევენახეობა-მეღვინეობის წევრად აღიარებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ვაზის და ღვინის შესახებ კანონის შექმნა, შეიქმნა სახელმწიფო კომისია მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლვითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, აკად. ნოდარ ჩხარტიშვილის თავმჯდომარეობით. პარლამენტის მიერ 1998 წ. 12 ივნისს მიღებულ იქნა კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ. 2000 წლის დასაწყისში, დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო მოთხოვნებიდან გამომდინარე კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დეპარტამენტი „სამტრესტის” და გაეროს სურსათის ორგანიზაცია FAO-ს ურთიერთშეთანხმებით, მომზადდა ვაზისა და ღვინის კანონში დამატებისა და ცვლილებების შესახებ კანონი, რომელიც 2001 წლის მაისში იქნა მიღებული.

მართალია „სამტრესტი” კავშირშია ღვინის ქარხნებთან და ბიზნესმენებთან, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო დონეზე ჯერ არ არის ურთიერთობა ჩამოყალიბებული. ვინაიდან „სამტრესტი” გახდა FAO-ს წევრი, ამიტომ ყოველწლიურად შეხვედრები FAO-სთან და მონაწილეობები კონკურსში, რამაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი დარგის წინსვლას. სწორედ ამის შედეგია, რომ ღვინის საწარმოები საერთშაორისო

და დსთ-ს ქვეყნების ბაზრობებზე გავიდნენ და მონაწილეობენ დეგუსტაციებზე და ა.შ. ამის შემდგომ დამსახურებულად იღებენ ჯილდოებსაც.

1955 წ-დან დღემდე, საქართველო „სამტრესტის” ხელმძღვანელობით იღებს მონაწილეობას მსოფლიოს და დსთ-ს გამოფენებზე. ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველსო ალკოჰოლურ სასმელებს მიღებული აქვთ 470-ზე მეტი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები; პლატინის და ოქროს ვარსკვლავები.

1999 წ. ზაფხულში ლონდონში მეღვინეობის მსოფლიო მუზეუმის პრეზენტაციაზე საქართველო ერთხმად აღიარეს მსოფლიოში მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოდ, რაც დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს და თავის მხრივ, პასუხიმსგებლობას მატებს ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის სპეციალისტებს ღვინის წარმოებაში და საერთშაორისო ბაზრებზე გასვლის ხაზითაც.

1999-2001 წლებში, წინა წლებთან შედარებით, აღდგა მოთხოვნილება ქართულ ალკოჰოლიან სასმელებზე, როგორც დსთ-ს, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

მისასალმებელია, რომ „სამტრესტი” აგრძელებს საინფორმაციო ბანკის შექმნას, რაც გაზრდის ქართული ღვინოების მოხმარების არეალს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე რეკომენდაცის მიცემა ამ დიდი ტრადიციების მქონე გაერთიანებისათვის – კახეთის მხარეში სრულად რომ ჩამოყალიბდეს ყურძნისა და ღვინის პროდუქტთა ქვეკომპლექსი; ფართოდ დაინერგოს ღვინის მრეწვლეობის საწარმოებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მისი პროგრესული მიმართულებები-ბიოტექნოლოგია, საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების კომპიუტერიზაცია და

ატვომატიზაცია, დარგსი ტექნიკური გადაიარაღების მიზნით გააფართოვოს კავშირები საზღვარგარეთის ფირმებთან.

ჩვენი მსჯელობის საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ ალკოჰოლიან სასმელების წარმოების ტემპებს 1980 და 2006 წლების პერიოდში და ყურძნის გადამუშავების სიმძლავრეებს (იხ. ცხრილი13).

ყურძნის გადამუშავების სიმძლავრნების შემცირება თვალსაჩინოა, კერძოდ, იგი შემცირდა:

1995 წელს – 422 ათას ტონამდე, 2000 წელს – 210 ათას ტონამდე, ხოლო 2006 წ. – 180 ათ. ტონამდე.

ცხრილი 13

ალკოჰოლური სასმელების წარმოების სიმძლავრეები და მისი გამოყენება 1980-2006 წწ[1].

წლები	ღვინის წარმოების სიმძლავრე (ათ. დალი)	გამოყენების დონე %	კონიაკის წარმოების სიმძლავრე (ათ. დალი)	გამოყენების დონე %	შამპანურის წარმოების სიმძლავრე (ათ. დალი)	გამოყენების დონე %	არაყის წარმოების სიმძლავრე (ათ. დალი)	გამოყენების დონე %
1980	21556	85,1	1784	65,4	13485	90,5	963	65,4
1985	16801	91,5	1284	75,9	27025	92,3	816	82,5
1990	16271	58,5	2168	65,4	18183	75,1	822	65,5
1995	4123	28,5	55	30,0	319	35,0	55	33,1
2000	2304	42,8	32,3	39,7	985	40,1	412	44,5
2006	2402	49,5	33,1	40,1	992	49,5	427	47,7

ცხრილი 13 ნათლად ამტკიცებს, რომ მცირდება ღვინის, კონიაკის,

[1] წყარო: საქართველოს „სამტრესტის" მონაცემების მიხედვით

შამპანურის და არაყის წარმოების საწარმოო სიმძლავრეთა მოცულობები და მისი გამოყენება. ამის ძირითადი მიზეზია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოუყენებლობა და რეფორმის კურსის არასწორად წარმართვა, რაც საწარმოთა რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაცისი კურსის არასწორად ჩატარების შედეგია.

კახეთის მხარეში და მთლიანად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების, ეკონომიკის გაჯანსაღების და ხალხის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების და ხალხის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ღვინის პროდუქტთა ქვეკომპლექსი, ამით განხორციელდება ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი და პრიორიტეტული დარგების ჯერ სტაბილიზაცია, შემდეგ კი მათი ზრდის პოტენციალური შესაძლებლობების სრულად გამოყენება და აღმავლობა, ამ მიზნით საჭიროა უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, საკონკურსო პროექტებსა (პროგრამებს) და ტენდერებში მონაწილეობისათვის თანაბარი პირობების შექმნა და დარგში თავისუფლაი კონკურენციის ახლებური ორგანიზაცია.

2.3. მევენახეობის მიმართულების ფორმირებების საწარმოო (რესურსული) პოტენციალი და მისი გამოყენების ეკონომიკური შეფასება

დარგის გაძღოლის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს მისი მიმართულებების და ინტენსივობის დონის გათვალისწინებით. ეს

აუცილებელია იმისათვის, რომ სუფრის ყურძნის წარმოების გაძღოლის სისტემა არსებითად განსხვავდება სამრეწველო ყურძნის წარმოების სისტემისაგან.

ყურძნის მოსავლის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში მაღალ აგროტექნიკასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯიშების სწორად დარაიონებას. შესაბამისი ვაზის ჯიშის შერჩევით და მოწინავე აგროტექნიკით შეიძლება მოსავლიანობის გადიდების და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საკითხის გადაწყვეტა. ვენახის ფართობების ზრდასთან დაკავშირებით ისმება ჯიშის სწორი განლაგების, სუფრის, საშამპანურე, სადესერტო ღვინოების, კონიაკების გამოშვების შემდგომი გადიდებისა და მათი ხარისხის არსებითი გაუმჯობსებისათვის მიწის მასივების რაციონალურად გამოყენების საკითხი.

საქართველოს მეღვინეობის დარგის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება 1995-2006 წლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 14) მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1995-2006 წლებში ყურძნის ღვინოების წარმოება შემცირების ტენდენციით ხასიათდება, დასახლებულ პერიოდში ეს მაჩვენებელი 10969 ათასი დკლ-ით შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა შამპანურისა (892 ათასი დკლ-ით) და არაყისა და ლიქიორის წარმოებაც (561 ათასი დკლ-ით).

ცხრილი 14

საქართველოს მეღვინეობის დარგის პროდუქციის
ძირითად სახეობათა წარმოება 1995-2006 წლებში[1]

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტის „სამტრესტის“ მონაცემების საფუძველზე.

წლები	ყურძნის ღვინო, ათ. დკლ.	შამპანური, ათ. ბოთლი	შამპანური, ათ. დკლ.	არაყი და ლიქიორი, ათ. დკლ.	ყურძნის წარმოება, ათ. ტონა
1995	12743	13798	1461	878	422,0
1996	9097	9199	824	684	311,0
1997	5205	5476	745	472	309,0
1998	4323	2500	300	350	239,0
1999	4123	707	119	83	220,0
2000	2541	506	85	181	210,0
2001	2231	1400	64	280	150,0
2002	1598	935	701	318	90,0
2003	1963	947	710	378	200,0
2000	2300	985	738	412	210,0
2004	1971	709,2	632	353	180
2005	2738	827,4	878	490	250
2006	1774	759	569	317	162,5

სანედლეულო რესურსებისა და მეღვინეობის დარგის ასეთი განვითარება ძირითადად გამოწვეული იყო პრივატიზაციის დაწყებით, მეჩხერიანობის გაზრდით 20-25%-მდე, საწვავის უქონლობით, აგროვადების დარღვევით და სხვა.

ყურძნის წარმოების მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია ზოგიერთი ქარხნის სრული გაჩერება, რამაც კატასტროფულად იმოქმედა მათ ტექნიკურ-ეკონომკიურ მდგომარეობაზე. მინიმუმამდე დაეცა ღვინო მასალების წარმოება და მკვეთრად შემცირდა როგორც სამარკო ღვინოების, ასევე სპირტის მარაგები.

საქართველოს მევენახეობის წინაშე მდგარ მიმართულებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეთრი და წითელი ჯიშის ყურძნის

გაშენების ამჟამად არსებული შეფარდების პრობლემის გადაჭრა. დღეისათვის იგი თეთრი ღვინოების დიდი წილით გამოირჩევა მაღალმწარმოებლურ ღვინომასალებში. საქმე ისაა, რომ კახეთში, განსაკუთრებით ხელსაყრელია წითელი და ვარდისფერი ღვინოების წარმოება.

შამპანურის წარმოების ერთ-ერთი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში ძირითადი როლი შამპანურის წარმოებაში მინიჭებული აქვს ციცქას ჯიშის ყურძენს, რომელსაც სპეციფიკური თვისებები ახასიათებს, ამასთან დაკავშირებით შამპანურის ღვინომასალების წარმოების ზონაში ციცქას ჯიშის ყურძნის წარმოების გადიდება და შესაბამისად ჩინურის, გორული მწვანეს და რიგი სხვა საშამპანურე ჯიშების ხვედრითი წონის ზრდა წარმოადგენს საქართველოს მევენახეობის ხანგრძლივი პერსპექტიული განვითარების მნიშვნელოვან ამოცანას. საშამპანურე ნედლეულის წარმოების ძირითად რაიონებში (ზესტაფონი, თერჯოლა, კასპი, გორი, მცხეთა, ხაშური, საჩხერე), უკანასკნელ წლებში ვენახის ფართობები უფრო მეტი რაოდენობით შემცირდა, ვიდრე ახლის გაშენება მიმდინარეობს. ამ რაიონებზე კი მოდის შამპანურის ღვინომასალების მწარმოებელი ზონის ვენახების საერთო ფართობის 58%. შამპანურის ღვინომასა-ლების მწარმოებელ რაიონებში ბოლო ათწლეულში ვენახების ფართობი თითქმის 30-35%-ით შემცირდა, დარჩენილ ფართობებზე მნიშვნელოვანი რაოდენობის ვენახები ამორტიზირებულია, ახალი ვენახების გაშენება თითქმის არ ხორციელდება, ვენახების მეჩხერიანობა 18-20%-ს აღწევს და შეიძლება დავასკვნათ, რომ შამპანურის ღვინომასალების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზა კატასტროფულ მდგომარეობაშია.

კონიაკის წარმოების სანედლეული რესურსები საქართველოს მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში მოიპოვება. საქართველოში საკონიაკე სპირტის მისაღებად გამოყოფილი არ არის სპეციალური რაიონები, ამიტომ საკონიაკე მასალებს ამზადებენ მეღვინეობის თითქმის ყველა რაიონში.

ქართველმა მეცნიერმა, ა. ლაშხმა ჩაატარა ნაყოფიერი მუშაობა საუკეთესო საკონიაკე მასალების მომცემი ვაზის ჯიშებისა და რაიონების შესასწავლად. ამ მიზნით იგი საქართველოს ყოფს სამ ზონად: პირველ ზონაში საყურადღებოა შიგა კახეთი, განსაკუთრებით ალაზნის მარცხენა მხარე, რომელიც იძლევა მაღალხარისხოვან საკონიაკე მასალას. ამ ზონაში საკონიაკე სპირტებს ამზადებენ: ყვარელში, შილდაში, წინანდალში, გურჯაანში, ხირსაში და ბოლნისში.

მეორე ზონაში მოქცეულია შუა ქართლი, მესხეთი, ზემო იმერეთი და ნაწილობრივ შუა იმერეთიც. აქ საკონიაკე სპირტების მომცემი ძირითადი ვაზის ჯიშებია: ცოლიკაური, ციცქა, ჩინური, გორული მწვანე და ძველშავი, ამავე ზონაში ამზადებენ აგრეთვე შამპანურის ღვინომასალებს. აღნიშნულ ზონაში კერძოდ, ზესტაფონისა და საჩხერის რაიონებში ამზადებენ საკონიაკე სპირტებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოებული სპირტები პირველი ზონისას ჩამორჩება ხარისხით და ამის გამო ამ ზონას ძირითადად ორდინალური კონიაკის წარმოების მიმართულება უნდა მიეცეს.

მესამე ზონაში, რომელშიც შედის ქვემო და შუა იმერეთი ნაწილობრივ, რაჭა-ლეჩხუმი, გურია და სამეგრელო, ამზადებენ ევროპული და იმერული ტიპის ღვინოებს. ამ ზონაში (ვარციხე, დიმი, ამბროლაური, ზუგდიდი, ჩოხატაური) საკონიაკე სპირტები მიიღება ცოლიკაურიდან,

ციცქადან და ძველშავიდან. აქ მიღებული სპირტები უფრო ნაზია და მალე ძველდებიან, როგორც პირველი ზონის საკონიაკე სპირტები. აღსანიშნავია, რომ მაღალხარისხოვანი კონიაკები არ შეიძლება მივიღოთ ყველა ვაზის ჯიშიდან. საკონიაკე სპირტისათვის უმჯობესია დაბალ ალკოჰოლიანი და მაღალმჟავიანი ღვინომასალები, ის უნდა იყოს საღი, არ უნდა ჰქონდეს გარეშე გემო და სუნი.

ყურძნის წარმოების დინამიკა საკვლევი რაიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილი 15-ში. 1990 წელს კახეთის მხარეში წარმოებული იქნა 434,0 ათასი ტონა ყურძენი. მათ შორის წარმოებული ყურძნის 24,1% - დაახლოებით მეოთხედი მოდის გურჯაანის რაიონზე. ასევე მნიშვნელოვანია თელავისა და ყვარელის წილიც – შესაბამისად 17,1% და 14,7%. ამასთან წლების მიხედვით იცვლებოდა ცალკეული რაიონების წილი ყურძნის მთლიან წარმოებაში. მაგალითად: 2000 წელს გურჯაანში იწარმოებოდა მხარეში წარმოებული ყურძნის 35,4%, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 23,9%-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა ყვარლის რაიონის წილი ყურძნის წარმოებაში 15,7%-დან 2000 წელს – 10,0%-მდე 2006 წელს. რამდენადმე გაიზარდა ახმეტის, დედოფლისწყაროს, თელავის და სიღნაღის რაიონების წილი ყურძნის წარმოებაში. ყურძნის წარმოების წამყვან რაიონებში გურჯაანსა და ყვარელში ყურძნის წარმოების შემცირება სხვა მიზეზებთან ერთად ინფრასტრუქტურის დაბალ დონემაც განაპირობა. რაც შეეხება ზოგეირთი რაიონის წილის უმნიშვნელო ზრდას ყურძნის წარმოებაში, იგი მანუგეშებელ მდგომარეობად ვერ ჩაითვლება და ამ რაიონებისთვისაც აქტუალურია ყურძნის წარმოების გადიდების ღონისძიებები.

საქართველოში ყურძნის პროდუქციის წარმოების წამყვანი მხარე

კახეთის მხარეა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია როგორც მხარის, ასევე მის ცალკეულ რაიონში წარმოებული ყურძნის პროდუქციის წილის განხილვა ქვეყნის მთლიან წარმოებაში. 2006 წელს 1990 წელთან შედარებით კახეთის წილი - ყურძნის მთლიან წარმოებაში 12,8%-ით შემცირდა. ბუნებრივია, შემცირდა თითოეული რაიონის წილიც ყურძნის მთლიან წარმოებაში. მაგალითად თუ 1990 წელს გურჯაანში იწარმოებოდა მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ყურძნის 15,2%, თელავში 10,7%, ყვარელში 9,2%, 2006 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად რაიონების მიხედვით – 12,2%, 9,8% და 5,0-მდე თუმც 2006-ში მცირედით მოიმატა. ცალკეული რაიონების მიერ წარმოებული ყურძნის პროდუქციის შემცირება თავისთავად უარყოფითი ტენდენციაა და არ შეესაბამება მევენახეობის განვითარების პოტენციალს, მითუმეტეს რომ ვენახის ფართობების უდიდესი ნაწი (72,3%-ზე მეტი) უხვმოსავლიან ჯიშებს – რქაწითელსა და ცოლიკაურს უკავიათ.

ცალკეულ რაიონებში და მთლიანად მხარეში წარმოებული ყურძნის პროდუქციის რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ყურძნის წილის ჯიშობრივ შემადგენლობაზეც. აღსანიშნავია რომ ამ მიმართულებით ანალიზს ართულებს ის, რომ ყურძნის საერთო მოსავალში სასუფრე ჯიშის ყურძნის წილის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ჩვენს მიერ სპეციალისტთა და ფერმერთა

ცხრილი 15

ყურძნის წარმოება კახეთის რაიონებში[1]

რაიონები	1990 წ.		2000 წ.		2004 წ.		2005 წ.		2006 წ.	
	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%	ათ. ტ.	%
ახმეტა	38,7	8,9	8.9	8.2	10.2	12.0	11,2	8,8	7.8	9.7
გურჯაანი	104,8	24,2	24.7	22.5	16.0	18.7	30,8	240	20.4	25.4
დედოფლისწყარო	56,7	3,1	14.1	13.0	6.9	8.0	17,3	13,5	9.5	11.8
თელავი	74,0	17,1	19.4	18.0	16.0	18.7	23,7	18,5	14.6	18.2
ლაგოდეხი	26,1	6,0	7.5	7.0	7.0	8.1	8,9	7,0	6.0	7.0
საგარეჯო	27,5	6,3	11.5	10.6	8.1	9.4	8,9	7,0	5.2	6.5
სიღნაღი	42,63	9,7	11.5	10.6	12.1	14.1	14,1	11,0	8.7	10.9
ყვარელი	63,67	14,7	10.6	9.8	8.7	10.1	13,5	9,5	8.0	10.0
კახეთი	434,0	100	108.2	100	85.0	100	128,4	100	80.2	100

[1] ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

გამოკითხვით, მასალების ანალიზისა და საექსპერტო შეფასების მეთოდით დადგინდა, რომ სასუფრე ჯიშის ყურძნის წილი 0,5%-ს არ აღემატება. მიგვაჩნია რომ სანედლეულო ბაზის განვითარებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისმა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებამ და მის საფძველზე შესაბამის მესაკუთრეთა ფენის ფორმირებამ.

საკუთრების ფორმების მიხედვით ყურძნის წარმოების სტრუქტურაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 16 მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ყურძნის წარმობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ოჯახური მეურნეობები.

თუ 2000 წლს ამ ტიპის მეურნეობებში იწარმოებოდა 146,3 მილიონი ლარის პროდუქცია, ეს მაჩვენებელი 2006 წელს 14 მილიონი ლარით გაიზარდა. ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა მხოლოდ 2002-2005 წლებში. რაც შეეხება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, იგივე პერიოდში ყურძნის წარმოების მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა – 9,3 მილიონი ლარიდან 2,2 მილიონ ლარამდე.

ცხრილი 16

ყურძნის პროდუქციის წარმოების დინამიკა სახელმწიფო და კერძო სექტორში[1]

	2001*	2002*	2003*	2004	2005	2006
ყურძნის პროდუქცია – სულ	150	90	200	180	250,3	162,5
მათ შორის:						
ოჯახურ მეურნეობებში	132,0	89,1	194,0	178,2	248.8	160,3
სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში	18	0,9	6	1,8	1,5	2,2

[1] ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე მლნ. მანეთებში,

ამჟამად საქართველოში უპირატესად იწარმოება მშრალი ორდინალური და შემაგრებული ორდინალური ღვინოები, რომელთა ხვედრითი წონა მთლიანად წარმოებაში შესაბამისად შეადგენდა 1985 წელს 62,3%-ს და 27,6%-ს; 1990 წელს 67,7%-სა და 19,6%-ს; 1995 წელს – 51,3%-ს და 16,6%-ს; 2000 წელს 54,4%-ს და 16,6%-ს; 2006 წელს 50,2%-ს და 15,5%-ს. ღვინის პროდუქციის განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება აღინიშნება 1990 წლის შემდგომი პერიოდიდან, რაც უპირველეს ყოვლისა, ყურძნის დამზადების, ფასწარმოქმნაში შექმნილი მდგომარეობით და მზა პროდუქციის რეალიზაციის შეფერხებით იყო გამოწვეული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყურძნის სამრეწველო გადამუშავების დონე. 2006 წელს 1990 წელთან შედარებით ღვინის ქარხნების მიერ დამზადებული ყურძენი 11,9-ჯერ შემცირდა.

შემცირების მაღალი ტემპები დაფიქსირდა ყვარელი, სიღნაღი, საგარეჯოს რაიონებში. შესაბამისად 12-ჯერ, 19-ჯერ, 7-ჯერ. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რაიონებში გვაქვს. ღვინის ქარხნების მიერ დამზადებული ყურძნის რაოდენობის შემცირებას ადგილი აქვს მთელ განსახილველ პერიოდში 1999-2004 წლები. მაგალითად: 2006 წელს 1995 წელთან შედარებით ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა შემცირდა თითქმის ყველა რაიონში. ხოლო მთლიანად კახეთის მხარეში 2000 წელს 1990 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 1,5-ჯერ შემცირდა. ღვინის ქარხნების მიერ გადამუშა-ვებული ყურძნის რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მხარეში ღვინის მრეწვლეობის მოძველებული ტექნიკური ბაზა, რომელიც 1990 წლამდე ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. 1990-2006 წლების

ეკონომიკური კრიზისის პირობებში დარგში თითქმის მთლიანად შეწყდა ტექნიკური გადაიარაღება და ახლის მშენებლობა. შედეგად ღვინის მრეწველობაში გაიზარდა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანები და აპარატები, ძალზე დაბალია საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, არასაკმარისია სამაცივრო სათავსოები ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინო მასალების შესანახად. აღნიშნულმა მდგომარეობამ ცხადია გავლენა მოახდინა ქარხნების მიერ დამზადებული ყურძნის რაოდენობის შემცირებაზე. ასევე გაუარესებულია კონიაკისა და შამპანურის წარმოების ტექნიკური ბაზაც. რამდენადაც პრიორიტეტული სფეროა მევენახეობა საქართველოსათვის, ამდენად ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების ზრდისათვის მნიშვნელოვანია როგორც ვენახების ფართობების ზრდა, ასევე ღვინის მრეწველობის ტექნიკური ბაზის არსებითი გაუმჯობესება. მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური და საკმაოდ რთულია, ვინაიდან წარსულში პირველადი მეღვინეობის ტექნიკური ბაზის განვითარება მიმდინარეობდა სტიქიურად, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე, რამაც გავლენა მოახდინა დარგის ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე (იხ. ცხრილი 17).

კახეთის მხარის ღვინის მრეწველობის არა მარტო ტექნიკური ბაზის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დარგში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი მოსაგვარებელი პრობლემაა, მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია:

_ დაბალია დარგის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, საწარმოებში ბერვია ფიზიკურად და მორალურად მოძველებული დანადგარები და ტექნოლოგიური ხაზები, რომლებიც მოითხოვენ დაუყონებლივ შეცვლას, ამისათვის კი ქვეყანაში საკმაო რაოდენობითაა

უმოქმედო ან დაბალი დატვირთვის მქონე მექანიკური მანქანათმშენებელი ქარხნები კარგი და მრავალფეროვანი ჩარხების პარკით, რომლებიც სულ იოლად შეიძლება იქნას გამოყენებული მეღივნეობისათვის მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური ხაზების წარმოებისათვის;

_ სანედლეულო რესურსები და საწარმოო სიმძლავრეები არ შეეფარდება ერთმანეთს, რის გამოც ძალზე დაბალია არსებულ საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენება, ამიტომ აუცილებელია პერსპექტივაში გათვალისწინებულ იქნეს ნედლეული რესურსების წარმოების გადიდება და მის შესაბამისად საწარმოთა სიმძლავრეების ოპტიმიზაცია;

_ პერსპექტივაში ყურძნის წარმოების გადიდებას საფუძვლად უნდა დაედოს ვენახების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებული ღონისძიებები. საქართველოში მევენახეობის შემდგომი განვითარება უნდა ითვალისწინებდეს კომპლექსური და დიფერენცირებული აგროტექნიკის გამოყენებას სამრეწველო ჯიშებისა და მევენახეობის ზონების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მევენახეობის წინაშე დგას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

_ აგროღონისძიებათა სისტემის შემუშავება და ფართოდ დანერგვა პირველხარისხოვანი სარგავი მასალის გამოსავლიანობის გასადიდებლად;

_ სტანდარტული ჯიშების ბიოლოგიური თვისებების, ბუნებრივი პირობებისა და საწარმოო სპეციალიზაციის შესაბამისად ვენახების გაშენება-მოვლის პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავება, მექანიზაციის და ქიმიზაციის ფართოდ გამოყენება.

საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ შეძლო ძველი ასორტიმენტის შენარჩუნება და იგი დღეისათვის აწარმოებს ცნობილი ქართული ღვინოების „წინანდალი", „მუკუზანი", „ჰერეთი",

„ტვიში”, „ნაფარეული”, „საფერავი”, „ყვარელი”, „ხვანჭკარა”, „ქინძმარაული”, „ახაშენი”, „ოჯალეში”, „გურჯაანი” ჩამოსხმას.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სანედლეულო ბაზის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსა და მსოფლიოს

ცხრილი 17

კახეთის მხარეში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა 2006 წლის მდგომარეობით[1]

დასახელება	ახმეტა		გურჯაანი		დედოფლის წყარო		ლაგოდეხი		საგარეჯო		სიღნაღი		ყვარელი		თელავი		კახეთის მხარე	
	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია	სერთო რაოდენობა	მ.შ. მზადყოფნაშია
ტრაქტორები, სულ	158	89	478	387	71	50	582	500	878	396	370	180	614	470	694	344	3843	2416
ი.ს. სახნავი	62	41	193	154	23	18	83	45	164	74	98	65	340	330	196	101	1159	828
აქედან: თვლიანი	90	40	258	219	10	9	31	25	51	26	7	4	213	200	498	243	1158	766
სატვირთო ავტომანქანები	105	65	105	101	72	52	183	120	76	47	450	410	474	440	462	291	1927	1526
გუთნები	31	25	83	71	19	16	171	171	135	78	65	43	150	120	124	120	778	644
სათესები	43	36	16	14	17	16	53	40	47	36	50	35	38	22	40	40	304	239
კულტივატორები	17	15	8	6	16	13	104	91	54	44	43	38	85	60	48	48	375	315
შესასხურებელი აგრეგატები	17	13	88	51	2	2	62	40	62	51	32	25	93	50	83	80	439	312
სასუქების გამფანტველები	11	8	5	3	3	2	12	10	30	9	15	10	24	14	25	25	125	81
სათიბები	7	4	11	9	2	2	10	10	17	11	20	10	0	0	5	5	72	51
კომბაინები	35	30	41	35	90	80	58	30	74	50	55	47	38	30	29	25	420	327

[1] ცხრილი შედგენილია კახეთის მხარის სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე

სხვა ქვეყნების ბაზარზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ღვინის მაღალი ასორტიმენტით, რომლის სანედლეულო ბაზასაც აღნიშნული ყურძნის ჯიშებისაგან დამზადებული ღვინომასალები წარმოადგენდა. საჭიროა თვითონ მევენახეთა დაინტერესება იშვიათი ყურძნის ჯიშების ვენახების გასაშენებლად.

როგორც ცნობილია, კახეთის მხარეში ვენახის ძირითად ფართობებს ფერმერები ფლობენ და ამდენად ბუნებრივია სწორედ მათზეა დამოკიდებული იშვიათი ჯიშის ყურძნის წარმოებაც. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ფერმერთა რაოდენობისა და თვითოეულ ფერმერზე საშუალოდ არსებული სავენახე ნაკვეთის ფართობების შესწავლა. საექსპერტო შეფასებით საქართველოში ფერმერთა რაოდენობა 150 000 შეადგენს (იხ. ცხრილი 18). ფერმერთა რაოდენობის მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება კახეთის მხარე, სადაც მათი რიცხვი 76 000 შედაგენს, ანუ მის წილად მოდის საქართველოში არსებულ ფერმერთა რაოდენობის 50,6%. ფერმერთა ყველაზე ნაკლები რაოდენობაა რაჭა-ლეჩხუმში – 7300 ანუ 4,8%. Uნდა ვივარაუდოთ, რომ ღვინის სანედლეულო ბაზის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ფერმერული მეურნეობები შეასრულებენ და ამიტომ მათ, განვითარების შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და საბაზრო გარემოს შესაბამისი პირობები სჭირდება.

ფერმერულ მეურნეობებში სანედლეულო ბაზის განვითარება ორი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს:

1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და საქონლის ფორმირება;
2. ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესების დაცვა.

პირველი მიმართულება უნდა მოიცავდეს საბაზრო სფეროს

ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რო-მელთაგან ცენტრალური ადგილი უჭირავს ფერმერთა შემოსავლებსა

ცხრილი 18

ფერმერთა დატვირთვა – ვენახის ფართობების მიხედვით

2006 წლისათვის[1]

მხარეები	ვენახის ფართობი, ჰა	ვენახის ფართობი საშუალოდ ერთ ფერმერზე, ჰა	ფერმერთა რაოდენობა, კაცი
კახეთი	37800	0,50	76000
ქართლი	6500	0,32	20000
იმერეთი	11500	0,30	38000
რაჭა-ლეჩხუმი	1400	0,19	7300
შავი ზღვის ზონა	3000	0,34	8700
სულ საქართველოში	60200	0,40	150000

და მათი პროდუქციის ფასების რეგულირების პოლიტიკას. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შემოსავლების საბიუჯეტო მხარდაჭერა, სუბსიდირება, დაკრედიტება, ხელშეწყობა ექსპორტისათვის, კრედიტით უზრუნველყოფა საშეღავათო პირობებთან და სხვა. ამასთან მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ოპტიმალური შეთანაწყობა. ეს შეამცირებს ეკონომიკურ დანახარჯებს, მინიმალური გახდება დანაკარგები პროდუქციის და ნედლეულის გადაადგილების ყველა სტადიაზე, დაინერგება უნარჩენო წარმოების ტექნოლოგიები, შემცირდება წარმოების სეზონურობა და სხვა. ინტეგრაცია მომხმარებელთა ინტერესების დაცვასაც მოემსახურება. ჯერ

[1] საექსპერტო შეფასება

ერთი, ნედლეულის ადგილზე გადამუშავების შედეგად მზა პროდუქციაზე ფასები დაბალია, ხოლო მეორე მხრივ, სამრეწველო გადამუშავების და მარკეტინგული სამსახურის შედეგად პროდუქციის ხარისხი მაღალია. აგრარულ სექტორში სამრეწველო საქმიანობის განვითარება არა მარტო შეამცირებს შრომის სეზონურობას, არამედ იმავე რაოდენობის მუშახელის გამოყენების პირობებში გაზრდის მზა პროდუქციის წარმოების მოცულობას.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება დამოკიდებულია ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაზე. ამასთან ეს დარგი სულ უფრო მეტად კაპიტალტევადი ხდება, რადგან იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონე და მიწის ფასი. სწორედ ამიტომ მევენახეობის სანედლეულო რესურსებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, კერძოდ შინამრეწველობის განვითარებას და მის შეთანაწყობას მევენახეობასთან. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში ასეთი რესურსების გამოყენების და მევენახეობასთან მისი შეთანაწყობის დონე ძალზე დაბალია, რის გამოც ზარალდებიან როგორც ფერმერები, ასევე მომხმარებლები. პირველნი კარგავენ დამატებით შემსოავლებს, მეორენი – სახალხო მოხმარების საქონელს.

ხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ნიადაგი – კლიმატი – შრომითი რესურსების ფაქტორთა ოპტიმიზაციასთან. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის შედეგი იყო მეჩხერიანობის დაუსაბუთებლად მაღალი პროცენტი (28-32), შესაბამისად მაღალი დანახარჯები და ხარისხის დაბალი მაჩვენებლები მეღვინეობაში.

უნდა დაინერგოს ინვესტირების ისეთი კულტურა რომელიც მოგვცემს შედეგს მევენახეობაში და გლეხებს გაუჩენს ნდობას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი და სტიმულს ნაყოფიერი შრომისადმი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მრავალწლოვანი ნარგაობა მოსავლიან ასაკში შესვლამდე თავისუფლდებიან გადასახადისაგან. მაგალითად, აშშ-ის კალიფორნიის შტატის კონსტიტუციის XII მუხლით _ "გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდნენ ხეხილი და კაკლოვანი ჯიშის ხეები ბაღში დარგვიდან ოთხი წლის განმავლობაში და ვაზი გაშენებიდან სამი წლის განმავლობაში". საქართველოშიც აუცილებელია განთავისუფლდეს გადასახადებისაგან ახალშენი მრავალწლოვანი ნარგავები _ ხეხილი, ჩაი, ციტრუსი, კაკლოვანი, ტექნიკური კულტურები გაშენებიდან ოთხი წლის განმავლობაში.

სახელმწიფომ მიმდინარე ეტაპზე იმგვარად უნდა წარმართოს ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, რომ გარკვეული დროით (4-5 წლით) აუცილებელი გახდეს ამ სფეროში კაპიტალის მოზიდვა და მუშა ხელის დასაქმება.

მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსში აუცილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს: საკრედიტო ხაზის ამოქმედება, ადგილობრივი წარმოების მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, სამეურნეო გარიგებების სამართლებრივი მოწესრიგება ყურძნის შესყიდვაზე და პროდუქციის რეალიზაციაზე, გარემო პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვაზე, მარკეტინგული სამსახურის პრიორიტეტულად განვითარება და სხვა.

2.4. ყურძნის მოსავლიანობის ანალიზი საწარმოო ფუნქციების გამოყენებით კახეთის მხარის მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ამ უკანასკნელის ფორმირების კანონზომიერების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი და, უპირველეს ყოვლისა, იმ მიზეზშედეგობრივი მექანიზმის წარმოჩენა, რომელიც განსაზღვრავს მოსავლიანობის ვარიაციას, საშუალო დონეს და დინამიკას. ეს კანონზომიერებები, ისევე როგორც მასობრივი პროცესის სხვა კანონზომიერებები, ატარებენ ალბათურ, სტატისტიკურ ხასიათს. მასობრივი პროცესებისათვის დამახასიათებელი სტატისტიკური კანონზომიერებები ვლინდებიან არა თითოეულ, ცალკეულ შემთხვევაში, არამედ საშუალოდ. მათ შეცნობაში დიდ როლს თამაშობენ კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზზე დაფუძნებული ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელირების მეთოდები, კერძოდ საწარმოო ფუნქციები. ისინი არა მარტო გამოავლენენ და რაოდენობრივად აღწერენ ამა თუ იმ მოვლენას (ჩვენ შემთხვევაში, ყურძნის მოსავლიანობას), არამედ ყოველმხრივ და მიზანმიმართლად შეისწავლიან მისი ფორმირების მექანიზმს.

საწარმოო ფუნქციები წარმოადგენენ საწარმო საქმიანობის შედეგებსა და ამ შედეგების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს შორის დამოკიდებულების ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოსახულებას].

საწარმოო ფუნქციები ვიწრო გაგებით, ასახავენ დამოკიდებულებას პროდუქციის გამოშვებასა და სხვადასხვა საწარმოო რესურსების დანახარჯებს შორის რომელიც ასევე წარმატებით გამოიყენება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, მათ შორის სასოფლო-

სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის – მოსავლიანობის - კვლევისათვის, ძირითადად დამოკიდებულია მოდელის აგების ლოგიკურ სტრუქტურაზე.

ეკონომიკური მოვლენები და პროცესები იმისდა მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს მათ მართვაში ადამიანი, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: სრულად მართული მოვლენები, რომელთა მიმდინარეობა მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის გადაწყვეტილებაზე და ნაწილობრივ (არაპირდაპირ) მართული მოვლენები, რომელთა მიმდინარეობა დამოკიდებულია ადამიანის გადაწყვეტილებაზე მხოლოდ საშუალოდ და ზოგადად. მოვლენების ნაწილობრივი (არაპირდაპირი) მართვა მდგომარეოს იმაში, რომ ადამიანი ზემოქმედებს რომელიღაც სხვა მოვლენებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არინ მისთვის საინტერესო მოვლენასთან. ასეთი კავშირები, როგორც წესი, კორელაციურია. საწარმოო ფუნქციების გამოყენებით მოდელების ლოგიკური შემუშავების დროს რეკომენდებულია [2, 6] ეფექტიანობის კრიტერიუმად (შედეგობრივ ნიშნად) შერჩეულ იქნას მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ ნაწილობრივ მართულ მოვლენებს (ჩვენ შემთხვევაში, ყურძნის მოსავლიანობას), ხოლო ფაქტორულ ნიშნებად – მაჩვენებლები რომლებიც ასახავენ ადამიანის მიერ პირდაპირ (სრულად) მართულ მოვლენებს. იმ ფაქტორების შერჩევისთვის, რომლებიც საწარმოო ფუნქციის მოდელში ჩაირთვება, შემუშავებულია ლოგიკური მოთხოვნები და პრინციპები, რომლებიც ატარებნ საყოველთაო ხასიათს.

მითითებულ ლოგიკურ მოთხოვნებზე და პრინციპებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ საკვლევ რეგიონში მევენახეობის ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალფაქტორული წრფივი მოდელი.

მკვლევართა უმრავლესობა საწარმოო ფუნქციების აპარატის გამოყენებით ეკონომიკური მოვლენების შესწავლის დროს უპირატესობას წრფივ მოდელებს ანიჭებს. ეს იმით აიხსნება, რომ წრფივი მოდელები ეკონომიკური ინტერპრეტაცია უფრო მარტივია, განსაკუთრებით, მრავალფაქტორული მოდელების შემთხვევაში.

შედეგობრივ ნიშნად, კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, შევარჩიეთ დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი განმაზოგადებელი მაჩვენებელი - ყურძნის მოსავლიანობა. მასზე მოქმედ (ადამიანის მიერ პირდაპირ მართულ) ფაქტორებად შეირჩა: ენერგოშეიარაღება, ენერგოუზრუნველყოფა, საწარმოო დანახარჯები, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეფასება.

ამრიგად, ყურძნის მოსავლიანის ანალიზის საწარმოო ფუნქციის მოდელმა მიიღო შემდეგი ზოგადი სახე

$$Y = a_0 + \sum a_i x_i , \qquad i = 1,\ldots,5$$

სადაც

Y - ყურძნის მოსავლიანობა კახეთის მხარეში (ც/ჰა);

X_1- ენერგოუზრუნველყოფა (ც.ძ/ჰა);

X_2- მატერიალური დანახარჯები (ლარი/ჰა);

X_3- შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა (კაც.სთ/ჰა);

X_4- მინერალური სასუქებით უზრუნველყოფა (ლარი/ჰა).

X_5 - სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეფასება (ბალებში);

a_0, a_i – მოდელის პარამეტრები (რეგრესიის კოეფიციენტები).

მოდელის გასათვლელად გამოყენებული იქნა კახეთის მხარის ფერმერული მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 2001-2004 წლების საშუალო მონაცემები.

ცხრილი 20-ში მოცემულია პროგრამა “MSTAT”-ის მეშვეობით გათვლილი მოდელის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები.

ცხრილი 19-დან ჩანს, რომ მოდელში ჩართულია ჩვენ მიერ წინასწარ შერჩეული ხუთივე ფაქტორი, მათი სტატისტიკური არსებითობის გათვალისწინების გარეშე.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს [3, გვ. 69], მოდელში ჩართული სტატისტიკურად არსებითი ფაქტორების ჩამონათვალი იცვლება მოდელის ზომის გადიდების ან შემცირების ყოველ ნაბიჯზე. ერთი და იგივე ფაქტორი შიძლება აღმოჩდეს სტატისტიკურად არსებითი ან, პირიქით, არაარსებითი იმისდა მიხედვით, თუ რომელ ფაქტორებთან ერთად შეთანაწყობაშია ჩართული იგი მოდელში. მოდელიდან არაარსებითი ფაქტორის (კრიტერიუმის შესაბამისად) გამორიცხვის შემთხვევაში ხანდახან იცვლება არა მარტო დარჩენილი ფაქტორების რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებები, არამედ კავშირის მიმართულებაც; მეტიც, არაარსებითი შეიძლება აღმოჩდეს ისეთი ფაქტორები, რომელთა როლიც ეკონომიკური თეორიის შესაბამისად ეჭვს არ იწვევს. ამავე დროს, ძნელია იმის შემოწმება, თუ ფაქტორთა რომელი ჩამონათვალი არის ყველაზე ოპტიმალური. ამიტომ, რიგ შემთხვევებში, თუ კი არ არის დარღვეული სათანადო ლოგიკური მოთხოვნები, მიზანშეწონილია მოდელში დავტოვოთ ყველა ფაქტორი, მათი სტატისტიკური არსებითობის ან არაარსებითობის მიუხედავად.

ცხრილი 19

ყურძნის მოსავლიანობის საწარმოო ფუნქციის სტატისტიკური მახასიათებლები

ფაქტორები	ფაქტორთა ეფექტიანობის მაჩვენებლები	
	რეგრეს. კოეფ.	ელასტ. Kოეფ.
X_1 (ენერგოუზრუნველყოფა)	16.02	0,2607
X_2 (მატერიალური დანახარჯები)	23.17	0,3186
X_3 (შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა)	5.41	0,0862
X_4 (მინერალური სასუქებით უზრუნველყოფა)	31.19	0,3761
X_5 (სას.-სამეურნეო სავარგულების შეფასება)	41.08	0.3806
მოდელის თავისუფალი წევრი (a_0)		42,052
მრავლობითი კორელაციის კოეფ. (R)		0,8962
მრავლობითი დეტერმინაციის კოეფ. (D)		0,8032
მოდელის სტანდარტული ცდომილება (S_e)		61,52
F-კრიტერიუმი		82,16

ფაქტორების ეფექტიანობის მაჩვენებლად ცხრილში მოყვანილია მრავლობითი რეგრესიის და ელასტიურობის კოეფიციენტები. მრავლობითი რეგესიის კოეფიციენტი გვიჩვენებს შედეგობრივი ნიშნის საშუალო ცვლილებას ფაქტორული ნიშნის ერთი ერთეულით ცვლილების დროს. შედეგობრივ ნიშანზე ფაქტორების გავლენის შედარებითი ანალიზის დროს იყენებენ ელასტიურობის კოეფიციენტებს. ელასტიურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენი პროცენტით იცვლება შედეგობრივი ნიშანი ფაქტორის ერთი პროცენტით ცვლილებისას.

ცხრილი №19 მონაცემები ადასტურებენ, რომ ჩვენ მიერ გათვლილი მოდელი სრულიად ადეკვატურად აღწერს საკვლევ მოვლენას. F-კრიტერიუმის გათვლილი მნიშვნელობა ($F_{\text{გათვლ.}}$=82,2) მნიშვნელოვნად აღემატება შესაბამის ცხრილურ მაჩვენებელს P=0,95 ალბათობის დონეზე ($F_{\text{ცხრ.}}$=6,92).

მოდელში ჩართული ფაქტორები 80,3%-ით განსაზღვრავენ ყურძნის მოსავლიანობის ვარიაციის დონეს კახეთის მხარის ფერმერულ მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში 2001-2004 წლების საშუალო მონაცემების მიხედვით. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგანაც, აღნიშნული ფაქტორები, წარმოადგენენ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის უაღრესად მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ დარგში ეფექტიანობის საერთო დონეს, მათ შორის ყურძნის მოსავლიანობის დონესაც.

შედეგობრივ ნიშანზე ფაქტორების გავლენის დონის გასაანალიზებლად მივმართოდ ელასტიურობის კოეფიციენტებს. დადგინდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ყურძნის მოსავლიანობის ზრდაზე იწვევს მინერალური სასუქებით (X_4) – მისი ერთი პროცენტით ზრდა იწვეს ყურძნის მოსავლიანობის 0,40%-ით ზრდას. ყურძნის მოსავლიანობის ზრდაზე დადებითი გავლენით ხასიათდება დანარჩენი ოთხი ფაქტორიც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბალობრივი შეფასება (X_5), რომელიც 0,38%-ით ზრდის შედეგობრივ ნიშანს. ეს მიუთითებს იმ დიდ რეზერვებზე, რომელიც ჩადებულია საკვლევ რეგიონში ნიადაგების შემდგომ თვისებრივ გაუმჯობესებაში. ყურძნის მოსავლიანობის დონის ამაღლებაზე დაახლოებით მსგავსი გავლენით ხასიათდება ფაქტორები –

ენერგოუზრუნველყოფა და მატერიალური დანახარჯები (X_1, X_2) – მათი ერთი პროცენტით ზრდა შესაბამისად 0,26 და 0,32%-ით ზრდის შედეგობრივ ნიშანს. შედარებით ნაკლებია შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის გავლენა (0,09%), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი ცოცხალი შრომა. ეს კი მიუთითებს მათი გამოყენების დაბალ ეფექტიანობაზე.

მთლიანად, ყურძნის მოსავლიანობის დონეზე მოდელში ჩართული ფაქტორების ერთობლივი გავლენის - ელასტიურობის კოეფიციენტების ჯამი (რაც უდრის 1,4422-ს) - შესწავლა ადასტურებს, რომ მათი ერთი პროცენტით ზრდა 0,44%-ით ზრდის შედეგობრივ ნიშანს. ამრიგად, აღნიშნული ფაქტორების მიზანდასახული გამოყენება საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ყურძნის მოსავლიანობის მდგრად ზრდას და, მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას კახეთის მხარის ფერმერულ მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

თავი III. მევენახეობის, აგროსამრეწველო ინტეგრაციის სისტემაში განვითარების პირობები და ეკონომიკური შეფასება

3.1. მევენახეობა-მეღვინეობის ინტეგრაციული განვითარების პირობები, თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკა ინტეგრირებული იქნას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, აუცილებელია შეიქმნას გარკვეული პირობები. აგრარულ სექტორში წარმოებულ სასურსათო პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის, აუცილებელია ქვეყანაში ვაწარმოოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც იქნება იაფი, ხარისხიანი და მაღალკონკურენტუნარიანი და რომელიც გაუძლებს მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტების კონკურენციას.

კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაფართოების მიზნით. საქართველო დედამიწის ორი ნაწილის-ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად გვევლინება.

მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობა, რომელიც საშუალებას იძლევა საქართველო გადაიქცეს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად,

რეექსპორტისა და ტრანზიტის პლაცდარმად.

საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ასამდე სახელმწიფოსთან თითქმის ყველა მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანასთან. იგი, როგორც დემოკრატიული და სუვენერული სახელმწიფო თავის მომავალს ევროპისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, მათთან მჭიდრო ურთიერთობაში ხედავს. როგორც ცნობილია ეს სიძლიერე მისი მსოფლიოში ეკონომიკური დამკვიდრებით იზომება. სწორედ ამიტომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკებთან (ეუთო, ნატო, ევროსაბჭო, ევროკავშირი და სხვა), მეზობელ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს მსოფლიო ასპარეზზე. ინტენსიური ხასიათის სოფლის მეურნეობის გაძღოლის მდიდარი ტრადიციებით იხვეწებოდა, ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილი სასოფლო სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები. ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა დიდიხნის ისტორიის მანძილზე არაერთხელ მოახდინეს კორექტირებები სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში.

საქართველო სოფლის მეურნეობის სერთიფიკაციის თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია, საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული რომ იგი წარმოადგენს ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა და აკვანს; აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიძებნება.

სტანდარტული ასორტიმენტი წარმოდგენილია ქართული აბორიგენული ჯიშებით: რქაწითელი, მწვანე, საფერავი, ჩინური, ალექსანდროული, ალადასტური, ცოლიკაური, ციცქა, ოჯალეში, ჩხავერი და ა.შ.

ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში შეიმჩნეოდა და რომლის სიმწვავემაც ფართო მასშტაბი მიიღო 1991 წლიდან, როცა ქვეყანამ ყოველგვარი წინასწარი მომზადების და ალტერნატიული კავშირების დამყარების გარეშე დაიწყო გამოსვლა ყოფილი სსრკ კავშირის ეკონომიკური სივრციდან. დღეს ეს კრიზისი ნელ-ნელა უკან რჩება. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობა, რამაც საშუალება მისცა საქონელბრუნვის მოცულობის გაზრდას. ნელა, მაგრამ მაინც შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტირების განხორციელება. ასეთებს განეკუთვნებიან თბ. შამპანური ღვინოების ქარხანა „ბაგრატიონი 1982“, თბილღვინოს საწარმოები „კრისტალი“, „საუფლისწულო მამული; რომლებმაც პრივატიზების შედეგად წარმოების მოცულობა გაზარდეს შესადარისი ფასებით, შესაბამისად _ 7,2%-ით, 27%-ით და 10%-ით.

1995 წელს შეიქმნა საქართველოს და ჰოლანდიის ღვინისა და სპირტის კომპანია „კოიმანსია“. იგი სპეციალიზირებული სავაჭრო ორგანიზაციაა, რომელმაც ყველაზე დიდი პოპულარობა მოუტანა ქართულ ღვინოებს საგარეო ბაზრებზე და პერსპექტივაში უნდა იფუნქციონეროს კომბინირებული ინტეგრაციის საფუძველზე.

ფირმა „კოიმანსიას ჩვენგან ჰოლანდიაში გააქვს ღვინოები ჩამოსასხმელად, მან შესანიშნავად გააფორმა ღვინოები _„ნაფარეული“, „წინანდალი”, აღნიშნულმა ღვინოებმა 1996 წელს გამართულ

საერთშაორისო კონკურსზე ოქროს მედლები დაიმსახურეს.

ამგვარად უნდა გაღრმავდეს მუშაობა ერთობლივი საწარმოების შექმნის ხაზით. პირველ ეტაპზე, უცხოური ფირმები, როგორც კაპიტალის ძირითადი დაბანდებები, ერთობლივი საწარმოებიდან მეტ მოგებას მიიღებენ, ხოლო ექსპლოატაციის დაწყებიდან 5-10 წლის შემდეგ ერთობლივი საწარმო გადაეცემა საქართველოს. აგრსოამრეწველო კომპლექსში მდგომარეობა წინანდელთან შედარებით ერთგვარად გაუმჯობესდა. 2005 წლისათვის გამოიცა კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებულის ასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივტაიზაციის შესახებ“, რომელიც ხელს შეუწყობს დანარჩენი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას. ამ პროცესმა მოქმედება 2002 წლიდან დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მტკივნეულად და გარკვეულწილად დარღვევებით მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო აგრარული რეფორმის ნაჩქარევად, მოუმზადებლად და რთულ პოლიტიკურ-კრიმინალურ სიტუაციით. ამას მოჰყვა მსხვილი კონცენტრირებული და უმეტესწილად რენტაბელური საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დაშლა, აგრეთვე სოფლის ინფრატსრუქტურის მკვეთრი გაუარესება და მოსახლეობის მიგრაცია. ნაჩქარევი პრივატიზაციის გამო მოხდა სწორედ დიდი კონფიგურაციის მიწის ფართობების დაწვრილერთეულება და არაეფექტური გამოყენება. კერძო საკუთრების პროცესები უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ გარკვეული პირობების შექმნის შემდეგ რაც იქნებოდა ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი პირობა და მთავარი მიზანი, სახელმწიფო საკუთრების შეცვლა კერძო საკუთრებით, შედარებით უვნებლად ჩატარდებოდა.

ღვინის მრეწველობაში სულ მუშაობს 104 ღვინის ქარხანა. აქედან კახეთის მხარეზე მოდის _ 42 ანუ (40,4%) იმერეთზე – 27 (25,9%), ქართლზე – 17 (16,3%), რაჭა-ლეჩხუმზე – 11 (10,5%) და გურია-სამეგრელოზე _ 7 (6,9%).

იქ სადაც გამოინახა ინვესტორი ან საბრუნავი სახსრების შევსების წყაროები, საწარმოთა პრივატიზებით კარგ შედეგს მიაღწიეს პრივატიზებულ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში, მათი რესტრუქტურიზაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს ერთობლივი საწარმოს შექმნა. კერძოდ 1994 წელს შეიქმნა საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმო „ჩალას-ვაინსი“ რომლის დამფუძნებელი ქართული მხრიდან არის „სამება“, ამერიკის მხრიდან „ჯორჯიან ვაინსი“. ეს ფირმა სამარკო ღვინოების ძირითადი ექსპორტიორია.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ღვინის პროდუქციის უდანაკარგო წარმოებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ამიტომ მთლიანად უნდა გამოირიცხოს ყურძნის კრეფა და გადაზიდვა ლითონის საგნებით. რადგან ჟანგი აუარესებს ღვინის ხარისხს. სამარკო ღვინის დასაყენებლად აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მუხის კასრები.

_ 2005 წლისათვის ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციაში დიდია კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონა. მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ აღნიშნული საქონლით ვაჭრობაში რამდენადმე ამაღლდა ადგილობრივი პროდუქციის ხვედრითი წონა. ეს პროცესი კიდე ვუფრო საგრძნობი და მანევრირებადი გახდება თუ რაიონებსა და სოფლებში განხორციელდება საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია.

სასურსათო ბაზრის საკუთარი წარმოების პროდუქციით შევსების წყაროს ოჯახურ მეურნეობაში პროდუქციის პირველადი გადამუშავება

წარმოადგენს. 2006 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონში ოჯახურ მეურნეობზე მოდის ღვინის 12,4%, არყის – 24,6%. მაგრამ ეს ვერ გადაწყვეტს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების პრობლემას, რამდენადაც ჯერ ერთი მცირეა წარმოების მოცულობები. რაც შეეხება ღვინის იმპორტ-ექსპორტს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების იმპორტი ხდებოდა ძირითადად აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან, სომხეთიდან, საფრანგეთიდან, მცირე რაოდენობით ბელგიიდან, დანიიდან გერმანიიდან, იტალიიდან.

1997 წელს ქართული ღვინო პირველად გაიტანეს ისრაელში, მოლდოვაში, პოლონეთში, უზბეკეთში, ჩეხეთში, ყირგიზეთში.

ქართული ღვინის ტრადიციული მომხმარებელი იყო და არის რუსეთი.

2002 წელს ღვინის 68,2% გავიდა რუსეთის, 11,5% _ უკრაინის, 7,1% _ ყაზახეთის, 5,6%-აშშ-ის ბაზრებზე. მცირე რაოდენობით ბელარუსის, ჩეხეთის, გერმანიის ბაზრებზე. ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ქართული ღვინის მრეწველობის დიდი დოზით დამოკიდებულება რუსეთის ღვინის ბაზარზე რისკის ქვეშ აყენებს აღნიშნული სექტორის არსებობას. ამიტომ საჭიროა ახალის მოძიება და ძველის წილის გაზრდა. დღეისათვის ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთ ბაზრებზე შეღწევა, როგორიცაა ინგლისი, ჩინეთი, იაპონია ბალტიის ქვეყნებში და ა.შ.

სუფრის ღვინის სარეალიზაციოდ საუკეთესოა საფრანგეთის ბაზარი. ჩვენი შესაძლებლობები უნდა მოვსინჯოთ ჰოლანდიის ბაზარზეც, თუმც დიდი პარტიის შესყიდვა ხდება დაბალი ფასებით. მეტად პერსპექტიულია დანიისა და გერმანიის ბაზრები.

აშშ მეტად გადატვირთულია, ყოველ შტატს ღვინის საკუთარი

კანონმდებლობა გააჩნია. ამიტომ აქ შესვლისას საჭიროა ისეთი იმპორტიორი მოინახოს, რომელიც თვითონ გადაწყვეტს ქართული ღვინის რეკლამას და ბაზარზე შესვლის საკითხებს.

იაპონიაში ყოველწლიურად იზრდება ღვინის მოხმარება, მის ბაზარზე შესასვლელად გასათვალისწინებელია, რომ ისინი მიჩვეულნი არიან მომსახურების მაღალ დონეს, ყურადღებას აქცევენ პროდუქციის სასაქონლო სახეს. მის დიზაინს აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს კონიაკსა და ბრენდზე. ჩვენი მეცნიერების აზრით ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე შესვლა სამ ეტაპად უნდა განრხორციელდეს.

1. საქართველოდან უნდა გაიგზავნოს რაც შეიძლება მაღალი ხარისხის ღვინო.

2. როდესაც დარწმუნდებიან ღვინის საუკეთესო ხარისხსა და თვისებებში ამის შემდეგ დაისმება საკითხი ერთობლივი წარმოების შექმნის შესახებ. განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთ ქვეყნებთან ხელშეკრულების დადება, როგორიცაა საფრანგეთი6 იტალია, ესპანეთი.

3. როდესაც ჩვენი პროდუქცია გახდება კონკურენტუნარიანი, საქართველო თვითონ გაიტანს ღვინოს სხვების დაუხმარებლად.

ამას ხელს შეუწყობს ღვინის ბირჟა, რომელიც სულ ახალი ჩამოყალიბებულია. რომელთა მოვალეობა მსოფლიო საინფორმაციო სისტემაში ქართული ღვინოების რეკლამირება.

აგრეთვე არის პროგრამები – გრძელვადიანი მრავალმილიონიანი პროექტები, რომელთაც აფინანსებს ამერიკის განვითარების საერთა-შორისო სააგენტო და განახორციელებს _ კერძო, არაკომერციული ამრიკული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს კონსულტაციების და განვითარების სფეროში, რომლის მისიაა სოფლის მეურნეობის სექტორის

განვითარება საექსპორტო შესაძლებლობების შესაბამისად, რაც დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს წარმატებით იმუშაონ საერთშაორისო ბაზრებზე, და მიზანია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური უთრიერთობების ხელშეწყობა დამატებითი ღირებულების მქონე სოფლის მეურნეობის საექსპორტო გაყიდვების მაქსიმალურად გაზრდის გზით.

აუცილებელია „სამტრესტში“ შეიქმნას მარკეტინგის მძლავრი განყოფილება დაკომპლექტებული შესაბამისი სპეციალისტებით რომლებიც გამოიკვლევენ ღვინის როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზრებს, დაადგენენ ფასებს ღვინოებზე, შამპანურზე, კონიაკზე და ა.შ.

საქართველო უნდა შეეცადოს გაზარდოს ექსპორტი და შეამციროს იმპორტი. ამის შესაძლებლობები მას აქვს.

ახალი გზების დაპყრობისათვის ძირითადი საზრუნავია ფალსიფიკაციის პრობლემა. უცხო ქვეყნის სავაჭრო ფირმები უშვებენ ქართული დიზაინით დამშვენებულ ღვინოებს (კერძოდ უნგრეთში, ბულგარეთში, მოლდავეთში და სხვ.) ასეთი ღვინოებით გაივსო რუსეთი, რომელთაც არანაირი კავშირი არა აქვთ ქართული ჯიშის ყურძენთან ეს კი ქართულ ღვინოს პრესტიჟს აკარგვინებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ღვინის მრეწველობა, ისევე როგორც მევენახეობა სახელმწიფოს გარეშე ვერ შესძლებს ჩამოთვლილ წინააღმდეგობათა გადალახვას საშინაო და საგარეო ბაზრებზე. საჭიროა სახელმწიფოს მიერ პროტექციონული პოლიტიკის გატარება ადგილობრივ მეწარმეთა დაცვის მიზნით არაკეთილსინდისიერი კონკურენტისაგან.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შემდგომი ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია არახელსაყრელი

საგადასახადო გარემოს არსებობა. რომელიც ხელს უწყობს ფალსიფიცირებული პროდუქტის დამზადებასა და რეალიზაციას.

დღეს საქართველოში სასურსათო სფეროში ვაჭრობა ძირითადად სახელშეკრულებო უთრიერთობათა გარეშე მიმდინარეობს. ასეთ პირობებში ვერ ხერხდება სხვა პოტენციური სავაჭრო პარტნიორის გამოვლენა, არ არსებობს ინფორმაციული ბანკები ადგილობრივი ბაზრების შესახებ, რის გამოც მყიდველი და გამყიდველი მოკლებულია ინფორმაციას საბაზრო ფასსა და სხვათა შესახებ.

ამდენად აუცილებელია:

_ გამოიყოს სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც დასაქმდებიან საექსპორტო პროდუქციის ბაზრის მოძიებისა და მიწოდების ორგანიზაციით, აგრეთვე ინფორმაციის შეგროვებით.

_ შიგა ბაზარზე ალკოჰოლური სასმელების დემპინგუნ ფასებში რეალიზაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება.

_ პროდუქციის ექსპორტის შედეგად მიღებული მოგების იმ ნაწილის განთავისუფლება ბიუჯეტში შენატანისაგან, რომელიც მიმართული იქნება პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად.

_ საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლებისათვის ხარჯების გადიდება მარკეტინგზე და ა.შ.

_ იმპორტულ პროდუქციაზე საბაჟო ტარიფების დიფერენცირება.

_ საექსპორტო პროდუქციის საბითუმო ბაზრების მოწყობის ორგანიზაცია.

თუ სიმართლეს თვალებში ჩავხედავთ, მივხვდებით რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას. აქ იგულისხმება მისი არა მარტო სტრატეგიული არამედ

ფინანსური მხარეც. ამ დარგის უყურადღებობით ქვეყანა დიდ შემოსავალს კარგავს.

3.2. მევენახეობა-მეღვინეობის მცირე ბიზნესური ფორმირებების, ფუნქციონირებისა და მართვის საკითხები და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებები

მცირე ბიზნესი და მეწარმეობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. მის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მცირე მეწარმეობას გააჩნია შესაძლებლობა სწრაფად და მინიმალური დანახარჯებით შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, ხელი შეუწყოს ადამიანის იმ მეწარმეობრივი უნარის ამოქმედებას. რომელიც არ შეიძლება გამოვლინდეს მსხვილ ფირმასა და სახელმწიფო დაწესებულებაში, მცირე ბიზნესის მთავარი ეკონომიკური ფუნქციაა შექმნას საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრის სამომხმარებლო მოთხოვნის დიფერენციაციის პირობები. თანამედროვე ეკონომიკა წარმოუდგენელია კარგად განვითარებული მცირე მეწარმეობის გარეშე, რომელიც, ერთი მხრივ, განსხვავებით მსხვილ ბიზნესისგან, ეკონომიკას უფრო მოქნილ და მანევრირებად ხასიათს აძლევს, ხოლო მეორე მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, თანამშრომლობს მრავალ მხრივ ბიზნესთან და უზრუნველყოფს მისთვის დამახასიათებელი ტექნიკური კონსერვატიზმის გადალახვას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს მოსახლეობის საწარმოო და ფინანსური რესურსების მობილიზაციას, შეაქვს თავისი პოზიტიური წვლილი კონკურენციული გარემოს

ფორმირებაში, უზრუნველყოფს გარღვევას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელ რიგ მნიშვნელოვან მიმართულებებში, ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაჭრას, არბილებს სოციალურ დაძაბულობას და საბოლოო ჯამში, ანვითარებს საბაზრო ურთიერთობათა დემოკრატიულ საწყისებს და ფორმებს.

მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებების გატარება, რაც საშუალო ფენის ჩამოყალიბებს ემსახურება, არის საბაზრო პრინციპების ერთგულებისა და აგრარული ეკონომიკის განვითარების საზომი. ასეთი პოლიტიკის არსია – უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბარი პირობები და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის კარგი შესაძლებლობა. პირველ რიგში საკუთარი საქმიანობის მეშვეობით, მცირე მეწარმეობის განვითარების შედეგია, აგერთვე, სოციალური დაძაბულობის მოხსნა საზოგადოების ფენებს შორის და მათ შიგნით, რადგან ამ შემთხვევაში მცირდება უმუშევრობა და დასაქმდება მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამგვარად, მეურნეობის საუკეთესო წესს წარმოადგენს ის, რომლის დროსაც მცირე მეწარმეობა ეკონომიკური განვითარების წამყვანი ფაქტორია.

კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ უკანასკნელ პერიოდში კახეთის რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარებაში გარკვეული ძვრები შეიმჩნევა, თუმცა ეს საკმარისი არ არის მისი ეფექტურად განვითარებისათვის. მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის ფორმირებისა, მასში კვლავ ბევრი სიცხადეა შესატანი. თუ 1996 წლის ბოლოსათვის რეგისტრირებული იყო 8594 მცირე საწარმო, რომელთაგანაც 2555, ანუ 29,7% სახელმწიფო, ხოლო 6043, ანუ 70,3% კერძო სექტორში ფუნქციონირებდა. უკანასკნელ პერიოდში კი სახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებდა (2,95%), ხოლო

კერძოში (97,12%).

ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ რეგიონის აგრარული წარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საწარმოო-ორგანიზაციული სტრუქტურების სწორი ორგანიზაცია. აქ მხედველობაშია მისაღები საწარმოთა რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციის პროცესი, რომელიც მოიცავს მისი, როგორც საწარმოო, ისე ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნას, ამ დროს საწარმო კი არ ლიკვიდირდება (რომელსაც ადგილებზე რეგიონში აქვს ადგილი), არამედ გარდაიქმნება ახალი სახის საწარმოო-ორგანიზაციულ სტრუქტურად. კახეთის რეგიონის აგრარულ სექტორში საწარმოთა რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციის პროცესს შემდეგი ნეგატიური, ხელის შემშლელი მოვლენები ახლდა:

_ რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციის მთავარ ხელშემშლელ პირობას, ისევე როგორც მთლიანად აგრარული რეფორმის განხორციელებისას, წარმოადგენს ის, რომ იგი გარკვეულწილად თვითდინებით, სტიქიურად წარიმართა, რის გამოც ამ პროცესის თანხლებით ნეგატიური მოვლენების მინიმუმამდე დაყვანა ვერ მოხერხდა, პირიქით, მათ ფართო სარბიელი მიეცა, რამაც მეტად გაართულა საბაზრო გარემო პირობების შეუქმნელობა-ფორმირების პროცესები.

_ მიწის რეფორმების პროცესში ცალკეულ პირთა მიერ მიწები კანონის დარღვევით იქნა მითვისებული, რამაც დიდი სირთულეები შეუქმნა ამ მიწების მფლობელ საწარმოთა შემდგომ ფორმირებას.

ამასთან, რიგ შემთხვევაში ინიციატივიანი მეურნე საკმარისი მიწის გარეშე დარჩა.

_ ვენახის ფართობი უსამართლოდ, არაკეთილსინდისიერმა პირებმა

მიითვისეს, დაბალ რენტაბელური ნაყოფიერების ვენახების ფართობები კი გაუნაწილებელია და უპატრონოდაა დარჩენილი.

_ ცალკეულ შემთხვევაში არასწორედ იქნა განსაზღვრული დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობები და ამის შემდგომ, აღნიშნული კატეგორიის მეურნეობები, საწარმოები ნაჩქარევად იქნა რეორგანიზებული ან უარეს შემთხვევაში ლიკვიდირებული.

_ რეგიონში ძირითადი საწარმოების რეფორმირებისა სწინასწარ არ იყო დაშვებული რაიმე რეკომენდაციები მხარის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომ ორიენტაცია აეღოთ საქონელწარმოებლებს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმების ფორმირებასა დადამკივდრებისათვის.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ ის დადებითი ტენდენცია, რასაც ქვეყნის აგრარულ სექტორში კერძო სექტორის ხვედრითი წილის ზრდა ჰქვია და რომელიც ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის საშუალო ფენის მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლებას და, შესაბამისად მათ მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ ქვეყანაში და მათ შორის საკვლევ რეგიონში, დავსახოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, აუცილებელია კონკრეტულად ადგილზე მოხდეს სათანადო კომპეტენტური ორგანოების, ორგანიზაციების მხრიდან იმ პრობლემათა კონკრეტული შესწავლა, რასაც აწყდებიან ადგილობრივი მეწარმეები, ბიზნესმენები პროდუქციის წარმოებისა და გასაღების სფეროში.

_ გამომდინარე სათანადო კომპეტენტური ორგანოებისა და დონორი

ორგანიზაციების გამოკვლევებიდან, ამ პრობლემათა გადაჭრისათვის აუცილებელია უწინარესად სახელმწიფოსა და ფერმერებს, ბიზნესმენებს შორის ეფექტური საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა, იქნება ეს კავშირისა თუ ასოციაციის სახით, სადაც გაერთიანებული იქნებიან როგორც პროდუქციის მწარმოებელი ფერმერები, ასევე პროდუქციის გადამუშავებთია და რეალიზაციით დაკავებული საწარმოების წარმომადგენლები.

_ ასეთი კავშირებისა და ასოციაციების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს მიღებული დახმარებების ეფექტური განაწილება იმ უმთავრესი პირობით, რომ მოსავლის აღების პერიოდში მოხდება მისი დაბრუნება. კონკრეტლად საუბარია იმაზე, რომ ის ფერმერები, რომელიც მიიღებს დახმარებას მარცვლეულის სათესლე მასალების სახით, მოსავლის აღების შემდგომ დააბრუნებს მას ურთიერთდახმარების ფონდში, რომლის უმთავრეს მიზანსაც უნდა შეადგენდეს იმ ფერმერთა დახმარება, რომელთაც სხვადახსვა ობიექტური თუ სუბიექტური პირბების, მიზეზების გამო ვერ შეძლებს თავიანთ ნაკვეთებზე მაღალი მოსავლის მიღება, იმ ფერმერებზე, რომელთაც განიცადეს ზარალი. აღნიშნული ფონდიდან ხვნა-თესვის პერიოდში უნდა მოხდეს საწვავისა და საცხები მასალების, შხამქიმიკატების, სარგავი მასალის ეფექტური, კოორდინირებული განაწილება ფერმერებზე.

_ იმისათვის, რომ გაიზარდოს ფერმერთა, ბიზნესმენთა ნდობა საკრედიტო ორგანიზაციებისადმი, აუცილებელია საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დახვეწის პარალელურად მოხდეს ფერმერთათვის, ბიზნესმენთათვის მისაღები საკრედიტო მექანიზმის ჩამოყალიბება (დღეისათვის არსებული 1 წლიანი და 18%-იანი საკრედიტო

განაკვეთი არარეალურია, პერსპექტივაში საქმიანობის ასე თუ ისე ეფექტურად წარმართვისათვის, როგორც კვლევით დადგინდა, აუცილებელია კრედიტის ვადის ზრდა 5-6%-იანი წლიური განაკვეთით), რაც უნდა გახდეს საწინდარი კრედიტის გაიაფებისა და ფერმერთა, საწარმოთა პირად კაპიტალში მოზიდული სახსრების ხვედრითი წილის ზრდისა, რასაც შედეგად მოჰყვება წარმოების ეკონომიკური ეფექტის ზრდა.

_ აუცილებელია სათანადო უცხოური დონორი ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს ეფექტური დახმარების გაწევა წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციის, გასაღების სფეროში უმავრესი, რის საფუძველზეც უნდა აიგოს და განვითარდეს თანამშრომლობა, ესაა ნდობის ფაქტორი, რაც ისეთი მაღალი ეკონომიკური და სამეურნე რისკის მატარებელ დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ძნელი მოსაპოვებელი და ადვილი დასაკარგია.

_ აუცილებელია და უნდა მოხდეს კიდევ წვრილმასშტაბური ფერმერული მეურნეობების კოორდინაციის, კონცენტრაციის პროცესი. მცირე და საშუალო მეწარმეობის გამსხვილება პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლების ზრდის შესაბამისად, აგრარული წარმოების ზრდისა და განვითარების გზაზე. კოოპერირების პროცესშიც უნდა შეიქმნას პროტექციონისტური, ლიბერალური გარემო, სადაც უპირატესობა, პრიორიტეტი მიენიჭება მეწარმის, ფერმერის პირად არჩევანს. მას უნდა ჰქონდეს საქმიანობის დაწყების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მისი ბიზნესის განვითარებას და ჩანასახშივე არ ჩაკლავს მას.

_ ფერმერულმა მეურნეობებმა, მცირე და საშუალო საწარმოებმა, რომლებიც დაკავებულნი არიან პროდუქციის გადამუშავების პროცესით, უნდა მოახდინონ წარმოების ფაქტორების ეფექტური გაერთიანების პროცესის პარალელურად, უცხოური კაპიტალის დახმარების მონაწილეობით სათანადო ტექნოლოგიურ დონეზე აღჭურვილი საწარმოების დაფუძნება და განვითარება.

_ აუცილებელია ამოქმედდეს და იფუნქციონეროს ფერმერული წარმოების ცივილიზებულმა ფორმებმა, რასაც უწინარესად ხელი უნდა შეუწყოს კონტრაბანდისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებამ. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს იქნება ახალი ეტაპი აგრობიზნესის განვითარებაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ ვინაა მეწარმე, ბიზნესმენი, რომელთა ფუნქციებს შორის განსხვავება. ამ ცნებების ზუსტი განმარტებები არაა კანონში ასახული, განმარტებლი, რაც იწვევს ძალზე ბევრ უხერხულობას ამ ცნებათა ხმარებისას, ასევე უწინარესად უნდა ვიცოდეთ ის, თუ კონკრეტულად რა არის მეწარმისა თუ ბიზნესმენის ფუნქცია ქვეყანაში.

სერიოზული განსჯის საგანია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობით დაკავებული ადამიანები მონოპოლისტთაგან თავდასაცავად უნდა გაერთიანდნენ სავაჭრო კოოპერატივებში, რომლებიც საწყის ეტაპზე უნდა შეიქმნას სახელმწიფოს პატრონაჟით და რომელნიც ჩამოაყალიბებენ, სასაქონლო ბირჟებთან თანამშრომლობის გზით, აუქიონებს. მყიდველებთან უშუალო კონტაქტისათვის აუქციონმა განახორციელოს მკაცრი კონტროლი პროდუქციის სანიტარულ და ეკოლოგიურ სიწმინდეზეც.

სწორედ აქედან გამომდინარე აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ

აგრარულ პოლიტიკაში უნდა გამოიყენოს პარიტეტის კონცეფცია, რაც ფართოდაა აპრობირებული დსთ-ს ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის ეფექტურად განვითარებისათვის უნდა განრხორციელდეს სტრატეგიული დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ მეწარმეთა, მეურნეობათა მხარდამჭერი, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო პროტექციონიზმის პროგრამათა მთელი კომპლექსი. იმისათვის, რათა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მარეგულირებელი ეფექტური პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობაში, ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა ცნობილ ქართველ მეცნიერ-აგრარიკოსთა მთელ რიგ გამოკლვევებს, აუცილებელია სათანადო კომპეტენტური ორგანოების მხრიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დარგში არსებული პრობლემების უშუალოდ ადგილზე გაცნობა, შესწავლა და მათი გადაწყვეტის ეფექტური გზების ძიება. სწორედ ამიტომაც, ჩვენს მიერ, საინფორმაციო სააგნეტო „ცგეა“-ს დახმარებით, მოხერხდა რეგიონში 100 მსხვილი საშუალო და მცირე ბიზნესით დაკავებულ მეწარმეთა, ბიზნესმენთა გამოკითხვა (აგროსექტორი). შედეგები ცხრილშია ნაჩვენები. (იხ. ცხრილი 20).

ცხრილი 20

მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მეწარმეობის განვითარების I რიგის ღონისძიებანი[1]

1. ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას	მეწარმეთა აზრი	
	მცირე და საშუალო ბიზნესი	მსხვილი ბიზნესი
1. არაეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერა	83	85

[1] ცხრილი შედგენილია ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე

2. არასაკმარისი ფინანსები	76	63
3. მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა	40	70
4. კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი	75	75
5. მაღალი გადასახადების დონე	65	65
6. მატ. ტექნ. რესურსებისა და ფასების დისპარიტეტი	60	60
7. სუსტი მატერიალურ-ტექნიკრული ბაზა	55	35
8. არასაკმარისი საბრუნავი საშუალებები	55	33
9. ბუნებრივი რესურსების გამოყენება	20	20
10. არასაკმარისი უფლება-მოსილებანი	20	20
11. მეწარმეობის მხარდამჭერი 1 რიგის ღონისძიებანი		
1. ერთიანი მიწის გადასახადის შემოღება	60	60
2. შეღავათიანი დაკრედიტების სისტემა	83	67
3. სალიზინგო სისტემის გაფართოება	60	60
4. თავისუფალი ტრანსპორტირება	25	25
5. დაკრედიტების სპეცფონდის შექმნა	95	90
6. შეღავათები მატერიალური რესურსების გამოყენებაზე	80	80

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე, სამეწარმეო საქმიანობის, ბიზნესის რეგულირების პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტისათვის აუცილებელია სათანადო კომპეტენტური ორგანოების მხრიდან გატარდეს მეწარმეობრივი საქმიანობის სტიმულირების შემდგომი ღონისძიებები – 1. ექსპორტის სტიმულირება; 2. საკუთარი წარმოების კვების პროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის სტიმულირება; 3. ფასწარმოქმნის პოლიტიკის კორექტირება (ფასთა პარიტეტის სისტემის აღდგენა და რენტაბელობისა და კვლავწარმოებაზე დაყრდნობით გარანტირებული ფასწარმოქმნის მექანიზმის ფორმირება; 4. დოტაციების გამოყოფა მთიან ზონებზე; ასევე იმ პროდუქციის

წარმოებაზე, რაზეც არის მყარი საბაზრო მოთხოვნა; 5. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფასების რეგულირება და არსებული საბაჟო ტარიფების დაწევა; 6. ეფექტური საბანკო-საფინანსო პოლიტიკის გატარება მცირე მეწარმეობის, საერთოდ მცირე ბიზნესი-სადმი; 7. მარტივი საგადასახადო პოლიტიკის გატარება (შეღავათები იმ ბიზნესმენებისათვის, რომელნიც აბანდებენ თავიანთ კაპიტალს ს/მ-ში: იმ სამრეწველო პროდუქციაზე გადასახადების დონის შემცირება, რაც საჭიროა აგრარული პროდუქციის კვლავწარმოებისათვის); 8. ეფექტური სადაზღვევო პოლიტიკის შემუშავება და გატარება (კომპენსირების თანხების გაზრდა ხარჯების 50%-მდე მაინც).

უახლოეს პერსპექტივაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი ზრდისათვის უხარისხო იმპორტთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერების პარალელურად, რომლითაც ძირითადად კმაყოფილდება ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილება, აუცილებელია უცხოური ინვეტსიციების მოზიდვა და სხვადახსვა უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარებების ეფექტურად გამოყენება ხაზგასასმელია ის გარემოება. რომ ზემოთ აღნიშნულმა მთელმა რიგმა ნეგატიურმა პროცესებმა მკვეთრად დააფრთხო ინვესტორები. რასაც შედეგად მოჰყვა დახმარებების შემცირება და აგროსექტორის თითქმის სრული პარალიზება.

აქვე ხაზგასასმელია ის, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა დონორების მხრიდან ნდობის აღდგენის საქმეში, რა სახის დახმარებებს იღებენ კახელი ფერმერები და მეწარმეები, ბიზნესმენები და რომელი ორგანიზაციები უწევენ მათ დახმარებას საქმიანობის ეფექტურად წარმართვის პროცესში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ როგორც საკვლევი

რეგიონის აგროსექტორში, ასევე მთლიანად ქვეყანაში არაა სასურველი საინვესტიციო კლიმატი. რეგიონის მოსახლეობის ნაწილი ინვესტიციების მოზიდვის მიმართ შიშს გამოთქვამს. სერიოზული განსჯის საგანია, ასევე, დონორების მხრიდან გაცემული კრედიტების, სესხების მიმართულებები, მათი გადახდის ვადები, რადგანაც საკვლევი რეგიონის ეკონომიკისათვის მათი გადახდის შესაძლებლობა, ასეთ დუხჭირ ყოფაში ნამდვილად ძნელია, თუმცა შევნიშნავთ, რომ ისინი, როგორც ეკონომიკის აღორძინების მძლავრი საშუალება, აუცილებელი და საჭიროა. კვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყანაში ვერ მოხდა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების გაერთიანება და ვერ ჩამოყალიბდა სრულად საწარმო, რის გამოც მეწარმეს არაა აქვს სახარბიელო შედეგები. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმების ამჟამად ჩამოყალიბებული სტრუქტურა არ პასუხობს აგრარული წარმოების ინტენსიფიკაციის მოთხოვნებს, რისი მიზეზიცაა უწინარესად ის, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევა მხოლოდ სუბიექტური შეხედულებებით მოხდა, არ იქნა გათვალისწინებული საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონე, კოოპერაციის ინტენსიუობა, ინტეგრაციული კაშვირების გაფართოების აუცილებლობა და ა.შ.

კვლევამ ცხადყო, რომ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მცირე და საშუალო მეწარმეობაში, მცირე და საშუალო ბიზნესში საერთოდ, უზრუნველყოფს მიწის თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას და შექმნის მიწის წვრილ მესაკუთრეთა გაერთიანების ობიექტურ საფუძველს. ამასთან ს/მ-ში მეწარმეობას, საერთოდ ბიზნესის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებლივი ფორმების ფორმირება და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების (რომელთა ხვედრითი წილი კერძო სექტორში

არსებულ მიწებთან შედარებით, საკვლევი რეგიონის თითქმის ყველა რაიონის მიწის ფონდების უმეტეს ნაწილს შეადგენს) იჯარით გაცემა უზრუნველყოფს წარმოების გადიდებასა და მის მაღალეფექტურად წარმართვას.

2006 წლის ბოლოსათვის მხარეში რეგისტრირებულ 21129 ფიზიკურ და 465 იურიდიულ პირთა უმეტესობა, ძირითადად დაკავებული იყვნენ მცირე და საშუალო მეწარმეობით, ბიზნესით. აღნიშნული მაჩვენებლები არაა სრულყოფილი, უმთავრესად რისი მიზეზიცაა საგადასახადო და სასამართლოს სისტემაში არსებული კორუფციის მაღალი დონე, რომლის გამო ბევრი მეწარმე და ბიზნესმენი თავს არიდებს რეგისტრაციის პროცეს და ფუნქციონირებს ე.წ. „არალეგალური“ ფორმით, რაც ადგილობრივ ბიუჯეტებს დიდ ფინანსურ ზარალს აყენებს, ცენტრალური ბიუჯეტი ვერ იღებს სასიცოცხლოდ აუცილებელ თანხებს.

ქვემოთ მოყვანილია მცირე საწარმოთა ნუსხა კახეთის რეგიონში (იხ. ცხრილი 21).

ცხრილი 21

სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნუსხა კახეთის რეგიონის აგროსექტორში (2006 წლისათვის)[1]

[1] ცხრილი შედგენილია კახეთის მხარის რეგიონული სამსახურის ინფორმაციული ბაზის საფუძველზე.

	ფიზიკური პირები	იურიდიული პირები	მათ შორის				
			გლეხური და ფერმერული მეურნეობები	ამხანაგობები	შპს	ს/მ კოოპერატივები	აგრ. ფირმები
1. ახმეტა	456	25	8	2	5	4	5
2. გურჯაანი	327	64	25	5	10	15	10
3. დ/წყარო	17611	80	35	10	10	10	15
4. თელავი	401	78	30	8	10	15	15
5. ლაგოდეხი	362	44	15	5	8	7	9
6. საგარეჯო	776	64	28	8	11	8	11
7. სიღნაღი	705	68	24	6	12	8	18
8. ყვარელი	491	42	18	4	8	6	6
ს უ ლ	21129	465	183	48	74	73	90

_ იმისათვის, რათა მემცენარეობას მიეცეს საწარმოო მიმართულება, აუცილებელია, უწინარესად შემცირდეს თვითღირებულების სტრუქტურა წარმოებული პროდუქციის მთლიან ღირებულებაში. ხარჯების შემცირება ფერმერებს საშუალებას მისცემს გაზარდონ სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წილი და ამით მიიღონ დამატებითი ფულადი შემოსავალი.

_ იმისათვის, რომ ეფექტურად განვითარდეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდქციის წარმოება, აუცილებელია მოხდეს სოფლად ჭარბი პროდუქციის მიმღები პუნქტების ფორმირება (განსაკუთრებით ეს ეხება მალფუჭად მეცხოველეობის პროდუქტებს) და მისი განვითარებისადმი ყურადღების მიქცევა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების

მხრიდან.

_ უპირატესობა უნდა მიენიჭოს, ხელი უნდა შეეწყოს მსხვილი მემცენარეობის კომპლექსების განვითარებას და მცირე ფერმების ინტეგრაციას.

_ უარი უნდა ეთქვას მცირე და საშუალო მეწარმეობის, ბიზნესის შემდგომი ინტეგრირების პროცესის სწორად წარმართვისათვის გაღრმავებულ სპეციალიზაციას, რაც უმეტესწილად წამგებიანია წვრილ მეწარმეთათვის. მათი საქმიანობის სხვადახსვა დარგებში დანაწილება იწვევს წარმოების პროცესის დაქსაქსვას და მეწარმეთათვის არასასურველი შედეგები მოაქვს.

აგრობიზნესის განვითარებას კახეთის რეგიონში აფერხებს საბაზრო გარემო პირობების არ არსებობა. ეს რომ ასეა, ამას ნათლად აჩვენებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი 22.

ცხრილი 22

ბიზნესის შემაფერხებელი ადმინისტრაციული ბარიერები
აგრარულ სექტორში (%-ბით)[1]

ბარიერები	ბიზნესი	
	მცირე	საშუალო და მსხვილი
საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა	24,9	26,1
კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში	23,3	21,0
ხელისუფლების მიერ ბიზნესის ინტერესების დაუცველობა	17,3	18,4
დასაქმებისადმი ხელის არ შეწყობა	16,9	13,4
ენერგეტიკული კრიზისი	7,3	10,1
მართველი საკონტროლო უწყებების ბიზნესში ზედმეტი ჩარევა	7,1	6,6
საბანკო სისტემის არასაიმედოობა	3,2	4,7
ს უ ლ	100	100

[1] ცხრილი შედგენილია ანკეტური გამოკკითხვის საფუძველზე.

საკვლევ რეგიონში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო საწარმოთა, მეურნეობათა მეპატრონეთა აზრით, უპირველესი ყველაზე დამამძიმებელი ბარიერი, რაც ხელს უშლის მათ ეფექტურ საქმიანობას, ბიზნესის ეფექტურ წარმართვას, არის საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა. გარდა ამისა, პერსპექტივაში მათი აზრით აუცილ-ებელია შემდეგი ადმინისტრაციული ბარიერების მოსპობა 1. კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში (რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა უნდა დაიწყოს ხელისუფლების ძირეული რგოლებიდან, პატიოსანი ადამიანების სახელმწიფო სტრუქტურებში მოზიდვით, ქონებრივი დეკლარაციების საფუძვლიანი შესწავლით და სხვა); 2. ხელისუფლების მიერ მეწარმეთა ინტერესების დაუცველობა; 3. დასაქმებისადმი ხელის არ შეწყობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ პრობლემათა გადაწყვეტისათვის აუცილებელია 1. ნორმატიულ-სამართებლივი; 2. საფი-ნანსო-საკრედიტო; 3. საორგანიზაციო; 4. საკადრო და საკონსტიტუციო უზრუნველყოფის; 5. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების; 6. ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებისადმი ხელის-შემწყობი პოლიტიკის გატარება და ბოლოს 7. პერსპექტივაში საერთა-შორისო მარკეტინგული გარემოს შესწავლა და გამოყენება.

აგრარული რეფორმების მნიშვნელოვან ღონისძიებებს საბჭოთა პერიოდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია წარმოადგენს. ეს პროცესიც მოუმზადებლად და სერიოზული ხარვეზებით წარიმართა:

_ თავდაპირველად რეფორმა უფრო მექანიკური ცვლილებებით შემოიფარგლა და ნაკლებად შეეხო თვისობრივ მხარეს. მიზეზი რეორგანიზაციისთვის აუცილებელი სრულყოფილი პროგრამის

უქონლობა იყო.

_ საწარმოთა დაფუძნება მოხდა მათ პოტენციურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, წინასწარ შემუშავებული განვითარების გეგმის გარეშე.

_ ბევრგან შემორჩენილია მცირემიწიანი, ან უმიწოდ დარჩენილი საწარმოები, რომლებსაც ერიცხებათ დიდი რაოდენობით ძვირადღირებული გამოუყენებელი ქონება, უფუნქციოდ დარჩენილი ადმინისტრაციული სამმართველო პერსონალი.

_ ზოგიერთ რაიონში სათანადო სტრუქტურებთან შეთანხმების გარეშე, არსებული წესის დარღვევით, ყოფილი სახელმწიფო მეურნეობები კანონის უხეში დარღვევით გარდაქმნილი იყო კოოპერატიულ მეურნეობებად. უფრო მეტიც, რამდენიმე რაიონშიკოლმეურნეობის რეორგანიზაციის დროს საკოლმეურნეო ქონების მთლიანი ღირებულება ჩადებულ იქნა კოოპერატივთა საწესდებო კაპიტალში. კოლმეურნეობები კი კუთვნილი წილის გარეშე დატოვეს.

_ თითქმის არაფერი გაკეთებულა რეორგანიზებულ საწარმოებში არსებული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ბაზაზე, აგროსაინჟინრო მომსახურების საწარმოების შექმნისათვის. ამიტომ ტექნკიის უდიდესი ნაწილი დაქსაქუსულია ან დატაცებული.

საწარმოთა ახალი ორგანიზაციული ფორმების მნიშვნელოვანი მახასიათებელი მომენტია „ნატურალური წარმოების ფორმა“. სასაქონლო ტიპის მეურნეობებად მათი გარდაქმნისა და მაღალეფექტური ფუნცქიონირების მთავარი პირობა კი საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვე-ვო, საგადასახადო, საბაჟო ღონისძიებათა ურთიერთდაკავშირებული

კომპლექსის შექმნა. მათ შორის უპირველესს სტაბილური ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტს არ ძალუძს რეალური ფინანსური დახმარების გაწევა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობების მაქსიმალური გამოყენება. ამ მიმართებით საერთაშორისო ორგანიზაციებმა გარკვეული როლის შეასრულეს და ასრულებენ აგრარულ რეფორმების მომზადებასა და განხორციელებაში. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, ინვესტიციების აუცილებლობასა და დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ამ პროცესს რიგი ხარვეზები და ნაკლოვანებები ახასიათებს:

_ ინვესტორების სპონტანური და არაგეგმაზომიერი ხასიათი. სოფლის მეურნეობის ინვესტირება ხორციელდება არა მეცნიერთა და ექსპერტთა მიერ დასაბუთებული გრძელვადიანი პრობლემებით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანების და ვადების გათვალისწინებით, არამედ, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მიმართულებებისა და პირობების მიხედვით. ამიტომ, ეს პროექტები, უმეტეს შემთხვევაში, არ ითვალისწინებენ დარგის ძირთიად ამოცანებს და თავის განვითარების მიმართულებებს.

_ ინვესტიციების განაწილებისა და გამოყენების კონტროლის სისუსტე. ძირითადი მიზეზი ასეთი კონტროლის მექანიზმის უქონლობაა, რაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის ამ თანხების არამიზნობრივი და არაეფექტური გამოყენებისათვის.

_ სხვადასხვა სახის პროგრამების კოორდინირების უქონლობა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამიზნული ინვეტსიციების განაწილების უფლება, დაქსაქსული და გაფანტულია სხვადახსვა დონის უწყებებს შორის. მაგალითად: ფინანსთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, ცალკეული კერძო სტრუქტურები და ა.შ. ასეთ პირობებში აუცილებელია შესაბამისი მაკოორდინირებელი რგოლის არსებობა. ასევე მნიშვნელვოანია, ინვესტიციების ძირთიადი მაჩვენებლების სტატისტიკური აღრიცხვის ცენტრალიზაცია.

_ აგრარული პროგრამების და პროექტების მართვის ერთიანი პოლიტიკის უქონლობა.

რიგი პოზიტიური შედეგების მიუხედავად, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ფერმერთა დაკრედიტება კომერციული ბანკების მეშვოებით, მათდამი წაყენებული მოთხოვნების გამო, ნაკლებად ხელსაყრელი აღმოჩნდა ხელშემშლელი ფაქტორებია:

_ კომერციული ბანკები გირაოში არ იღებენ ისეთი სახის ძირითად საშუალებებს, რომელთა სწრაფი რელაიზაცია გაძნელებულია.

_ სპეციფიკური თავისებურებების გამო, სოფლის მეურნეობაში სესხის გაცემის რისკის დონე საკმაოდ მაღალია.

_ კომერციული ბანკები ტერიტორიულად მდებარეობენ თბილისში. ამიტომ, ფერმერები ცუდად არიან ინფორმირებული მათი მუშაობის პრინციპების შესახებ და პრაქტიკულადაც ძალიან უჭირთ მათთან კონტაქტის დამყარება.

_ კომერციული ბანკები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ფლობენ მაღალი კლასის შესაბამისი პროფესიის ექსპერტებს ეს კი, არ აძლევთ

საშუალებას ყოველთვის სწორი არჩევანი გააკეთონ. მათ გადაწყვეტილებანი ძირითადად ემყარება გირაოს ლიკივდურობის ფაქტორს და არა პროექტების მნიშვნელობასა და პერსპექტიულობას.

_ კრედიტებს მაღალი განაკვეთები ერიცხება (21-24%). ასეთი განაკვეთი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის წარმოუდგენლად მაღალია. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და რეალური ეკონომიკური გათვლები გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკების წლიური საპროცენტო დანამატი, მომსახურების ხარჯების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 5-10%-ს. 1999 წ. საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის ხელმოწერილი მემორანდუმით შეიქმნა „აგრობიზნეს ბანკი“. იგი მიზნად ისახავს კომერციული ბანკისათვის ტრადიციული საქმიანობის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის საბრუნავ საშუალებბესა და მატერიალურ აქტივებში ინვესტირებას. სბაანკო მემორანდუმის თანახმად, ბანკი შეეცდება მხარი დაუჭიროს საკრედიტო კავშირებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების სხვა ფორმებს. სპეციალიზებული ბანკის შექმნის ფაქტი თავისთავად დადებითი მომენტია. „აგრობიზნესბანკის“ საქმიანობა, მისი შექმნის მიზნიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ დაცული იქნება გარკვეული პრინციპები. მხედვლეობაში გვაქვს მისი ფუნქციონირბა ერთიანი, აგრარული საკრედიტო სისტემის შემადგენლობაში. სხვა შემთხვევაში იმის მიუხედავად, თუ რა სახელი ერქმევა, ისეთივე პრინციპებით მომუშავე იქნება, როგორც სხვა კომერციული ბანკები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მიმართებით ერთ-

ერთი მისაღები და ეფექტური ფორმა ე.წ. საკრედიტო კაშვირების (სკ) ფორმირება. ეს ორგანიზაციული ფორმები წარმატებით ფუნქციონირებენ აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში და ა.შ.

საქართველოში სკ-ს ჩამოყალიბება განხორციელდა ორი მოდელით: რეგიონული (რაიონული) და სასოფლო სკ-ს სახით.

„სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის“ ჩარჩოებში სასოფლო სკ საქართველოს თითქმის ყველა რაიონშია შექმნილი. მარტო 1995-1998 წლებში მათი რაოდენობა 117 შეადგენდა: კახეთში – 8, იმერეთში – 29, აჭარაში – 17, ქართლში – 11, სამეგრელოში –12, სვანეთში – 1, გურიაში – 21, სამცხე-ჯავახეთში – 5, რაჭაში –2. მათში გაერთიანდა 6687 წევრი. გრანტის სახით მიიღეს 167,2 ათასი ლარი, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანის კაპიტალი ზრდით ხასიათდება. მაგ. ხამისკურის სკ, რომლის საწყისი კაპიტალი გაიზარდა 20-ჯერ, წევრთა რაოდენობა 2-ჯერ, შესაბამისად, გოდერძის ხევის სკ. 26,5-ჯერ და 2-ჯერ. ალავანის სკა 14-ჯერ და 1,8-ჯერ, დედოფლისწყაროს სკ 50-ჯერ და 30-ჯერ და ა.შ. ევროკავშირის „საპარტნიორო ფონდის“ პროგრამით საქართველოს ტერიტორიის მაქსიმალური მოცვის მიზნით თითოეულ რეგიონში შეიქმნა თითო სკ. ამასთან, ვინაიდან ყველა მათგანი დაფუძნდა რაიონულ ცენტებში, მათ მიიღეს რაიონული (რეგიონული) ორგანიზაციული ფორმის სახე. ასეთი ტიპის სკ. შეიქმნა 7 რაიონში: სიღნაღის სკ., ხობის სკ., ლანჩხუთის სკ., ახალციხის სკ., ვანის სკ., ნინოწმინდის სკ. და ქობულეთის სკ. 2002 წელს აგვისტოს მდგომარეობით აღნიშნულ 7 სკ-ზე გაცემული სესხების რაოდენობამ შეადგინა 1146,7 ათასი ლარი.

როგორც სასოფლო, ისე რაიონული ტიპის სკ-ს საქმიანობის

განვლილმა პერიოდმა, ნათლად წარმოაჩინა მათი ფუნქციონირების დადებითი და ურაყოფითი მხარეები. გამოიკვეთა იმ საკითხების ნუსხა, რომელთა გადაწყვეტის გარეშე სკ-ს მუშაობა საჭირო ეფექტს ვერ მოიტანს.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკრედიტო რესურსების სიმცირე, კრედიტების გამოყენების შეზღუდული არეალი, სესხების განმეორებით აღების უმნიშვნელო შანსი ხელს უშლის წარმოების გაფართოებას. სკ-ს ფორმირების პროცესში ექსპერტების მიერ სრულად არ იქნა გათვალისწინებული რიგი ობიექტური ფაქტორები, რის გამოც თითქმის ყველა სკ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიღებული კრედიტების დაბრუნების პროცესზე სერიოზული გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ კრედიტების გამოყენების შეზღუდული სფეროს გამო, მიღებული ზარალის გადაფარვა, ან თუნდაც ნაწილობრივი კომპენსაცია, სხვა დარგებიდან შემოსავლების მიღებით შეუძლებელია. სკ-ში გაერთიანებისას, წევრებმა კარგად ვერ გაითავისეს მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. განსაკუთრებით, ერთობლივი და ცალცალკე პასუხისმგებლობის ფაქტორი, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას. პირველ რიგში, ეს ეხება აღებულ სესხების დაფარვის პროცესს. ჩვენი აზრით კარგი შედეგის მოტანა შეუძლია გირაოს ქვეშ მომავალი მოსავლის გამოყენებას. განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე, როდესაც საბაზრო-საკრედიტო ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბების სტადიაზე იმყოფება. ეკონომისტთა ნაწილი დიდ იმედებს ამყარებს, და არც თუ უსაფუძვლოდ, იპოთეკურ დაკრედიტების მექანიზმზე. თუმცა, მისი შესაძლებლობების შეფასებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჯერ ერთი იპოთეკის განვითარება ფერხდება მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის მექანიზმის უქონლობით. მეორე მხრივ,

კომერციულ ბანკებს მაინც და მაინც დიდი სურვილი არ გაუჩნდებათ გირაოში მიიღონ მიწები, რომელთა ფასი წარმოების არამყარი რენტაბელობის გამო, ჯერჯერობით მომგებიანი არაა. განსაკუთრებით ე.წ. სარისკო მიწათმოქმედების შემთხვევაში, რომლის ხვედრითი წილი, საკვლევ რეგიონში მიწის რესურსებში, საკმაოდ მაღალია. მნიშვნელოვანია ე.წ. სოციალური ფაქტორის არსებობა. კერძოდ, ბუნებრივად იბადება კითხვა, დასაშვებია თუ არა, რომ გლეხმა მისი შემოსავლის და არსებობის ერთადერთი წყარო – მიწა დააგირაოს? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა. მაგარმა, თუ გლეხმა რამე ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო დაგეგმილი შემსოავლის მღიება და ვალის გადახდა, ცხადია, გლეხი უმიწოდ დარჩება. თუ ამას დავუმატებთ, რომ კომერციული ბანკები, გირაოს რეალურ მიღებაზე 2-3-ჯერ ნაკლებ კრედიტს იძლევიან, ისინი ფაქტიურად მუქთად ჩაიგდებენ მიწას ხელში. გლეხს კი ხელმეორედ კრედიტის აღების საშუალება აღარ ექნება და თავის მიწაზე დაქირავებულ მუშად იქცევა. ამ კუთხით საქართველოს ისტორიული გამოცდილება უკვე აღვნიშნეთ. იგივე აშშ-ში მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 41% იმათი კუთვნილება გახდა, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან არავითარ ურთიერთობა არ ჰქონდათ. მათ მიწა გადააქციეს სპეციფიკური შემოსავლების წყაროდ. მიგვაჩნია, რომ მიწის გირაოს სახით გამოყენება, რეალური დამცავი მექანიზმის გარეშე დამღუპველი იქნება ქართული სოფლისა და მთლიანობაში მისი სოფლის მეურნეობის მომავლისათვის.

აგრარული საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების პარალელურად, აუცილებელია შესაბამისი სადაზღვევო სისტემის ფორმირება. ეს

საშუალებას მისცემს, როგორც მეწარმეებს, ისე კრედიტორებს, მიიღონ უფრო თამამი და რისკიანი გადაწყვეტილებები, არა მხოლოდ ჩადებულ გირაოზე დაყრდნობით, არამედ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმისა და მეწარმის პროფესიული დონის გათვალისწინებით. ამრიგათ, სკ-ის ფორმირების პროცესი დაწყებულია და მას უდავოდ დადებითი როლის შესრლება შეუძლია. თუმცა, როგორც დავინახეთ, მათი განვითარების საკითხი თანდათან პრობლემატური ხდება. მისი სწორი და დასაბუთებული მიმართულებით წარმართვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის დაკრედიტების საკითხში სახელმწიფო მიდგომის რადიკალურ გარდაქმნას. საქართველოს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების საკითხში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი, ამ კუთხით მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილება მიგვითითებს, რომ პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტური და პერსპექტიული გზა სპეციალური ფერმერული საკრედიტო „სისტემის“ (სფსს) ფორმირებაა. სფსს-ს რჩება ნახევრად სახელმწიფოს სტრუქტურა. ასეთი სიტუაცია გაგრძელდება მანამდე სანამ ბანკები არ შეძლებენ მიღებული სესხბეის უკან დაბრუნებას. შემდეგ ისინი გადაიქცევიან სისტემის წევრთა კერძო სტრუქტურად და სფსს გამოვა სახელმწიფო დაქვემედბარებიდან. ვალის დაბრუნებამდე კი დაწესდება გარკვეული საგარანტიო პირობები, სისტემის თანამშრომლები ითვლებიან მოსამსახურეებად, სისტემის წევრებს შეძენილი აქციების მიხედვით დივიდენდები არ მიეცემათ, სისტემის საქმიანობა განისაზღვრება სპეცია-ლური კანონით და არა კანონით კომერციული ბანკების საქმიანობის მიხედვით. სფსს-ს საბრუნავი კაპიტალის ფორმირების ძირითადი წყაროები იქნება: სახელმწიფო შეღავათიანი კრედიტები, სფსს-ს წევრთა

პირადი დანაზოგები და შენატანები, ფასიანი ქაღალდების გამოშვება და რეალიზაცია, სხვა ალტერნატიული წყაროები. სფსს-ს შემადგენლობაში ჩამოყალიბდება ორი ტიპის; ბანკები ერთი მიწის ბანკები (გრძელვადიანი დაკრედიტების ფუნქციით) და „სასოფლო-სამეურნეო ბანკები“ (მოკლევადიანი კრედიტების ფუნქციით), ადგილობრივ (რეგიონალურ) დონეზე შეიქმნება „რაიონული საბანკო ასოციაციები“ პრინციპით, რომ არც ერთი რაიონი არ დარჩეს მომსახურების გარეშე. სფსს-ს მუშაობის კონკრეტული პრინციპები დადგინდება საქართველოს კანონით „სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ“. კანონის ძირითადი ამოსავალი მომენტები შემდეგია:

_ თითოეული ბანკი და ასოციაცია მოემსახურება მხოლოდ სფსს-ს წევრებს, ბანკების შემოსავლები თავისუფლდებიან ყველა სახის გადახდისაგან.

_ „მიწის ბანკების“ შემოსავლები თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან.

_ ბანკები უფლებამოსილი არიან, თვითონ დაადგინონ საკრედიტო განაკვეთები. ამასთან, ისინი, კანონის თანახმად, ვალდებული იქნებიან განაკვეთი განსაზღვრონ მინიმალურ დონეზე, საექსპლუატაციო დანახარჯების, ფინანსირების ღირებულებისა და შესაბამისი რეზერვების გათვალისწინებით.

აქციების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. სწორედ ისინი ირჩევენ ასოციაციის დირექტორს. რაც შეეხება ბანკის დირექტორს, ისიც ექვემდებარება არჩევნებს და წარმოადგენს მისი მომსახურების არეალში მყოფ ასოციაციების პრეროგატივს.

როგორც ბანკების, ისე ასოციაციების დირექტორებად შეიძლება არჩეულ იქნენ (შესაბამისი პროფესიის) მხოლოდ მსესხებლები და ისფერმერები (გლეხები), რომლებიც ცხოვრობენ მათი მომსახურების ზონაში.

ფერმერებს აქტივების შეძენა შეუძლიათ ასოციაციებში. განცხადების განხილვა და კრედიტის გაცემა მოხდება არა ბანკებში, არამედ ასოციაციებში სგსს-ს სტაბილრი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საგარანტიო ღონისძიებებს შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისტემის საბანკო დაწესებულებათა საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევას. ამ მიზნით სისტემაში იქნება სადაზღვევო ფონდი,მისი ფორმირება ხორციელდება სისტემის ბანკების ანარიცხების და თვით ფონდის კაპიტალის ეფექტური გამოყენების საფუძველზე. ჩვენი გათვლებით, სფსს-ს სრულყოფილი ამოქმედება საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობას მიიღოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები 30-40%. აღნიშნულთან ერთად, დაკრედიტების ერთიან სისტემაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ისეთ წყაროებს, როგორიცაა: კომერციული ბანკები, სახელმწიფო ბიუჯეტის ალტერნატიული წყაროები. სფსს-ს ფუნქციონირება, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მუდმივი წყაროს შექმნასთან ერთად, ხელს შეუწყობს მთლიანი საკრედიტო სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, კერძოდ:

_ სფსს-ს მუშაობის სპეციფიკა, „აიძულებს“ კომერციულ საბანკო სისტემას, შეცვალოს თავისი დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ეს კი გამოხატულებას პოვებს კრედიტის პირობების თანდათან შემსუბუქებაში.

_ რეგულარული და ხელსაყრელი ფინანსური წყაროს არსებობა,

საშუალებას მისცემს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკებს, რეალურად იფიქრონ აგროტექნიკური სამუშაოების სრულყოფილად და ოპტიმალურ ვადებში ჩატარებისათვის.

_ დაკრედიტების მუდმივი წყაროს არსებობა განაპირობებს სასურსათო უსაფრთხოების დონეზე, სოფლის მეურნეობის ძირთიადი სახეობის პროდუქციის სტაბილური წარმოების შესაძლებლობას.

_ სფსს-ში კაპიტალის დასაბანდებლად არსებული მიმზიდველი და ხელსაყრელი გარემო, ხელს შეუწყობს ფულადი კაპიტალის მოდინებას მსხვილი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებიდან, სასოფლო ადგილებში და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ გადანაწილებას.

_ სფსს-ს შექმნა სტიმულს მისცემს მწარმოებლებს, დაიწყონ რეალური ღონისძიებების განხორციელება, რეგიონებში ეფექტური პირველადი საწარმოო ორგანიზაციული ერთეულების ჩამოყალიბებისათვის (ძირითადად კოოპერირების გზით). ვინაიდან, ასეთი მიდგომა მომგებიანია არა მარტო წარმოების პროცესის, აგრეთვე იაფი და ხელსაყრელი კრედიტების ნაკლები დროითი დანახარჯებით მოპოვებისათვის. ამ თეზისს ადასტურებს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც გაიარეს ან გადიან რეფორმების პროცესებს. ამრიგად სფსს-ს ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური და მყარი პირობა ქვეყნისა და მათ შორის კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში საფინანსო-საკრედიტო სისტემის მწყობრი პოლიტიკის არსებობისა. ეს კი გარანტი გახდება მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტთა ქვეკომპლექსის ფორმირება-განვითარებისათვის.

3.3. მევენახეობისა და მეღვინეობის ინტეგრაციის პერსპექტივები და ძირითადი პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები

ქვეყანაში ბოლო წლების მანძილზე განვითარებული მოვლენების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობა, ასევე მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტთა ქვეკომპლექსი. ამჟამად ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, აუცილებელია მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტთა ქვეკომპლექსის რეორგანიზაცია და რესტრუქტურიზაცია. თავის მხრივ, აღნიშნული უნდა ემყარებოდეს პროგრამულ მიდგომებს. ამას აპირობებს ამ დარგების ეკონომიკური მნიშვნელობა და საბაზრო ურთიერთობაში მისი განვითარების კარგი პრსპექტივები. აგრეთვე ამ რეგიონში დიდი პოტენციალური შესაძლებლობები მეურნეობის ახალი პირობებიდან გამომდინარე.

მართლაც რომ მევენახეობა-მეღვინეობა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. არსებული მძიმე მდგომარეობით: ვაზის ნარგავობა დაბალ პროდუქციულია, ხოლო ნაწილი მთლიანად ამორტიზებული. პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოების საშუალებათა დეფიციტის და გასაღების ბაზრების დაკარგვის გამო. მიუხედავად ამისა, მევენაეობა-მეღვინეობას სხვა კომპლექსთან შედარებით განვითარების უფრო დიდი პოტენციალური შესაძლებლობები აქვს.

ქვეყნის აგრარულ სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში მწვავედ დგება შესაბამის დარგთა რეალური სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა-გათვალისწინების საკითხი. ამასთან, გარდამავალი

ეკონომიკის განვითარების საწყის ეტაპზე განსაკუთრებთი აქტუალურია პოტენციურად კონკურენტუნარიანი დარგების რეაბილიტაცია-აღორძინების სახელმწიფო მხარდაჭერა, ხელსაყრელი საბაზრო გარემოებების შექმნა მათი გრძელვადიანი ეკონომკიური ზრდის მისაღწევად, მხედვლეობაშია ის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული რესურსებისა და საექსპორტო შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას.

ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს საკვლევი რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსმა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაში მაღალი ხვედრითი წილი უკავია და შემდეგში პოტენციური შესაძლებლობის ათვისებით ეკონომიკაში დიდი და კარგი პირობები ექნება მეურნეობის სხვა სფეროებთან შედარებით. მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს პირობებში გვევლინება ეკონომიკური ზრდის რეალურ მამოძრავებელ ძალად, სწორედ მას შეუძლია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი პროდუქტების წარმოების და შემოსავლების გადიდებას ბევრ მომიჯნავე დარგებში. კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის კახეთის რეგიონი გამოირჩევა დიდი უპირატესობით. ამას განაპირობებს ძირითადად ორი გარემოებით: ჯერ ერთი, მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და გამომუშავებული უნიკალური გამოცდილება, ვაზის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების და მოხმარების მდიდარი, ორიგინალური ჯიშობრივი შემადგენლობა; მეორე ამ რეგიონში ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდგომარეობით და რელიეფის ხასიათით, ადამიანთა მათ მიმართ განწყობით, სწორედ ამ ორი ფაქტორის ოპტიმალური შეხამების გავლენით ყალიბდებოდა ქართული მეღვინეობის

განსაკუთრებული ნიშან-თვისებები, რომელმაც ღირსეული ადგილი მიუჩინეს მას მსოფლიო მეღვინეობაში, ჩვენ ეს არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ განვავითაროთ და განვამტკიცოთ.

კერძო საკუთრებასთან ერთად წარმოების მასტიმულირებელი როლის შესრულება შეუძლია საიჯარო ურთიერთობების დანერგვას, მიწების იჯარით გადაცემას კერძო საკუთრებასთან შეთანაწყობის გზით. კვლევამ გვიჩვენა, რომ საკვლევ მხარეში მიწების 74% გაცემულია 21129 ფიზიკურ პირზე, ხოლო 26% - 349 იურიდიულ პირზე.

მევენახეობა-მეღვინეობაში კერძო საკუთრებისა და იჯარის ოპტიმალური შეთანაწყობა უზრუნველყოფს დარგობრივი და ტერიტორიული პრიორიტეტების გამოვლენას, მოსახლეობის საწარმოო-შრომითი აქტივობის ამაღლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რაც ხელსაყრელი მიმართულებით წარმართავს სახელმწიფოებრივი რეგულირების საბაზრო მექანიზმს. აგრეთვე კარგია თუ მოინახება ნედლეულის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ორგანი-ზაციული ურთიერთობების ისეთი ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს მევენახეობისა და მეღვინეობის გარკვეულ სინთეზს და აგრობაზარზე შექმნის ჯანსაღ კონკურენციის გარემოს.

მაგალითად, ყვარლის რაიონში შექმნილია სააქციო საზოგადოება „ვაზის ცრემლები“ აგროფირმის სახით. საზოგადოებას აქვს 150 ჰა. მიწის ნაკვეთი. აქედან 90 ჰა. სახნავ-სათესია, 60 ჰა ვენახი, მაგრამ პერსპექტივაში ნავარაუდევია მთლიან ფართობზე ვენახის გაშენება და ამით ქარხნის საერთო სიმძლავრის დონის მიღწევა, რომელიც შეადგენს 350 ათას დეკალიტრს.

ასეთი სააქციო საზოგადოებები შესაქმნელად კი საჭიროა:

_ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა.

_ ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება.

_ საექსპორტო პოტენციალის მარკეტინგული გამოკვლევა.

_ საგადასახადო სისტემის სრულყოფა.

_ სანერგე მეურნეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

ამრიგად, გამოკვლევის შედეგად განსაზღვრულია მევენახეობა-მეღვინეობის როლი სასურსათო პრობლემის გადაჭრაში, ჩამოყალიბებულია კერძო საკუთრებისა და იჯარულ ურთიერთობათა უპირატესობების და მოცემულია მათი დანერგვისა და შეთანაწყობის გზები.

იგი ახსნილია ყოფილი სსრკ-ის პერიოდში მიღწეულ შედეგებთან და ვიძლევით მეურნეობრიობის ახალი პირობებისათვის მისი გამოყენების აუცილებლობას, კერძოდ, იმ პერიოდში სხვადახსვა ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით წლების მანრძილზე დაიხვეწა ადგილობრივი ასორტიმენტი, რომელიც მდიდრდებოდა ახალი სელექციური უხვმოსავლიანი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მომცემი ჯიშებით. ამით ამ მხარეში საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო დონის არა მარტო მევენახეობის არამედ ქართული ღვინის მრეწველობის განვითარებას. თუ 1990 წლამდე რქაწითელის ჯიშის ვაზის უპირატესი განვითარება იყო განპირობებული ადრინდელი შრომის საკავშირო დანაწილებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში რქაწითელთან შედარებით ბევრად გაიზარდა ისეთი ჯიშები, რომლებიც იძლევიან წითელ, ვარდისფერ და შამპანურის ღვინომასალებს. ეს გამოწვეულია

იმით, რომ საქართველო ჩართულია შრომის საერთშაორისო დანაწილებაში და ამ ბაზარზე დასახელებული სახის პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია.

არსებობს ღვინო და ღვინომასალების საექსპორტოდ გატანის შესაძლებლობებიც. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურზეც და კონიაკზეც (ბრენდზე). მაშასადამე, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონში მევენახეობის განვითარებას ხელს უშლის მაღალხარისხოვანი და საუკეთესო ჯიშის ნამყენი ნერგის წარმოების დაბალი დონე. შესწავლით გამოირკვა, რომ 2004 წელს წარმოებული ნერგის ბაზრის მოცულობა კვლავ უმნიშვნელოა, მაშინ, როდესაც ბაზარზე გასვლის სტრატეგიას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წითელ ჯიშებს ინვესტიციების 2-5-ჯერ მეტი დაბრუნების დონე აქვთ, ვიდრე თეთრ ჯიშებს და საერთშაორისო ბაზარზე მათზე მოთხოვნაც მაღალია, ამ ჯიშის ვენახების გაშენებისა და მოვლისათვის 15-20%-იანი სესხის აღების შემთხვევაშიც კი წითელი ღვინის წარმოება მომგებიანია. ჩვენი გაანგარიშებით, წითელი ჯიშებით ვენახის გაშენებიდან მე-7 ან მე-8 წელს უკვე შესაძლებელია მოგების მიღება, რქაწითელის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 17 წელია.

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა თავისი გავლენა იქონია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, ქართული ღვინოების რეალიზაციაზე. პროდუქციის ძირითადი ნაწარმი ფალსიფიცირებულია, ღვინოებმა პირველ რიგში უნდა აღიდგინონ საერთშაორისო აღიარება და საბაზრო წილი საექსპორტო ბაზარზე.

ექსპორტზე უნდა დაიშვას მხოლოდ ის ღვინოები, რომლებიც პასუხობენ საერთაშორისო სტანდარტებს.

ექსპორტის მოცულობის ზრდის თვალსაზრისით მიზანშეწონილია სახელმწიფომ მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებაში და მეღვინეობის სეგმენტის შესახებ საინფორმაციო ცენტრის შექმნაში. სასურვლეია, აღნიშნული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში აისახოს ღვინის საერთშაორისო გამოფენებზე ამ რეგიონის მონაწილეობის შედეგები.

მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობა როგორც ამჟამად, ასევე პერსპექტივაში არა მარტო ამ მხარის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში კვლავ დიდია და მოსახლეობის მნიშვნელოანი ნაწილისათვის შემსოავლების ძირთიად წყაროს წარმოადგენს. მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს აღორძინება და მსოფლიო სტანდარტებით საუკეთესო ღვინოების წარმოება მხოლოდ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი საქმიანობით იქნება შესაძლებელი. ამ პირობებში ძირითადი გზა უნდა იყოს მევენახეობის ინეტნსიფიკაცია. პროდუქციის წარმოების გადიდება უნდა მოხდეს ტექნკიის, ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის თანმიმდევრული სრულყოფით, მეცნიერების მღიწევების და მოწინავე მეთოდების დანერგვის გზით და სხვა.ვენახების აღდგენა-გაშენების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უნდა იყოს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მევენახეობა-მეღვინეობის მოსალოდნელი შედეგების შეფასება რთულია, რადგანაც წარმოებაში ჩართულია როგორც შრომითი მიწის, მატერიალური და ფინანსური, ასევე ბუნებრივი ფაქტორები. წაროების

პროცესსზე მოქმედებს არა მარტო საბაზრო, არამედ ბუნებრივი გარემოც. გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზული პარამეტრების ანალიზი ბუნებრივი ფაქტორების გათვალისწინებითაც უნდა განხორციელდეს.

მევენახეობა-მეღვინეობის არსებული მდგომარეობის ანალიზისა და მეურნეობრიობის ახალი პირობების, აგრეთვე პროგნოზული პარამეტრების გაანგარიშების შედეგად საქართველოში მოიმავალ წლებში ვენახის ოპტიმალური ფართობი კარგი იქნება განისაზღვროს 80-90 ათასი ჰექტარის რაოდენობით. მაშინ ფართობის 65-68% და წარმოებული ყურძნის 65-70% მოვა კახეთის მხარეზე, შესაბამისად, იმერეთში და დასავლეთ საქართვლეოში 18-20%, ქართლში 14-15%. ვენახებში ასაკობრივი თანაფარდობის დაცვისა და ამორტიზაციის ნორმის ფარგლებში (2,5%) არსებული ნარგავების 90-92% რომ იყოს სრულმოსავლიანი. ახალშენი (4-წლიანი ჩათვლით) ვენახის ნარგაობაში არ უნდა აღემატებოდეს 8-10%. რეკომენდებულია ვაზის უნიკალური ჯიშების („საფერავი“, „მწვანის“, „ხიხვის“, „ალექსანდროულის“, „უსახელურის“, „კრახუნის“, „ოჯალეშის“, „ჩხავერის“, „პინოს“, „ალიგოტეს“ და სხვა) ხვედრითი წონა ნარგაობის ამჟამად არსებული 3-4%-დან 20-25%-მდე გაიზარდოს. აქედან გამომდინარე, თუ ყველაფერი, რაც თეორიულად ჩამოვაყალიბეთ პრაქტიკულად განხორციელდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა 70-75 ცენტნერის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული სრულმოსავლიანი ვენახების სტაბილურობის პირობებში, უზრუნველყოფს ყოველწლიური 400-500 ათასი ტონა კონდიციური ყურძნის წარმოებას.

შესწავლით გამოირკვა, რომ ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის სტრუქტურა ვერ პასუხობს საბაზრო მოთხოვნილებას. მარკეტინგის

გამოკვლევით დადგინდა, რომ კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსში გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს ბუნებრივ ვარდისფერ ღვინის წარმოების სანედლეულო ბაზის შექმნას და განვითარებას.

მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის, ასევე, აუცილებელია:

_ ხარისხოვანი პროდუქციის და მევენახეობის საწარმოთ ასწორი ინტეგრირება-კოოპერირება, მათი ერთობლივი თანამშრომლობა.

_ ხარისხოვანი პროდუქციის წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებით, ამას მოითხოვს ბაზარი, მისი კონიუნქტურა და კონკურენცია.

_ საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღება.

_ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯიშების სწორ თანაფარდობას, ყურძნის გამოყენებას და გადამუშავებას. გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია მის საწარმოს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე. საქმე იმაშია, რომ საბაზრო სივრცეში ორგანიზაციულ-ეკონომკიური ურთიერთობათა ჩამოყალიბება შეუძლებელია ფინანსური, საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალის გარეშე.

კვლევამ გამოავლინა, რომ მევენახეობა და მეღვინეობა ამჟამად საშინაო ბაზრების მოთხოვნილების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება. 2006 წელს წარმოებული ყურძნის 40% საოჯახო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მოხმარდა, 25-28% ადგილობრივ ბაზარზე ან საექსპორტოდ იქნა გატანილი, ხოლო 32-35% ღვინის ქარხნებს მიეყიდა. აღნიშნულ ღვინის ქარხნების მიერ წარმოებული ღვინის (არყისა და

კონიაკის ჩათვლით) 45% ადგილობრივ ბაზარზე იქნა გატანილი, 15-17% კი საექსპორტოდ. დანარჩენი ღვინის 38-40% დასაძველებლად იქნა გათვალისწინებული ან გაუყიდავი დარჩა.

ცხადია, დღეისათვის და პერსპექტივაშიც მთლიანად საქართველოს და კახეთის რეგიონის ეკონომიკისათვის ვენახის შემცირება მიუღებელია. ამიტომ ამ დარგების აღორძინება საშინაო ბაზრის დაცვისა და საექსპორტო ბაზრების გამოვლენის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამასთანავე, მევენახეობა-მეღვინეობაში ყურძნის გადამამუშავებელი პრივატიზებული საწარმოებისათვის პირველ რიგში აუცილებელია ახალი საკრედიტო ურთიერთობის ამოქმედება, ადგილობრივი წარმოების არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, სამეურნეო გარიგებების სამართლებრვიი მოწერისგება ყურძნის შესყიდვაზე და პროდუქციის რეალიზაციაზე, შესაბამისი პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვაზე, ახალი გზების ძიება მარკეტინგული სამსახურის პრიორიტეტულად განვითარება და სხვა. განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ, აგრეთვე, მევენახეობა-მეღვინეობაში ერთობლივი საწარმოების შექმნას უცხოელ პარტნიორებთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე პროდუქციის რეალიზაციას.

მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით კახეთის მხარის მევენახეობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბუნებრივად ვარდისფერი და წითელი ღვინოების დამზადებაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს თეთრი ღვინოების წარმოებაზე ხელის აღებას, რქაწითელის ჯიშის ყურძნის წარმოება და გაფართოება აუცილებელია, ამ ნედლეულზე დამზადებულ ღვინოებს აქვს პერსპექტივებიც. აქედან გამომდინარე, შესაბამისად გაიზრდება ამ მიზნით საჭირო ნედლეულის მოცემული ვაზის

ჯიშების: საფერავის, შავკაპიტოს, თავკვერის, კაბერნეს, რქაწითელის და სხვა ვენახების ფართობები. პირველ ეტაპზე ასეთი ტიპის ღვინოებმა რეგიონის წარმოების საერთო მოცულობაში 40-45% მაინც უნდა შეადგინოს, შემდგომ მათი ხვედრითი წილი თანდათანობით კიდე გაიზრდება.

საერთოდ, ქართული მეღვინეობის წინაშე ამჟამად მდგარი ამოცანების შესაბამისად უნდა გაიზარდოს ვენახებში საშულაო და შედარებით დაბალმოსავლიანი უნიკალური ვაზის ჯიშების: საფერავის, მწვანეს, ხიხვის, ალექსანდროულის, უსახელოურის, კრახუნას, ოჯალეშის, ჩხავერის, პინოს, ალიგოტეს და სხვათა ხვედრითი წილი – ამჟამად არსებული 3-4%-დან 20-25%-მდე.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველმხრივი სტიმულირება, ხარისხიანი პროდუქციის წარმოების გადიდების და მწარმოებელთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების მიზნით, საჭიროა ყურძნის საბაზრო ფასების სახელმწიფო რეგულირება. მთავრობა გარანტიას უნდა აძლევდეს მევენახეებს, რომ მათ მიერ წარმოებულ ყურძენს მთლიანად ან მის ნაწილს მაინც შეისყიდის საბაზრო – შეთანხმებულ ფასებით, გამოუყოფს მათ შეღავათიან კრედიტებს, აუნაზღაურებს სტიქირი უბედურებით გამოწვეულ ზარალს, შეუმცირებს საგადასახადო განაკვეთებს, მინიმუმადე დაიყვანს რისკის ფაქტორს და სხვა. ასევე, სახელმწიფომ პროტექციონისტული პოლიტიკა უნდა გაატაროს და შეზღუდოს ღვინის იმპორტი. ხელი შეუწყოს ღვინის ექსპორტიორებს ღვინისა და ღვინომასალებიდან დამზადებული სხვა პროდუქტების საზღვარაგრეთის ქვეყნების ბაზარზე გატანაში, რაც ვალუტის შემოტანის, ქვეყნის

ეკონომიკის გაძლიერებისა და სახელიწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

კახეთის რეგიონისა და მთლიანად საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მეურნეობის ახალი მიმართულებები უნდა გახდეს არსებული მდიდარი საექსპორტო პოტენციალის აღდგენა-გაფართოებისა და სავალუტო ფონდის შევსების უმთავრეს მიმართულებად.

დასკვნები და წინადადებები

1. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში კახეთის რეგიონის აგრარული ეკონომიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1990 წლიდან აშკარად გამოიხატა დარგის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის დაცემის ტენდენცია, გაწყვეტილ იქნა კავშირი პროდუქციის გადამუშავებულ მრეწველობასთან, გაჩერდა ყურძნისა და ღვინის პროდუქტთა ქვეკომპლექსის მუშაობა, რის გამოც შემცირდა კვების მრეწველობის ყველა სახის პროდუქციის წარმოება, განსაკუთრებით ღვინის და ღვინომასალების წარმოება, რამაც დიდი გავლენა იქონია საკვლევი რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტთა ქვეკომპლექსის აღორძინების გარეშე წარმოუდგენელია ამ მხარის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა.

2. კვლევამ გვიჩვენა, რომ საკვლევ რეგიონში ცუდად გამოიყენება ეკონომიკური ზრდის ბერკეტები: მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი, მათი პოტენციური შესაძლებლობები სანახევროდაც არ არის ამოქმედებული და გამოყენებული. არადა, ამ მხარის ეკონომიკური ზრდა მის გარეშე არ მოხდება, ხალხის ცხოვრების დონე ვერ ამაღლდება.

3. ანალიზმა აჩვენა, რომ მიწის პოტენციური შესაძლებლობების გამოყენება მესამედით ხდება, კაპიტალისა – 50-60 პროცენტით, შრომის გამოყენების კოეფიციენტი 0.75-ის ტოლია, ხოლო მევენახეობასა და მეღვინეობაში მეაწრმეობის უნარი მინიმალურადაც არ გამოიყენება. სოფლად ვერ ნახავ ნამდვილ მეწარმეს, რომელიც ფუნქციონირებდეს „მეწრამეთა კანონის“ შესაბამისად, თავისუფალი მეწარმეობა თითქმის არ

არსებობს. ამიტომაც ვერ განვითარდა აგრობიზნესი, საქონლიანობის დონე დაეცა.

4. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, რომელიც უშუალო კავშირშია საწარმოო პოტენციალის ზრდასთან და გამოყენებასთან, სახელმწიფო პირდაპირი (საბიუჯეტო დაფინანსების) ან არაპირდაპირი (სამართლებრივი რეგულატორებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების) გზით უნდა ჩაერიოს ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში, რომლისთვისაც ის უნდა იყენებდეს:

_ შესაბამის საკანონმდებლო მექანიზმბს, რათა ქვეყნის ეკონომიკაში მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის საფუძველზე შეიქმნა სტრუქტურულ გარდაქმნათა რეალური ეკონომიკური პირობები, რომ ჩამოყალიბდეს საბაზრო გარემო პირობები.

_ რესურსების განაწილება-გადანაწილების პროცესის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი თვალსაზრისით გამართულ-პრიორიტეტულ წარმოებათა განვითარებას, მეწარმეობას ააღორძინებს და ბიზნესს განავითარებს.

_ ეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირი სახელმწიფოებრივი ზემოქმედების იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების წარმართვას, ზრდის თვალსაზრისით პრიორიტეტულ დარგებზე.

_ სოფლის მეურნეობის მეწარმეობის იმ საწარმოთა განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების აქტიურ ჩართვას სამეურნეო ბრუნვაში, ასეთად კი საკვლევი რეგიონისათვის პირველ რიგში ხასიათდება ყურძნისა და ღვინის პროდუქტთა ქვეკომპლექსი, შემდგომ პურისა და პურის პროდუქტებისა

და მეცხოველეობის პროდუქტთა ქვეკომპლექსები.

5. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე განვითარებულმა მოვლენებმა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სახელმწიფო რეგულირების ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში აუცილებელია განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, როდესაც ძველი სისტემა დანგრეულია და ახალი შენდება. რაც უფრო ოპტიმალურად ჩაერევა ამ დროს სახელმწიფო რეგიონის ეკონომიკაში და გაატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს, მით უფრო მალე აღორძინდება არა მარტო საკვლევი რეგიონის ეკონომიკა, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური პირობები. სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკის რეგულირება უნდა ხდებოდეს ფრთხილად, გეგმაზომიერად, რათა დაცული იქნეს და განვითარდეს კერძო სექტორი, არ მოისპოს კონკურენცია, არჩევანის თავისუფლება, საბაზრო ფასწარმოქმნა და ა.შ. რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნისა და რეგიონისთვისაც.

6. სოფლად მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებასა და სურსათის წარმოების გადიდების დაჩქარების მიზნით, აუცილებელ ღონისძიებად უნდა იქნეს მიჩნეული, სახელმწიფოს მიერ აგროდაკრედიტების საკითხების მოგვარება. ამ მიზნით სოფლად ამჟამად მოქმედი საკრედიტო კავშირების გარდა, უნდა მოგვარდეს მიწის გირავნობის საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, მიწის რეგისტრაციის და მიწის თავისუფალი ბაზრის ფორმირების პრობლემებს უკავშირდება. სახელმწიფომ უნდა დააჩქაროს სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის (სასს) შექმნა, რომლის გარეშე რეგიონის ეკონომიკის აღმავლობა წარმოუდგენელია.

7. კახეთის რეგიონში, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი მეურნეობის ძალდატანებით ლიკვიდაციას, რასაც ძირითადი საწარმოო ფონდების დატაცება-განიავება მოჰყვა. გამართლებულად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერაციული-ორგანიზაციების აღდგენა: აგროფირმების, კოოპერატივების, სააქციონერო საზოგადოებების, თუ სხვა გაერთიანებათა ფორმების სახით.

უნდა მოვახდინოთ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობათა გაერთიანება, მოვაწყოთ და შევქმნათ ნამდვილი წარმოება. რაც დღემდე საკვლევ რეგიონებში ვერ მოხერხდა.

8. ამიერკავკასიის სახელმწიფოების შორის სასურველია თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემოღება (მასში ფართოდ შეუძლია ჩაერთოს საკვლევი რეგიონი), რაც ამ ქვეყნებს საშუალებას მისცემს გაუქმდეს საბაჟო გადასახადები, თუმცა იგი შენარჩუნებული უნდა იქნეს სხვა ქვეყნების მიმართ.

9. ხალხის (შრომითი რესურსების) დასაქმების დონე (კოეფიციენტი) ამაღლდება 0.65-დან 0.80-მდე. ხოლო საწარმოო პოტენციალის გამოყენების ინტეგრალური ინდექსი 0.80-მდე. რეგიონის საწარმოო რესურსები გამოყენებული იქნება უფრო სრულად და ამ მხარის ხალხის ცხოვრების დონე მკვეთრად გაუმჯობესდება. საქართველოში კახეთის რეგიონის სახით შეიქმნება ძლიერი რეგიონი. ეს კი ქვეყნის ძლიერი ეკონომიკის შექმნის წინაპირობა გახდება. საკვლევი რეგიონის ეკონომიკა, ძირითადად, დაემყარება მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტა ქვეკომპლექსის ამოქმედება-განვითარებას.

10. კახეთის რეგიონში ყურძნისა და ღვინის ქვეკომპლექსის

ამოქმედებით, თავისუფლად შესაძლებელია უახლოეს პერსპექტივაში რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებები სრულიად დაკმაყოფილდეს საკუთარი წარმოების ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა პური და პურის პროდუქტები; კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, მცენარეული ზეთი და თევზი. ასევე, შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს ხორცისა და ხორცის პროდუქტებით, რძისა და რძის პროდუქტებით და კვერცხით. ამასთან ერთად, საკვლევ რეგიონს საშუალება ექნება დიდი რაოდენობით გაიტანოს საექსპორტოდ ღვინო და ღვინო მასალები და რეგიონში მყარი სავალუტო ფონდი შექმნას, რეგიონის ძლიერი ეკონომიკა ჩამოაყალიბოს. ეს რომ რეალობად იქცეს, საჭიროა ქვეყნის სტაბილურობა, სახელმწიფოებრივი რეგულირება, ინდიკატორული მართვა-დაგეგმვა.

11. საერთაშორისო ბაზრებზე ძალზე პოპულარულია წითელი და ვარდისფერი ღვინოები. ამ მხრივ საქართველოს გააჩნია ფართო შესაძლებლობები კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასობრივი წარმოებისა და გატანისათვის. ამასთან, უკანასკნელ წლებში ღვინის საერთაშორისო ბაზრებზე მკვეთრად ეცემა მოთხოვნილება ორდინალურ ღვინოებზე და მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება მაღალხარისხიან სამარკო ღვინოებზე. ეს ტენდენციები ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს უბიძგებენ გააფართოვონ მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოება, აამაღლონ ამ ღვინოების ხარისხი და კონკურენტუნარიანობა.

ასეთ პირობებში საჭიროა ჩვენთა გაიზარდოს სამარკო ღვინოების წარმოება, უნდა მოხდეს მათი საწარმოო პირობების მონიტორინგი, ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვის ეფექტური სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არ მოხდეს საერთაშორისო ბაზარზე საყოველთაოდ ცნობილი ქართული ღვინოების რეპუტაციის შელახვა. პროდუქციის

სერთიფიკატისა და ხარისხის კონტროლის საქმეში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფართოდ იქნეს გამოყენებული შიდა და გარე ბაზრებზე კონტროლის ახალი ორგანიზებული სისტემა.

12. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების, ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ხალხის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მევენახეობა-მეღვინეობის, ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი და პრიორიტეტული დარგების ჯერ რეაბილიტაცია, შემდეგ კი აღმავლობა, ამ მიზნით საჭიროა უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, საკონკურსო პროექტების (პროგრამების) და ტენდერებში მონაწილეობისათვის თანაბარი პირობების შექმნა. ამასთან, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს საექსპორტო პროდუქციის პოტენციალის გაფართოება, ქართული ღვინოებისათვის დაკარგული პოზიციების დაბრუნება დსთ-ს ქვეყნების ბაზრებზე, აგრეთვე სხვა ქვეყნების ბაზრებზე დამკვიდრება. დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ამ დარგების არსებითი, თვისებრივი გარდაქმნა, საბოლოო პროდუქციის – ღვინის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა.

13. ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაფართოებისათვის აუცილებელია გასაღების გარე ბაზრების საფუძვლიანი შესწავლა, ამ პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხზე სხვა ქვეყნების მოთხოვნათა გათვალისწინება, რის საშუალებასაც იძლევა მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება. ამჟამად ქართული ღვინის საწარმოების მიერ გარე ბაზრობის მოთხოვნათა შესწავლა ამოიწურება

იმით, რომ უკვე წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციოდ ეძებენ ქვეყნებს, სადაც შესაძლებელი იქნება მათი პროდუქციის როგორმე გასაღება, რაც სწორი არ არის. მარკეტინგული გამოკვლევის მიზანი არის ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინება მომავალში პროდუქციის ასორტიმენტზე, მოცულობასა და ხარისხზე, ახალი ტიპის ღვინოების მოთხოვნის გათვალისწინებით. მარკეტინგი მიმართულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისაკენ, ახალი მოთხოვნის და ახალი საქონლის გამოვლენისაკენ. მთავარია ვაწარმოოთ არა ის რაც შეგვიძლია, არამედ ის, რაც საჭიროა ახლა, ან იქნება საჭირო მომავალში საზოგადოებისათვის და კონკრეტულად მომხმარებლისათვის.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე ვიძლევით შემდეგ სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებებს:

საჭიროა, უკუვაგდოთ ღვინის წარმოების სტიქიურობის ძველი სქემა, როცა ჯერ შევქმნით პროდუქციას, თუნდაც ახალს, ხოლო შემდეგ ვცდილობთ მის გაყიდვას. პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნეს, რომ პოტენციალური მყიდველისაგან რაზეა მოთხოვნა ხვალ, მომავალში და ა.შ. ეს კი სწორედ მარკეტინგის სამსახურის პრეროგატივაა.

ყურძნისა და ღვინის წარმოების მეურნეობრიობის ახალ სისტემაში მარკეტინგულმა მართვის ამ ორგანიზაციამ ახალი ადგილი უნდა დაიკავოს.

ეს ეხება არა მარტო საკვლევ რეგიონს, არამედ მთლიანად საქართველოს აგრარული სექტორის გაძღოლის მთელ სისტემას.

_ მევენახეობისა და მეღვინეობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში დიდია და იგი მოსახლეობის უმეტესობისათვის შემოსავლების მიღების ძირითადი წყაროა. დღეს ბაზარზე დიდია მომხმარებლის მოთხოვნა

სამარკო, შამპანურისა და ცქრიალა ღვინოებზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი წილის ზრდას პროდუქციის მთლიან მოცულობაში. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვენახების ფართობების ნაწილობრივი აღდგენით, ახლის გაშენებით, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებით, მეჩხერიანობის ლიკვიდაციით, საკრედიტო ხაზების ამოქმედებით, სამართლებრივი ბაზის სრულყოფით, გადამუშავებული პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის განვითარებით და ა.შ.

_ მევენახეობა-მეღვინეობაში ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა სრულყოფის ქვეყნის ხელსაყრელ, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მაქსიმალური და რაციონალური გამოყენების მოთხოვნებს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ძირითად საწარმოო მიმართულებად უნდა დარჩეს: უმაღლესი ხარისხის სუფრის მშრალი სამარკო და ორდინალური, შამპანიურის, ცქრიალა, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოებისა და კონიაკის, აგრეთვე ადგილობრივი მომხმარებლისათვის განკუთვნილი სუფრის ყურძნის წარმოება სპეციალიზირებულ ზონებში და ფერმერულ მეურნეობებში. _ კახეთის მხარეში ვენახის ფართობების უმეტეს ნაწილი კერძო საკუთრებაშია. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია ფართობის 1,9%, რაც თავის მხრივ დამუშავებულია.

შესწავლით გამოირკვა, რომ კერძო საკუთრებაში გადაცემული ვენახის ფართობები ფერმერული მეურნეობების ორგანიზაციისათვის მცირეა. ამიტომ ტერიტორიული პრიორიტეტების გამოვლენას, მოსახლეობის საწარმოო-შრომითი აქტივობის ამაღლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ხელსაყრელი მიმართულებით წარმართავს

სახელმწიფოებრივი რეგულირების საბაზრო მექანიზმს.

_ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის პირველ რიგში აუცილებელი საკრედიტო ხაზის ამოქმედება, ყურძნის გადამამუშავებელი პრივატიზებული საწარმოებისათვის, ადგილობრივი წარმოების ნატურალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, სამეურნეო გარიგებების სამართლებრივი მოწესრიგება ყურძნის შესყიდვაზე და პროდუქციის რეალიზაციაზე, გარემო პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვაზე, მარკეტინგული სამსახურის, პრიორიტეტულად განვითარება და სხვა. მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსის განვითარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ ერთობლივი საწარმოების შექმნას. უცხოელი პარტნიორები დაგვეხმარებიან როგორც ახალი ტექნოლოგიების დანგრევაში, ასევე რეალიზაციაში.

_ მიზანშეწონილია, რომ ხარისხოვანი მეღვინეობის ზონის ღვინის ქარხნებში მოეწყოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების დასამზადებელი საამქროები, რაც შედარებით მცირე ინვისტიციებთან იქნება დაკავშირებული. მევანახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსში საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველმხრივ სტიმულირება, მეწარმეობის აღორძინება, ფერმერული და მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმირების განვითარება. მევენახეობა-მეღვინეობაში ადგილობრივი და უცხოელი ფირმების გამოცდილების შესწავლა, ხელს შეუწყობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას.

_ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის მოსალოდნელი შედეგების შეფასება რთულია, რადგან წარმოებაში ჩართულია როგორც შრომითი, მიწის, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ასევე

ბუნებრივი ფაქტორები. წარმოების პროცესებზე მოქმედებს, როგორც საბაზრო, ისე ბუნებრივი გარემო. კერძო საკუთრებასთან ერთად წარმოების მასტიმულირებელი როლი იჯარამ უნდა შეასრულოს.

_ მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოთა პრივატიზაციის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა მესაკუთრეთა ორი ჯგუფი: პირველი, რომელსაც არ გააჩნია აუცილებელი წარმოების საშუალებები, საწვავი, შხამქიმიკატები და ა.შ. აღნიშნულის გამო ამ ჯგუფმა შეცვალა წარმოების პროფილი და სხვა კულტურების წარმოებითი შემოიფარგლა, რამაც გამოიწვია ვენახის ფართობის და მოსავლის შემცირება. მეორე ჯგუფი, რომელმაც შეძლო ნედლეულის წარმოება, გახდა ღვინის მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელი, მაგრამ ფასების ლიბერალიზაციამ, მიწოდების საბაზრო პრობლემებმა გამოიწვია ინტერესთა კომფლიქტი ნედლეულის მწარმოებლებსა და გამომუშავებელებს შორის. დღეს ღვინის კომპანიები ფლობენ ვენახის ფართობის 2%-ს, რის გამოც მათ სირთულეები გააჩნიათ ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის მხრივ. მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსის განვითარება მოითხოვს ინტერესების დაბალანსებას ნედლეულის მწარმობლებსა და გადამამუშავებლებს შორის საქმიანობის კოორდინაციის, ორივე სექტორებისათვის ხელსაყრელი საფინანსო, ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის, პროდუქციის რეალიზაციის ორგანიზაციული სისტემების შექმნისა და სხვათა საფუძველზე.

_ ფერმერულ მეურნეობებში სანედლეულო ბაზის განვითარება ორი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს:

1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და საქონლის ფორმირება;
2. ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესების დაცვა.

პირველი მიმართულება უნდა მოიცავდეს საბაზრო სფეროს

ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთაგან ცენტრალური საკითხი იქნება ფერმერთა შემოსავლები და პროდუქციის ფასების რეგულირების პოლიტიკა. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შემოსავლების საბიუჯეტო მხარდაჭერა, სუბსიდირება, დაკრედიტება, ხელშეწყობა ექსპორტისათვის, კრედიტით უზრუნველყოფა საშეღავათო პირობებით და სხვა. ამასთან მეტად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ოპტიმალური შეთანაწყობა. ეს შეამცირებს ეკონომიკურ დანახარჯებს, მინიმალური გახდება დანაკარგები პროდუქციისა და ნედლეულის გადაადგილების ყველა სტატიაზე, დაინერგება უნარჩენო წარმოების ტექნოლოგიები, შემცირდება წარმოების სეზონურობა და სხვა. ინტეგრაცია მომხმარებელთა ინტერესების დაცვასაც მოემსახურება. ჯერ ერთი, ნედლეულის ადგილზე გადამუშავების შედეგად მზა პროდუქციაზე ფასები დაბალი იქნება, ხოლო მეორე მხრივ, სამრეწველო გადამუშავების და მრკეტინგული სამსახურის შედეგად ამაღლდება პროდუქციის ხარისხი. მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსის საწარმოებში სამრეწველო საქმიანობის განვითარება არა მარტო შეამცირებს შრომის სეზონურობას, არამედ იმავე რაოდენობის მუშახელის გამოყენების პირობებში გაზრდის მზა პროდუქციის წარმოების მოცულობას.

_ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება დამოკიდებულია ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაზე. ამასთან ეს დარგი სულ უფრო მეტად კაპიტალტევადი ხდება, რადგან იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონე და მიწის ფასი. სწორედ ამიტომ მევენახეობის სანედლეულო რესურსებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვა ადგილობრივი

რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, კერძოდ შინამრეწველობის განვითარებას და მის შეთანაწყობას მევენახეობასთან. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში ასეთი რესურსების გამოყენების და მევენახეობასთან მისი შეთანაწყობის დონე ძალზე დაბალია, რის გამოც ზარალდებიან როგორც ფერმერები, ასევე მომხმარებლები, პირველნი კარგავენ დამატებით შემოსავლებს, მეორენი სახალხო მომხმარების საქონლის.

_ მევენახეობის განვითარებას საქართველოში სერიოზულად უშლის ხელს მაღალხარისხოვანი და წმინდა ჯიშის ნამყენი ნერგის წარმოების დაბალი დონე. შესწავლით გამოირკვა, რომ 2006 წლისათვის წარმოებული ნერგის ბაზრის მოცულობა კვლავ უმნიშვნელოა, მაშინ როდესაც ბაზარზე გასვლის სტრატეგიას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყურძნის ჯიშობრივი შემადგენლობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წითელ ჯიშებს ინვესტიციების 2-5-ჯერ მეტი დაბრუნების დონე აქვთ, ვიდრე თეთრ ჯიშებს და საერთაშორისო ბაზარზე მათზე მოთხოვნაც მაღალია, ამ ჯიშის ვენახების გაშენებისა და მოვლისათვის 15-20%-იანი სესხის აღების შემთხვევაშიც კი წითელი ღვინის წარმოება მომგებიანია. ჩვენი გაანგარიშებით წითელი ჯიშებით ვენახის გაშენებიდან მე-7 ან მე-8 წელს უკვე შესაძლებელია მოგების მიღება, რქაწითელის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 17 წელია.

_ ღვინისა და ღვინის პროდუქტების ზრდის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია სახელმწიფო რეგულირების შემდეგი მექანიზმის ამოქმედება:

_ შეიქმნას მეღვინეობის სექტორის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ინფორმაციას ქართული ღვინოების

რეალიზაციის შესახებ, მოახდენს ღვინის საერთაშორისო საბაზრო ტენდეციების მონიტორინგს, კანონმდებლობისა და ბაზრის კვლევების ჩატარებას;

_ შემუსავდეს საერთაშორისო ექსპორტის ხელმშეწყობი პოლიტიკა, რომელიც ასევე გულისხმობს მონაწილეობის მიღებას ღვინის საერთაშორისო გამოფენებზე;

_ ჩამოყალიბდეს წესები, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ უსამართლო კონკურენციას ფალსიფიცირებული ღვინოებთან;

_ განხორციელდეს ეტიკეტის სრულყოფის პროგრამა, რათა ქართული ღვინოები დაცული იყოს მოსავლის ჯიშის, ყურძნის წყაროს და გეოგრაფიული მდებარეობის მინიშნების თვალსაზრისით;

_ ევროკავშირის წესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაწესდეს ევროკავშირის და საქართველოს ყველა გეოგრაფიული მინიშნება და ტრადიციული გამონათქვამები.

_ მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსში კერძო და სახელმწიფო სექტორების განვითარება, მათი ოპტიმალური შეთანაწყობა უზრუნველყოფს დარგობრივი და სამეურნეო შედეგების შეფასებისას უნდა გავითავლისწინოთ, რომ სამომხმარებლო ღირებულება იქმნება არა მარტო შრომით, არამედ ბუნებრივი ძალებითაც. მიწის, კლიმატისა და ამინდის პირობების მიხედვით სხვა თანაბარ პირობებში განსხვავებული რაოდენობის შრომა იხარჯება და სამეურნეო შედეგებიც სხვადასხვაა. ამიტომ გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზირებული ანალიზი ბუნებრივი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

_ ჩვენი გაანგარიშების მიხედვით კახეთის მხარეში 2010 წლისათვის ვენახის ფართობი 44 ათასი ჰექტარამდე გაიზრდება, მათ შორის 37,7 ათასი

ჰექტარი იქნება სრულ მსხმოიარე. ასეთი რაოდენობის ფართობის პირობებში მოსავლი შეიძლება იყოს 404 ათასი ტონა, ხოლო მოსავლიანობა 107 ცენტნერი ჰექტარზე. 2010 წელს მიღწეული მასშტაბებით ბაზარი მხოლოდ ნაწილობრივ გაჯერდება ღვინისა და ღვინის პროდუქტებით. ჩვენი გაანგარიშებით ყურძნის ღვინის წარმოება ამ სახის პროდუქციის საბაზრო მოთხოვნის 33,3% იქნება, კონიაკის 11%, არყისა და ლიქიორ-არყის ნაწარმის _ 63,9%.

დასახელებული ბაზრის ტევადობა დაბალანსირებულ უნდა იყოს მოსახლეობის ფულად შემოსავლებთან, რითაც თავის მხრივ განმტკიცდა კავშირი ბაზრებსა და მევენახეობა-მეღვინეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის.

_ მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსი დღეს საშინაო ბაზრების მოთხოვნილების დაკმაყობილებით შემოიფარგლება. დასახლებულ ქვეკომპლექსში 2006 წელს წარმოებული ყურძინი 40% შინა საოჯახო მოთხოვნილებების დაკამაყოფილებას მოხმარდა, 25-28% ადგილობრივ ბაზრებზე ან საექსპორტოდ იქნა გატანილი, ხოლო 33-35% ღვინის ქარხნებს მიეყიდათ. აღნიშნულ წელს ღვინის ქარხნების მიერ წარმოებული ღვინის არყის და კონიაკის ჩათვლით) 45% ადგილობრივ ბაზარზე იქნა გატანილი, ხოლო 15-17% საექსპორტოდ. დანარჩენი 38-40% დასაძველებლად გადაიდო ან გაუყიდავი დარჩა.

_ მიზანშეწონილია ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე შესვლა სამ ეტაპად განხორციელდეს: პირველ ეტაპზე აუცილებელია საქართველოდან გაიგზავნოს მაღალი ხარისხის ღვინო და ღვინის პროდუქტები, რათა ამაღლდეს ქართული ღვინის პრესტიჟი, მეორე ეტაპზე განვითარდეს ერთობლივი საწარმოების შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიური

სისტემებით, მესამე ეტაპზე მოხდეს დამოუკიდებლად გასვლა მსოფლიო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1994, 302 გვ.
2. ასათიანი ლ. ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში. თბილისი6 მეცნიერებათა აკადემია, 1978, 200 გვ.
3. ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი, მეცნიერებათა აკადემია, 1973, 1102 გვ.
4. ბენიძე ა.ქართული ღვინოები, თბილისი. გამომცემლობა „მესხეთი“, 1998, 107 გვ.
5. ბერიაშვილი ლ. ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიცია საქართველოში, თბილისი, „მეცნიერება“, 1989, 243 გვ.
6. ბერიძე გ. საკოლექციო ღვინოების დეგუსტაციისი შედეგები. თბილისი, „მეცნიერება“, 1993, 88 გვ.
7. ბერიძე გ. ღლონტი თ. ქართველი მეღვინეები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1974, 107 გვ.
8. ბურკაძე ვ. სოფლის მეურნეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟ. „ეკონომიკა“, №7-8, 1991.
9. ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების არსებული მდგომარეობა განვითარების პერსპექტივები, თბილისი, „მეცნიერება“ 1992, 177 გვ.
10. ბურკაძე ვ. ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა კოოპერირება მსხვილ

სასაქონლო მეურნეობის შექმნის საფუძველია. სამეცნეირო შრომათა კრებული (XXVI), თბილისი, აგრარული უნივერსიტეტი 2001, 19 გვ.

11. ბოხოჩაძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით უძველესი დროიდან ახ. წ. XI-XII საუკუნეებამდე თბილისი, საქართველოს მეცნეირებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, 199 გვ.
12. გელაშვილი ნ. მეღვინეობა. I ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“, 1961, 345 გვ.
13. გელაშვილი ნ. მეღვინეობა. II ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“, 1961, 437 გვ.
14. გუგუშვილი პ. საქართველოს სახალხო მერნეობა 1921-1961 წლებში, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961, 620 გვ.
15. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატებქის სტრატეგია და კულტურა. თბილისი, გამომცემლობა“ საბჭოთა საქართველო“, 1985, 291 გვ.
16. გამოყენებითი ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „მარიხი“, 1997, 231 გვ.
17. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები, თსუ 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, თბილისი6 უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, 176 გვ.
18. გიორგაძე ე. გლეხური ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების შესახებ მეურნეობაში, „ეკონომკია“, №7-8, 1996, 70 გვ.
19. გიორგობიანი ო. კვების მრეწველობის ეოკნომიკ ადა ორგანიზაცია, თბილისი, „მნათე“, 1993, 246 გვ.

20. გიორგობიანი ო. კვების მრეწვლეობის ეკონომიკა6 თბილისი, „მნათე“, 1996, 240 გვ.
21. გოგოხია რ. აგრარული საკითხები და ერის ინტერესები, ჟურნალი „ეკონომკია“, №2, 1991, 70.
22. გოგოხია რ. როგორ გავხდეთ ფერმერი, ჟ. „ეკონომიკა“, №7-8, 1998.
23. ეკონომიკის აქტუალური საკითხები, სამეცნეირო შრომათა კრებული (XVII), თსუ, თბილისი, 2001, 145 გვ.
24. ვალეიკო გ. ყურძნის ღვინო, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985, 291 გვ.
25. ვაშაკიძე ო. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტურობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თბილისი6 1980, 66 გვ.
26. ვაშაკიძე ო. და სხვა, პირადი დამხმარე მეურნეობა საქართველოში და მისი პერსპექტივები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1998, 122 გვ.
27. ვაშაკიძე ო. ყუფუნია გ. აგრარული რეფორმის კორექტირების აუცილებლობა, ჟ. ეკონომიკა №1-3, 1999.
28. ზონენაშვილი ჟ. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №16, 1998, გვ7 24.
29. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში, თბილისი, „მაცნე“, 1999, 44 გვ.
30. თოდუა გ. ქართული ეკონომიკური აზრი საბაზრო ეკონომიკის თაობაზე, ჟურნალი „ეკონომიკა“, №4-5, 1994.
31. თოფურია ნ. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან: მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები)

თბილისი, „მეცნიერება“ 1984, 103 გვ.

32. იაშვილი ნ. საქართველოს მიწის ფონდი, თბილისი თსუ, 1975, 525 გვ.

33. კოღუაშვილი პ. გიორგაძე ჰ. რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემიდან სასურსათო უსაფრთხოებამდე, თბილისი, მერანი, 1999, 138 გვ.

34. კოღუაშვილი პ., ქვყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტირები თავსებადი უნდა იყოს, ჟურნალი “საქართველოს ეკონომიკა”, №5, 2006, 47-51 გვ.

35. კოღუაშვილი პ. მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების გენეზისი და მათი რეგულირების მიმართულებები, ჟურნალი “საქართველოს ეკონომიკა”, №6, 2006, 35-39 გვ.

36. კუნჭულია თ. სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია, ჟურნალი „ეკონომიკა“, №8-9, 1993, 90 გვ.

37. კუნჭულია თ. სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, თბილისი, „მეცნიერება“, 1997, 143 გვ.

38. კიკნაველიძე ა. წარმოების ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, „განათლება“, თბილისი, 1990, 511 გვ.

39. ლორთქიფანიძე თ. საბაზრო სტრუქტურებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ფორმირება სასურსათო მევენახეობა-მეღვინეობის ქვეკომპლექსში, „მერიდიანი“, თბილისი, 1997, 102 გვ.

40. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, XXI საუკუნის სახელმძღვანელო, „დიოგენე“, 1064 გვ.

41. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996, 75 გვ.

42. მექვაბიშვილი ე. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, თსუვ, თბილისი, 1991, 120 გვ.

43. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა, თსუ, თბილისი 1996, 75 გვ.
44. მევენახეობის სექტორის რეაბილიტაციის პროექტი, საქართველო, თბილისი 2005, 94 გვ.
45. მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, ნ. ჩხარტიშვილი, მ. ჯომარდიძე, რ. დარჩიაშვილი „საქართველო“ 1987, 207 გვ.
46. მოდებაძე ვ. ქართული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების გზები. თბილისი, 1976, 155 გვ.
47. მოდებაძე ვ. მეღვინეობა-მევენახეობის ძირითადი მიმართულებები მსოფლიოში, თბილისი, 1989, 107 გვ.
48. მეხუზლა ნ. საქართველოს მეღვინეობა მდგომარეობა და პერსპექტივები, ტექნოლოგია, სპეციალისტები თბილიის, 1996, 281 გვ.
49. მესტვირიშვილი ილია, მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, (თელავისა და ახმეტის რაიონებში) თბილისი, „საბჭოთა საქართველო“ 1971, 133 გვ.
50. მიწის კანონმდებლობა. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, შპს „კაბადონი“, თბილისი, 2005, 380 გვ.
51. ნაცვლიშვილი დ. ქართული მეღვინეობის პატრიარქი თბილიის, „საბჭოთა საქართველო“, 1981, 15 გვ.
52. ჟივჟივაძე ა. საქართველო ვაზის სამშობლოა. ბათუმის უნივერსიტეტი, 1999, 39 გვ.
53. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2005, 134 გვ.
54. რამიშვილი მ. ვაზის სანერგე მეურნეობა თბილიის, „საბჭოთა

საქართველო“, 1964, 341 გვ.

55. რამიშვილი რ. ვაზი და ღვინო, მევენახეობის კათედრა №1-2; 1995, 92-96 გვ.
56. რამიშვილი რ. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია. თბილიის, „მეცნიერება“ 2000, 240 გვ.
57. სიჭინავა ვ. მასალები მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960, 157 გვ.
58. საღარეიშვილი ო. გარდამავალი პერიოდის აგრარულ ურთიერთობა კონცეფცია, ჟურნალი „ეკონომიკა“ №7-9, 1995.
59. საღარეიშვილი ო. საქართველოს თვითდამკივდრების და ტერიტორიული მოწყობის საკითხები, გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“, №12, 1996, 12 გვ.
60. საღარეიშვილი ო. ხარაიშვილი ე. ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, ნაწილი II, თბილისი, „მერიდიანი“, 1995, 130 გვ.
61. სუბელიანი ს. დავახრჩოთ ფერმერები, შეიძლება მათ დიდი მოსავალი მოიყვანონ, გაზეთი „კავკასიონი“, 9 ოქტომბერი, 1996.
62. სონღულაშვილი ჯ. საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის; წიგნი მე-2, „მეცნეირება“ თბილისი, 1974, 340 გვ.
63. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. ტ. IV საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი, 1999, 779 გვ.
64. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 2002 წლის მდგომარეობით, „სამართალი“ თბილისი, 2002, 129 გვ.

65. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამერნეო დანიშნულების“ მიწის საკუთრების შესახებ“, თბილიის, 1996, 22 მარტი. 117 გვ.
66. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“, თბილისი, 1996, 28 ივნისი, 98 გვ.
67. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მასალები 1990-2005.
68. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული-საქართველოს საბაჟო, წიგნი I, თბილისი ბიზნეს კურიერი, 2005, 454 გვ.
69. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის კრებული-საქართველოს საბაჟო, წიგნი II, თბილისი ბიზნეს კურიერი, 2005, 460 გვ.
70. საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის 1995-2005 წლის მასალები.
71. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები 1990-2000.
72. საქართველოს სოციალურ-ეკონომკიური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა, თბილისი, 2001. 180 გვ.
73. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები 1995- 2000 წლები.
74. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1999 წელს სტატისტიკური კრებული, იანვარ-ნოემებრი. თბილიის, 1999. 11-12 გვ.
75. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005, 137 გვ.
76. საქართველოს სოციალურ-ეკონომკიური მდგომარეობა 2000 წელს.

სტატისტიკური კრებული. (იანვარ-სექტემბერი) თბილისი, 2001, 68 გვ.

77. საქართველოს შინამეურნეობები 1998 წელს, ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1998. 135 გვ.

78. საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ 1998, 12 ივნისი, 98 გვ.

79. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. აგრარული ბაზრები საქართველოში; 2005 წლის იანვარ-თებერვალი სტატისტიკური ბიულეტენი, თბილისი 2005, 132 გვ.

80. ფრუიძე ლ. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. თბილიის, „მეცნიერება“, 1974, 302 გვ.

81. ქარქაშაძე ნ. მსოფლიო სოფლის მეურნეობა, სახელმძღვანელო, თბილისი, 1993, 558 გვ.

82. ქარქაშაძე ნ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა ციკლიდან: მსოფლიოს სოფლის მეურნეობა. სახელმძღვანელო თბილისი, განათლება. 1998, 177 გვ.

83. ქარქაშაძე ნ. ხილბოსტნეული კულტურების ინტენსიური ნარგავებისა და ყურძნის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია საქართველოში. „განათლება“, თბილისი, 1991, 180 გვ.

84. ქარუხნიშვილი ნ. სასუფრე ყურძნის ჯიშები კახეთში. თბილიის, „საბჭოთა საქართველო“, 1982, 122 გვ.

85. ქანთარია ვ. რამიშვილი მ. მევენახეობა (სახელმძღვანელო) თბილისი, „განათლება“ 1965, 445 გვ.

86. ქანთარია ვ. რამიშვილი მ. მევენახეობა, „განათლება“, თბილისი 1983, 535 გვ.
87. ქეშელაშვილი ო. მოსაზრებები აგრარული რეფორმის შესახებ, ჟ. „ეკონომიკა“, №9-10, 1991, 70 გვ.
88. ქეშელაშვილი ო. სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, თბილისი, „საქართველო“, 1991, 144 გვ.
89. ქვლივიძე თ. მევენახეობა ახლებურად, „მეცნიერება“, თბილისი, 1996, 164 გვ.
90. ქოჩორაშვილი რ. ვაზის უმთავრესი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მიკროზონალური სისტემების დამუშავება კახეთის რეგიონში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1995, 220 გვ.
91. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. X თბილისი, გამომცემლობა, „მთავარი სამეცნიერო რედაქცია“. 1986, 752 გვ.
92. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, 1981, 356 გვ.
93. ყამარაული ს. წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში. „მეცნიერება“, თბილისი, 2000, 644 გვ.
94. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. თბილიის, გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 1997, 481 გვ.
95. შარდენი ჟ. მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ცნობები საქართველოს შესახებ მეცნეირება, თბილისი, 1975, 428 გვ.
96. შათირიშვილი შ. მევენახეობა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2005.
97. ჩოლოყაშვილი ს. მევენახეობის სახელმძღვანელო, წიგნი 1, თბილისი, 1937, 442 გვ.

98. ჩიკვაშვილი ზ. მევენახეობისა და მეღვინეობის ძირითადი მიმართულებანი მსოფლიოში. „მეცნეირება“, თბილისი, 1989, 24 გვ.
99. წერეთელი გ. ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითები, თბ., „მეცნიერება”, 2000 წ. გვ. 235.
100. ჯიბუტი ა. აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური ფუნცქია, ჟურნალი „ეკონომისტი“, №8, 1990, 90 გვ.
101. ჯავახიშვილი ი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნაწ. I თბილისი, „მეცნეირება“, 1964, 145 გვ.
102. ჯავახიშვილი ი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნაწ. II, თბილიის, „ფედერაცია“, 1935, 708 გვ.
103. ჯავახიშვილი ი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მე-2, დარგი IV, „მეღვინეობა“, 1986, 677 გვ.
104. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილიის6 თსუ, 1960, 504 გვ.
105. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერსი ისტორია, წიგნი III, თბილიის, „მეცნიერება“ 1966, 528 გვ.
106. ჯავახიშვილი ი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. V თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989, 821 გვ.
107. ჯოლია გ. საგარეო ეკონომიკრუი ურთიერთობები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1998, 535 გვ.
108. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები, თბილისი, „საქართველო“ 1993, 225 გვ.
109. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997, 345 გვ.

110. ჭითანავა ნ. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ. „შრომები“, საქართველსო ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.თ ბილიის, „სიახლე“, 2000, 322 გვ.
111. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ეკონომიკის სახელმწფიოებრივი რეგულირება II ნაწილი. თბილისი. „სიახლე“, 1999, 260 გვ.
112. ჭითანავა Нნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება III ნაწილი. თბილისი, „სიახლე“, 2001, 421 გვ.
113. ჯანხოთელი გრ. მეღვინეობა თბილისი, „მერანი 3“, 1999, 642 გვ.
114. შათირიშვილი შ. მევენახეობა. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 2005.
115. ჰეჯესი ჰ. ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია. სს თბილიის, „ფარნავაზი“ 1999, 319 გვ.
116. Андгуладзе Р., Иобашвили А. Основные направления развития сельского хозяйства Грузии и процессе специализации да концентрации производства. Тбилиси, «Сабчота Сакартвело», 1979, с. 480.
117. Бедианашвили Г. Региональные социально-экономические аспекты и системный анализ государства. Тюилиси, «мецниереба» 1993, с. 210.
118. Беридзе Т. Эффективность региональной экономики. Тбилиси, «Мецниереба», 1987, с. 80.
119. Буглай В., Ливенцев Н. Международные экономические отношения. М., «Финансы и статистика», 1999, с. 159.
120. Булатова А.С. Мировая экономика. Учебник. М. «Юрист», 1999, с. 734.

121. Джибути А. Вопросы специализации и концентрации сельского хозяйства Грузинской ССР, Тбилиси, «Сабчофа Сакартвело», 1974, с. 142.

122. Добрыник В. Сельские промышленые предприятия в экономике сельского хозяйства, М., МЕХА, 1962, с. 45.

123. Дубров А.М. Математико-статистическая оценка эффективности в экономических задачах. - М.: Финансы и статистика, 1982. – 176с., ил. (Математическая статистика для экономистов).

124. Жам С. История экономической мысли XX в. Перевод с англ.. М., «Юрист», 1999, с. 90.

125. Левитин Ф. Мировой рынок: коньюнктура, цены и маркетинг. М., «Питер Ком», 1993, с. 351.

126. Линдерт П. Экономика мирохозяйственных связей. Перевод с анг., общ. ред. и предисл. О.В. Иванова. М. «Прогресс», 1992, с. 779.

127. Малудзе Н. Основные вопросы развития виноградарства и виноделия в Грузинской ССР. Тбилиси, 1980.

128. Международные экономические отношения. Учебник. 3-е изд. М., «Юность», 2000, с. 497.

129. Менькю Н. Принципы экономикс. Учебник. «питер Ком» Санкт-Петербург, 2001, с. 494.

130. Менькю Н. Принципы экономики. М., изд. «Питер Ком», 1990, с. 397.

131. Политова И.Д. Дисперсионный и кореляционный анализ в экономике. Учеб. пособие для экон. фак. с/х вузов. М.: Экономика, 1972. – 224с.

132. Попов и др. Виноделие за рубежом. М., 1982.

133. Попова В. Государство, рынок и экономика без налогов. Тбилиси,

«Мецниереба», 1993, с. 120.

134. Тихонов В. Агропомышленный комплекс и проблемы его еффективности. М., «Экономика№, 1998, с.237.

135. Терехов Л.Л. Производственные Функции. - М.: Статистика, 1974. – 128с., ил. (Математическая статистика для экономистов).

136. Чарквиани К. Виноделие и его место в экономикс Советской Грузии, Тбилиси, 1960.

137. Гуния А.Л. _ научно-чехнический прогресс и региональная структура экономики. Тб., 1990.

138. Гончарова Н.П. и др. _ Организационно-экономические факторы ускорения научно-технического прогресса. Киев, 1988.

139. Долан Э.Д. Линдсей Д.Е. Макороэкономика. С. Петтербург, 1994.

140. Долан Э.Д., Линдсей Д.Е. – Микроэкономика. С. Петербург, 1994.

141. Ермошенко Н.Н. – Экономика% НТП, инвестиционная политика, управление. Киев, 1990.

142. Как работают Японские предприятия. М. 1989.

143. Карлофф Б. – Деловая стратегия М., 1991.

144. Кравцевич А.И. – Общественное предпринимательство в Японии. М., 1988.

145. Крастинь О.П. Методы анализа регрессии и корреляции. – Рига: ЦСУ при Совете Министров Латвийской ССР, 1970. – 342с., ил.

146. Кругликов А.Г. – Системный Анализ Научно-течнических нововведний. М., 1991.

147. Кутейников А.А. – Технологические нововведения в экономике США. М., 1990.

148. Лексова Н.Е. Никитин С.Н., Беляева Т.П. – Современнце финансовые проблемы развитых капиталистических стран. Л., 1988.
149. Лифшиц А. – Экономическая реформа в России и его цель. М., 1994.
150. Лиухто К. – Развитие предпринимательства в Эстонии. Журн. “Вопросы экономики”. №5. 1996.
151. Львов Д.С. _Эффективное управление техническим развитием. М., 1990.
152. Маршалл А. – Принципы экономической науки. М., 1993.
153. Назаренко В.И.–Проблемы продовольственной безопастности. М.1996.221 с.
154. Научно-техническая политика зарубежных стран. Под ред. А.И. Шлепакова и др. Киев. 1987.
155. Научно-техническая политика США: реф. сб. Под. ред. Т.В. Горбунова. М., 1989.
156. Научные основы реформирования аграрного производства при переходе к рынку. Днепропетровск. 1996. 199 с.
157. Новая технология и организационные структуры. Под ред. И. Пиннингса, А. Бьютитандама. М., 1990.
158. Организация и управление наукой и техникой. Под ред. Б.Ф. Заицева. М., 1987.
159. Рассохин В.П. Механизм внедрения достижений науки. Политика. управление. право. М., 1985.
160. Савас Э. _ Приватизация – ключ к рынку. М., 1992.
161. Салливен Д. – Демократия и рост мировой экономики. Журн. США, №9. 1993.

162. Самуэльсон П. – Экономика. М., 1964.

163. Синдяшкина Е. – Занятость в негосударственном секторе экономики. Журн. “Экономист”. №1. 1996.

164. Советологические прогнозы о проблемах экономического развития ССР. М., 1988.

165. Хромов Ю. С. _ Проблемы продовольственной безопастности России: международные и внутренные аспекты. М., 1995. 197 с.

166. Швырков Ю. – Государственное регулирование экономики. Журн. “Экономист” №8. 1996.

167. Шмелов Ю. В. Мировицкая Н.С. _ Международные аспекты проповодьственной проблемы. М. 1983. 287 с.

168. Шумпетер И. _ теория экономического развития. М., 1989.

169. Эванс Дж, Берман Б. _ Маркетинг. М., 1990,

170. Ерина А.М. Математико-статистические методы изучения экономической эффективности производства. – М.: Финансы и статистика, 1983. – 191с., ил. (Математическая статистика для экономистов).

171. Елисеева И.И., Руковишников В.О. Логика прикладного статистического анализа. – М.: Финансы и статистика, 1982. – 192с., ил. (Математическая статистика для экономистов).

172. Экономические проблемы научно-технического прогресса. Под ред Г. А. Краюхина. м. 1984.

173. Экономические проблемы развития научно-призводственного комплексса Грузинской ССР. Под ред. Т.Н. Чикваидзе. Тб. 1989.

174. Эрхард Л. – Благосостояние для всех. М., 1991.